




სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება  
(ისტორია, თეორია, პრაქტიკა)“

*Scientific magazine*  
**“AUTHORITY AND SOCIETY”**

(History, Theory, Practice)“

**Научный журнал “ВЛАСТЬ И ОБЩЕСТВО**  
(История, Теория, Практика)“

№ 4 (24) 2012, ტომ I



დია დიპლომატიის ასოციაციის  
სამეცნიერო ჟურნალი

*Scientific magazine of  
The Open Diplomacy Association*


Научный журнал  
АССОЦИАЦИИ ОТКРЫТОЙ ДИПЛОМАТИИ

EISSN 1512-4029

ჟურნალი დაარსებულია 2005 წელს საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის კათედრის მიერ

**UDC 378(479.22)(051.2)**

**ს. 402**



## **სარედაქციო კოლეგია:**

**შოთა დოლონაძე**

მთავარი რედაქტორი

**ოთარ ქოჩორაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე

**ოთარ ბალათურია**

პასუხისმგებელი მდივანი

ანა ავალიანი, რუდიგერ ანდრესენი, მეუფე აბრაამი (გარმელი:  
ვეგენი ბარათაშვილი, გიორგი ბალათურია, ოთარ ბალათურია, რაი  
ულოკაიტე, ანასტასია განიჩი, იური გორიცკი, ვახტანგ გურულ  
ჭოთა დოლონაძე, ელუნ დრაკე, ჰარალდ ვერტცი, გენადი იაშვილ  
ერჯო კამიზი, რიჩარდ მასი, როინ მეტრეველი, იოშიკა მიცუი, ბადრ  
აკაშიძე, ლიზავეტა ქახანინა, ბუდი ნურანი რუზანა, რამონ პიეტრი  
რუარესი, გერტ სურმიულენი, ქეთი ქოქრაშვილი, ოთარ ქოჩორაძ  
რუსულან ქუთათელაძე, მაია ჩხეიძე, ენდრიუ ლენუქს ჰარდინგსი



უურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.  
გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებლია ავტორი.  
გამოქვეყნებული მასალები გამოხატავს მხოლოდ ავტორთა  
პოზიციას და შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის  
შეხედულებებს.

რედაქციის მისამართი:

საქართველო, თბილისი, 0175, კოსტავას ქ. 77, VI კორპუსი,  
I სართული, ტელ. 236-45-14,  
77 Kostava st., 0175 Tbilisi, Georgia.  
Tel. [+995 32] 2364514

e-mail: [geoandopendip@yahoo.com](mailto:geoandopendip@yahoo.com)

გარეკანის გაფორმება: დავით ბალათურია  
უურნალის ელექტრონული ფერსია გამოქვეყნებულია ფინანსურდზე:  
<http://www.odageorgia.ge/page=gamocemebi>

უურნალის რეფერირებული მასალა განთავსებულია საერთაშორისო სამეცნიე  
ლექტრონულ ბიბლიოთეკაში: <http://www.eLIBRARY.ru>

ს ა რ ჩ ე ვ ი

თომის

გასაფ (აკაკი) გასვიანი  
თავისუფლების ფენომენი-----

5

ნანა გამყრელიძე  
კომუნიკაცია - მულტიდისციპლინარული პარადიგამა-----

13

გიორგი ზირაქაშვილი  
ინფორმაციული ტექნოლოგიები როგორც სისტემა  
წარმომქმნელი კომპონენტი და მასთან დაკავშირებული  
რისკები-----

18

ქეთი ჯიჯეიშვილი, მანანა დარჩაშვილი  
გლობალურისა და ეროვნულის თანაფარდობის პროცესები  
საქართველოში თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკური  
პროცესების კონტექსტში-----

30

გიორგი ჩხიგვიშვილი  
დასავლეთის იდეა ნიკო ნიკოლაძის შეხედულებებში-----

37

ისტორია

მარიამ რაქიაშვილი  
რუსეთ-საქართველოს ომი და ესტონეთის  
რესპუბლიკის რეაქცია-----

44

თინათინ აფხაიძე  
რუსული ემიგრაციული ფაშიზმი ჩინეთში XX საუკუნის  
20-30-იან წლებში-----

52

ედიშერ გეგეტაძე, მაია ყიფიანი  
დასავლეთი და საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საპითხები-----

58

## მპრეომიბა

გარი გუნია, ზიზი სეანიძე, ლილი სეანიძე, თამარ ცერცვაძე მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მოთხოვნები საქართველოს ბუნებრივი გარემოს დაცვის სფეროში-----	65
თამარ აბუაშვილი ინფორმაციული ტექნოლოგიების გავლენა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე-----	76
ილია ჩიბიროვი შიდაფინანსური ანალიზი და ფირმის მენეჯმენტი-----	84
დავით ადგაძე მცირე ბიზნესის არსი და კლასიფიკაციის კრიტერიუმები----	91
<b>სამართლი</b>	
ანა კუჭუხიძე რეკომენდაციები სასამართლო ხელისუფლების საქმიანობის ეფექტურობის ასამაღლებლად-----	102
<b>საზოგადოება</b>	
გურამ ქაშაქაშვილი, ბადრი ცხადაძე, ეგა ცხადაძე მეტადურგიული ტერმინის გრდემლ'ის წარმომავლობისათვის-----	112
ია ბურდული ფიურერის მსატვრული კოდი და ნიცშეს “დისტანციის პათოსი” პოსტმოდერნისტულ ჭრილში-----	119

# თ ე რ ი პ

## ბასაზ (აპაპი) ბასშიანი თავისუფლების უცნობენი

გაიაზრებ კაცობრიობის ისტორიას და სახტად დარჩები: ადამიანთა და ხალხთა მიერ ერთმანეთის ძარცვა, კვლა და ქლება, გამუდმებული ტრაგედიები... და ამას დასასრული არ უჩანს. და ამისი ერთი უძალავრესი მიზეზთაგანია თავისუფლების უქმარისობა, მისი საკლისობა, ან სრული უქონლობა.

მრავალი სწავლული, ცნობილი მეცნიერი და ფილოსოფოსი თავისებურად განმარტავს თავისუფლების ფენომენს.

ი. კანტი [1] თვლიდა, რომ ადამიანის გრძნობები და ნებისყოფა განსაზღვრავენ მის ზნეობრიობას. მაგრამ ზნეობრიობას მაინც ხომ გონება არეგულირებს, რადგან ნებისყოფის სიმტკიცე გონებისუფლი დერივატია.

კანტის ტრანსცენდენტალური – შემცნების მიღმა არსებული და იმაგნეტური – შინაგანი გონება პეგელმა [2] აბსოლუტურ – უსაზღვრო გონებამდე აიყვანა და მართებულად ასკვნის: თავისუფლება აბსოლუტური გონის გაცნობიერებაა.

ა. შოპენიაურის [3] ახსნით, ადამიანი მაშინ არის თავისუფალი, როდესაც არა გონების, არამედ არაცნობიერი, სტიქიური ძალების კარნახით ცხოვრობს. ამას ეგოზმამდე მივყავართ.

აბსოლუტური სუბსტანციისმიერი, ანუ ღმერთისმიერია ყოველივე მატერიული – ყოფიერი. და დათის მიერ შექმნილს არსებობისათვის აუცილებელი თავისუფლება ჩასახვიდანვე აქვს ბოძებული.

ბიორსთაგან „ადამიანი, როგორც ბიოლოგიური არსება, უნიკალურია თავისი აზროვნებითა და ემოციებით“ [4. გვ. 87].

ადამიანი უმაღლესი სულიერი ქმნილებაა. მაშასადამე, მას გაჩენიდანვე სულის ხარებისათვის მინიჭებული აქვს უსაკლისო თავისუფლების ხარისხი.

ადამიანი მოაზროვნეა, განმსჯელია, მიზანდასახულია, კულტუროლოგია, დედამიწის მოურავია, სამყაროს მჭვრეტელია, ანუ თავადაც შემოქმედია.

ამად არის თავისუფლება რწმენის ფუნდამენტური თეოლოგიური ღირებულება, კაბალისტურად – მისტიკურად თვითშემეცნებადი, თვითმაღლებადი გახსნის შესაძლებლობა პიროვნული უნარებისა, ფილოსოფიურად – საზოგადოების განვითარების უმაღლესი კრედო. იგია დამტევებული ადამიანის თეოზისია – განმდრობისა, იგია

სიყვარულისა და ნდობის დვრიბა, ჭეშმარიტების გვირგვინი, სიმართლის ლიბო, ასევე სამიზნე მაცდურისა, რომელიც მოწვენებითობის საბურველში ახვევს მას, ამიტომ ჩილივით მოსაფრთხილებელია.

„დმერთმა ადამიანს თავისუფლება მისცა, როგორც დიდი სიკეთე ადამიანი კი ბოროტად იყენებს ღმერთის მიერ ბოძებულ სიკეთეს. ამიტომ ბოროტების მიზეზი ადამიანშია და არა მის გარეთ. ღმერთი აქაც აუცილებელია ადამიანისათვის. იგი ადამიანს სჯის თავისუფლების ბოროტად გამოყენებისათვის და ამ გზით უზრუნველყოფს მის შემობრუნებას სიკეთისაკენ“ [4. გვ. 201-202].

ცხადია, ადამიანებს თავისუფლება არ ჰქონიათ ველურობის ხანაში, როცა საკუთარი სიცოცხლის გადარჩენის ინსტინქტი იყო მთავარი მამოძრავებელი. მონას არ კლავდენენ იმიტომ, რომ სჭირდებოდათ როგორც მუშა საქონელი. არც მისი დამმოწმებელი იყო თავისუფალი, რადგან თავად ხდებოდა ბოროტების მონა.

და ომები... ომები მონებისათვის, მიწებისათვის...

რა მოიტანა კაპიტალიზმა, რომელსაც ჩვენ ლოიალურად საბაზრო-ეკონომიკურ ურთიერთობაზე დაფუძნებულ საზოგადოებრივ სისტემას ვუწოდებთ და რომელსაც ამჟამად საქართველოში კომუნისტური დიქტატურის ნაცვლად ვამკიდრებთ?

მოიტანა ვირტუალური – წარმოსახვითი თავისუფლება. თავად განსაჯეთ: გადაეშვები საბაზრო-ეკონომიკური ურთიერთობის მორეგული და ან გაცურავ და მიაღწევ ფონს, ან ჩაიხრჩობი მასში. ორივე შემთხვევაში სტიტური კონკურენციის მონა ხარ, რადგან მისი შედეგია უკიდურესი სოციალური პოლარიზაცია და პოლარიზებულად დაპირისპირებულთა შორის მძულვარება. და სადაც მძულვარებაა, იქ არის თავისუფლება? ხოლო სადაც თავისუფლება არ არის, იქ არც დემოკრატია და არც მშვიდობა, არამედ არის ყოველგვარი მანკიურება, რომლის გადასაფარავად ამჟამავდება ხოლმე საომარი განწყობის შექმნელი იდეოლოგია.

ამრიგად, სოციალურ-ეკონომიკური სისტემა, რომელსაც თავისი შინაგანი ბუნებით ვერ აქვავს პიროვნება თავისუფლების უმაღლეს ფილოსოფიურ კრედომდე, პირიქით, აკნინებს მისი ცნობიერების პოტენციალს, ხდება ყოველი კონფლიქტის წყარო: რელიგიურისა, ოჯახურისა, სოციალურისა, ეთნიკურისა, ადამიანისა სახელმწიფოსთან, სახელმწიფოთა შორის და ა.შ. ამიტომ იგი არის ანტიდემოკრატიური და ექვემდებარება დემონტაჟს.

ვილაჟელმ დილთაი [5] წერდა, რომ ადამიანს დვთისაგან მონიჭიბული აქვს სრული თავისუფლება იმისათვის, თუ რას ემსახუროს.

კიურკეგორის [6] მიაჩნდა, რომ ადამიანს თავისუფლებას უველავე მეტად ართმევს შიში, რომლისაგან მას მხოლოდ ღვთისადმი რწმენა ისხნის.

ამგვარი მსჯელობების ფონზე პარადოქსულად ქდერს ფრიდრიხ ნიცშეს [7] მიერ გონების იმპერატივის – მბრძანებელი ფუნქციის უარყოფა. გონებისადმი დამორჩილება მას მონობის გამოვლინებად მიაჩნია, რადგან ეს ზეპაცის აბსოლუტურ თავისუფლებას ეწინააღმდეგებაო.

ღმერთმა სიყვარული, თანადგომა, ერთმანეთის გადარჩენა დაგვიწესა ადამიანებს და არა ერთმანეთისათვის თავისუფლების წართმევა, რაც კაცობრიობისათვის უბედურების მომტანია. ამიტომ არის თავისუფლება და პასუხისმგებლობა ერთიანობაში, როგორც ამბობდა უას პოლ სარტრი [8].

მაგრამ ადამიანებმა თავად დააკანონეს ის ეკონომიკური წესები, უსაზღვრო გამდიდრებისადმი მისწრავებას რომ ქმნის. ამ წესებით წარმოება ვითარდება ინტენსიურად, ოღონდ არაგვეგმაზომიერად, რის გამოც წარმოებული პროდუქციის რაოდენობა უსწრებს მისდამი მოთხოვნილებას, ხდება ბაზრის გაჯერება საქონლით, შემდეგ იწყება ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი. ხოლო კრიზისის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ახალი გასაღები ბაზრის მოპოვება. დღის წესრიგში დგება ტერიტორიული ექსანსიის განხორციელება. ამ პოლიტიკის გამტარებელი სახელმწიფო ქმნის და წვრთნის არმიებს და ნებისმიერი საბაბით თავს ესხმის მსხვერპლად შერჩეულ ქმედისას.

ომის დროს კი არავისოთვის არ არსებობს თავისუფლება!

ჰეშმარიტებაში ვერ თავსდება იმათი ფსიქოგანწყობა, ვინც ხოტბით მოიხსენიებს ასიათასობით დედა-ბუდიანად ადამიანთა გამჟღებრ აერსრებსა და იმპერატორებს, მეფეებს, მხედართმთავრებს, ხალიფებს, ყაენებს, შაჰებს, სულთნებს. დარიოსი დასამხობი იყო, მაგრამ რა უნდოდა ალექსანდრე მაკედონელს ინდოეთში, ხოლო ნაპოლეონს რუსეთში? რა აუცილებლობა იყო იმისათვის, რომ ტრუმენს ხელი მოეწერა ხიროსიმასა და ნაგასკეში ატომური ბომბის ჩამოგდების შესახებ ბრძანებისათვის? პიტლერი, როგორც პოლიტიკური ავანტიურისტი, შექმნა ისეთმა სოციალურ-ეკონომიკურმა სისტემაშ, როგორიც არის დღეს მსოფლიოში.

დიახ, ნებისმიერი ქვეყნის რეპრესიული სახელმწიფო მექანიზმის ამწყობია მისივე შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური სისტემა და ვიდრე იგი იარსებებს, ცნება თავისუფლება საშრობი ქადალდის ტოლფასია.

მაგრამ უზენაესისეული პიროვნული ღირსება ადამიანებისა, ერთა თავისთავადობა და, ჯამში, კაცობრიობა გადაარჩინეს ბიბლიურმა

პატრიარქებმა, დვთის მოციქულებმა, ასევე რჩეულებმა: ლიგურქმა, მეფე ლეონიდემ, ტიბერიუს გრაკმა, დავით აღმაშენებელმა, პეტრებოვმა, ჯეფერსონმა, მაჰათმა განდიმ, გარიბალდიმ, დე გოლმა და კიდევ და კიდევ რამდენმა მეგზურმა კაცობრიობისა.

როდესაც რუსეთის ცარიზმა 1801 წელს საქართველოში მეფობა, როგორც სახელმწიფოებრიობის ატრიბუტი, გააუქმა, ქართველ ხალხს პოლიტიკური თავისუფლება წაართვა.

როდესაც რუსეთის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ 1811 წელს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესის ავტოკეფალია გააუქმა, ქართველ ხალხს სულიერი თავისუფლება წაართვა.

როდესაც რუსეთის იმპერიის არმიები დაუნდობლად ხოცავდნენ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის აჯანყებულებს: 1804 წ. – მთიულეთი, 1812 წ. – კახეთი, 1819-20 წწ. – იმერეთი-რაჭა-ლეჩხეუმი (საეკლესიო აჯანყება), 1832 წ. – თბილისი, 1866 წ. – აფხაზეთი, 1875 წ. – სვანეთი, 1878 წ. – კვლავ აფხაზეთი და ა.შ., ისინი ქართველ ხალხს ართმევდნენ ეროვნულ თავისუფლებას.

როდესაც რუსეთის იმპერიული პოლიტიკის გამოისობით საქართველომ დაკარგა სოჭი-ტუაფსეს ოლქი, ტაო-კლარჯეთი, ჰერეთი (საინგილო), ლორე-ტაშირი და ა.შ., ქართველმა ხალხმა დაბარგა ტერიტორიული შეუკალობის თავისუფლება.

როდესაც რუსეთის დღვეანდელი ხელისუფლება გამალებით ითვისებს მის მიერვე დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოცხადებულ საქართველოს ძირძეველ მხარეებს – აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს, რაც არის იმპერიული თავხედობის აპოთეოზი XXI საუკუნეში, იგი ქართველ ხალხს ართმევს სახელმწიფოებრივ თავისუფლებას. ამავე მხარეებიდან გამოძევებულ ქართველობას მან წაართვა მოქალაქეობრივი თავისუფლება.

ჩამოთვლილი გამაოგნებელი ფაქტები სამარცხვინო ქმედებად შევარუსეთისათვის რუსეთისავე ისტორიაში, რაც მას დიდხანს, დიდხანს წაართმევს მორალურ თავისულებას.

ლოგიკურია, როდესაც თავისუფლების ამდენი ატრიბუტი წართმეული აქვს ქვეყანას, იქ იქმნება კონფლიქტური სიტუაცია.

რადგან ყველა ერი დვთისაგან არის, ისინი თანასწორნია. როგორც დიდი წმინდანები გვასწავლიან, თითოეულ ერს თავისი მფარველი ანგელოზი ჰყავს. იგი თავისი მრევლის სიკეთით ხარობს და უკეთურების გამო წუხს. დვთის ანგელოზი ჰქმარიტების მსახურია. ნუ განარისხებოთ და განირიდებოთ საკუთარი ერის მფარველ ანგელოზებს სხვა ერებისადმი გამოხენილი სიაუგით, რადგან ამით მათი მფარველი ანგელოზების წყრომასაც გამოიწვევთ. ემსახურათ ჰქმარიტებას და ისინი გადაგარჩენენ თქვენც.

სტუმარ-მასპინძლობაც დეთისაგან არის, სიყვარულს ეფუძნება და იმიტომ. მასპინძლის თავაზიანობა შეიფერე სტუმარო, ნუ უგანებ შენს ძმურად მიმღებს, დამსახლებელს, ნუ დაიძმიებ სულს, თორემ ჯოჯოსეთი არამც და არამც არ აგცდება!

მსოფლიომ გასული საუკუნის 30-იან წლებში ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისს თავი დაადგია სამხედრო-სამრეწველო კომპლექსების შექმნით, 50-იან წლებში – ბირთვული შეიარაღებით, 70-იან წლებში – კოსმოსური ტექნოლოგიების წარმოებაში შეჯიბრით, 90-იან – წლებში სსრკ-ს დანგრევით და ამით ახალი გასაღები ბაზრის მოპოვებით.

XXI საუკუნის 10-იან წლებში იწყება ახალი ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი. შეაჩერებენ მას საბანკო მანიპულაციებით? ოუგააფართოებენ ლოგალური ოქების არეალს, რაც შეიძლება გლობალურ პროცესებში გადაიზარდოს, რადგან ომი ფულის გამომუშავების და, გნებავთ, გათეთრების უპასუხისმგებლო საშუალებას.

როცა ცერვერება ნორმალურად აქვს აწყობილი ადამიანს, მის თავისუფლებას ტექნიკური პროგრესი, ინფორმაციული ნაკადები კი ვერ შებოჭავენ, როგორც ამას ზოგიერთი თეორეტიკოსი თვლის, არამედ გამოათავისუფლებს მის ენერგიას, უფრო დააკავშირებს საზოგადოებასთან, საარხებო საშუალებების წარმოებასთან, წარმოების საშუალებების წარმოებასთან, გეოგრაფიულ გარემოსთან, გაამჟარებს მატერიალურ-კულტურულ კავშირებს ქვეყნის რეგიონებს შორის, თავად ქვეყნებს შორის, შეანელებს მქონებელ-უქონელ ფენებად ხალხის დაყოფას, შემცირდება მდელვარებათა და რევოლუციების ალბათობა, ეთნოკონფლიქტების მიზეზები, წამოწევს მაღალ ზნეობრივ დირებულებებს, მისაღებ ადათებს.

ადათი ვახსენეთ. იგი ხალხის კულტუროლოგიის გამომხატველია. უმაღლესი ადათობრივი ზნეობის ნიმუშად მოვიტან ეპიზოდს ვაჟა-ფშაველას გენიალური პოემიდან „სტუმარ-მასპინძელი“. ქისტებმა (ჩეჩჩებმა) შეიპყრეს მათი მოსისხლე ხევსური (ქართველი) ზვიადაური, როცა იგი სტუმრად იმყოფებოდა ქისტ ჯოულდასთან. კავკასიელთა ადათით სტუმარი თავისუფალი და ხელუხლებელია, რაც დაარღვიეს ჯოულდას თანასოფლებებმა. ამის გამო განრისხებულმა ჯოულდამ ზვიადაურის დასაცავად ხმალი იშიშვლა, მაგრამ თავადაც გაკოტეს. ზვიადაური გმირულად შეხვდა სიკვდილს, არ შეეწირა მისგანვე მოკლულ ქისტს. ზვიადაურის გმირობით აღფრთოვანებულმა აღაზამ, ჯოულდას ცოლმა, დაიტირა იგი. შინ მოსულმა უამბო ქმარს ტირილის მიზეზი. პასუხი: „იტირე, მაღლი გიქნია, მე რა გამბე ვარ მაგისა, დიაცსა მუდამ უხდება, გლოვა ვაჟკაცის კარგისა“.

აი, უდიდესი ზნეობა, უდიადესი თავისუფლება, რომელიც კაცობრიობის უკელა ეპოქის დამაშვენებელია.

თავისუფლების შემჩენებელი ბუნებასთან კონფლიქტში არ შედის, პირიქით, მასთან პარმონიაშია. ამიტომ ვერ გავიზიარებთ ვილპელმ ვინდელბანდის [9] მოსაზრებას, რომ ბუნებისაგან განსხვავებით ისტორიას არ აქვს კანონები, რის გამოც მომავლის განჭვრება შეუძლებელია. ბუნებაც და საზოგადოებაც ორივე ღვთის კანონებით არსებობს და ამ კანონების შეცნობით არის მომავლის განჭვრება შესაძლებელი.

მაგრამ ადამიანები არღვევენ ამ კანონებს, დისპარმონია შეაქვთ ბუნებასთან ურთიერთობაში. მიზეზი, ცხადია, არსებული საზოგადოებრივი წყობილება.

დაუნდობელია კონკურენციის საცეცები. ისინი უბიძგებენ მილიარდებს მეტი და მეტი კაპიტალის დაგროვებისაკენ, მოდუნდება და გაერტოდება, ე.ი. არც მას აქვს თავისუფლება.

ფული! ფული! ფული! – აი, ოლიგარქის მთავარი საზრუნავი და არა ადამიანი. ოლიგარქი მამონას მონა, ნივთის მოტრფიალეა. მისი რიტორიკა პიროვნების და ერთა თავისუფლებაზე ფარისევლობაა. სწორედ ოლიგარქები აიძულებენ მათ მიერვე დასმულ მთავრობებს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ექსპანსიებს, რასაც მესიანისტური ლოზუნებით ნიღბავენ. და იწყება ის, რასაც ღმერთი კრძალავს: „არა კაც ჰკლა“.

სხვა ქვეყნის დასამორჩილებლად ბრძანებით მიმავალი მეომარიც მონაა. თავისუფლების უმაღლესი სარისხი – სიცოცხლე შეიძლება დაკარგოს საკუთარი ქვეყნის დამცველმაც. „ადამიანი ავტონომიური არსებაა. ეს მისი დამოუკიდებლობა, თავისუფლებაა“ [10, გვ. 247].

მსოფლიოს ყველა ქვეყანაში უუბნებიან ადამიანებს: კონსტიტუციური თავისუფლება მონიჭებული გაქვთო. სამართალიც, როგორც თავისუფლება, აბსოლუტური ფილოსოფიური კატეგორიაა.

მაგრამ თავისუფლება არ არსებობს, როცა: ქონებრივი ან ინტელექტუალური საქუთრება არ გაიჩინა; არ გაქვს სამუშაო და ამის გამო შიმშილი გემუქრებათ შენ და შენი ოჯახის წევრებს; სიცოცხლის გადასარჩენად ემიგრაციაში წახვიდე; ქონებრივი სიდუხეჭირის გამო ქალმა სხეულით ივაჭროს; შენსავე ქვეყანაში დექნილი ხარ; სოციალური და პოლიტიკური სამართლიანობის მოთხოვნისათვის შენივე ხელისუფლება გხსჯის; ვერ აფიქსირებ შენს პოლიტიკურ მრწამსს შენი და შენი ახლობლების სამუშაოდან დათხოვნის შიშით; უსმენენ შენს სატელეფონო საუბრებს; გაუპატიურების შიშით საკუთარ თაგს ცილი უნდა დასწამო; შანჩაჟით ან მოსყიდვებით არჩევნებს გიყალბებენ; მამა-პაპისეულ

მიწას გიყიდიან; დედა ენას გივიწროვებენ; ქურდებით ან ზონდერებით გემუქრებიან; პროზელიტურ – ახალ, ცრუ რელიგიურ მიმართულებებს შემოგისვევნ; ოჯახს ვერ ქმნი უბუშევრობის გამო; ჯანმრთლობას ვერ იცავ უსახსრობის გამო; მეცნიერული და შემოქმედებითი მუშაობის პირობები არა გაქვს; საწარმოებს არ გაქმნევინებენ; იმპორტული სუროგატით უნდა იკვებო; საგარეო ვალები, უაზრო ხარჯებისათვის აღებული, შენი გადასახდელი გახდეს; ათასწლეულებში გამოტარებულ შენს ინტელექტუალურ და პულტურულ სუნჯეს იარავდნენ, სხვადასძხვა ეთნოსებში აგთქვიორნ და ა.შ. და ა.შ. დანარჩენი შენ მიუმატე, ჩემო ძვირფასო მეგობარო, და ყველაფერი ეს ბევრი ქვეყნის პრობლემაა.

ახლა თავად განსაჯე: რა ხარისხის თავისუფლებაა მსოფლიოში და რა ხარისხის თავისუფლება გვაქს საქართველოში.

## ლიტერატურა

### References

1. immanuel kanti. 1724-1804. germaneli filosofosi da mecnieri.
2. georg wilhelm fridrix hegeli. 1770-1831. germaneli filosofosi.
3. artur Sopenhaueri. 1788-1860. germaneli fulosofosi.
4. tariel rexviaSvili. vano Wiaureli. filosofia. Tb., 2008.
5. vilhelm dilTai. 1833-1911. germaneli filosofosi.
6. s. kierkegori. 1813-1855. danieli filosofosi.
7. fridrix nicSe. 1844-1900. germaneli filosofosi.
8. Jan pol sartri. 1905-1980. frangi mwerali da filosofosi.
9. vilhelm vildenbandi. 1848-1915. germaneli filosofosi.
10. avTandil ZamaSvili. filosofia. Tb., 2009.

**Gasav (Akaki) Gasviani  
Phenomenon of freedom**

**Summary**

In the history of humanity social systems have always been in conflict with the fundamental laws of personal freedom. Therefore freedom has become a virtual right.

**Keywords:** freedom, personal freedom, conflict

**Reviewer:** Professor Vano Chiaureli, Georgian Technical University

**Гасав (Акакий) Гасвиани  
Феномен свободы**

**Резюме**

Пройденное человечеством и существующие ныне общественные системы противоречат законам свободы личности и свобода становится виртуальным. Это является причиной всяких конфликтов.

**Ключевые слова:** свобода, свобода личности, конфликты

**Рецензент:** Профессор Вано Чиаурели . Грузинский технический университет.

## ნანა ბამბრელიძე კომისია - მუნიციპალიტეტი პარადიგმა

### შესავალი

ვერბალური კომუნიკაციური თეორია დამოუკიდებელ დისკიპლინად ბოლო ათწლეულებში ჩამოყალიბდა. საზოგადოების მზარდმა მოთხოვნილებამ კომუნიკაციურ ცოდნაზე და კომუნიკაციურ მზაობაზე იმპულსი მისცა ე.წ. “კომუნიკაციურ ბუმის” ხოლო ტერმინი კომუნიკაცია დამტკიცდა სოციალურ, ჰუმანიტარულ და ტექნიკურ სამეცნიერო სფეროებში. ამ ფენომენის კვლევისადმი სულ უფრო მზარდი ინტერესის მიუხედავად სამეცნიერო წრეებში მიმდინარეობს ინტენსიური კამათი მისი კლასიკური, უნივერსალური დეფინიციისა და სტატუსის დასადგენად. შეიძლება ითქვას, რომ კომუნიკაციური პარადიგმა დომინანტურია თანამედროვე ლინგვისტურ აზროვნებაში. მისი დღევანდელი დომინანტური სტატუსი გულისხმობს მის შინაგან კავშირს ლინგვისტური აზროვნების სხვა პარადიგმებთან, კერძოდ, სისტემურ-სემიოტიკურ და ანტროპოცენტრისტულ პარადიგმებთან. იგი ინარჩუნებს ყველ იმ კონცეპტის ერთობლიობას, რომელიც შემუშავდა სხვა პარადიგმათა ფარგლებში, თუმცა გვთავაზობს მათ ახლებურ ინტერაქტურისა. კომუნიკაციური პარადიგმა მთლიანადაა ორიენტირებული ენაში კულტურის, ხოლო ადამიანში ენობრივი ფაქტორის მნიშვნელობაზე.

### მირითადი ნაწილი

ვერბალური კომუნიკაცია ადამიანისა და საზოგადოების თანაქმედების ფუნდამენტალური საწყისია. საზოგადოება არამარტო თითოეული ჩვენგანის თანაზიარი სოციუმია, არამედ ინტერსუბიექტური კავშირებისა და გაზიარებულ პერსპექტივათა კომუნიკაციური ინტენცია. სწორედ ადნიშნული ფაქტორი განაპირობებს ვერბალური კომუნიკაციური კვლევისადმი მულტიდისციპლინარულ ინტერესს და მისი ტერმინოლოგიური დიფერენცირების მრავალფეროვნებას. ასე მაგ. კომუნიკაციური პარადიგმა განისაზღვრება, როგორც ინტერსუბიექტური თანაარსებობის მქანიზმი, სივრცესა და დროში სიმბოლოების აკუმულირების, მათი რეტროსპექტულ ჭრილში წარმოდგენისა და გადაცემის საშუალება. იგი რთული სტრუქტურული შემადგენლობის მქონე დინამიური სისტემაა, რომლისთვისაც თვისობრივია ცოდნის სოციალური დისტრიბუცია. კომუნიკაციის ცნება მრავალწახნაგოვანია. აქ დიფერენცირდება უნივერსალური და

დარგობრივი ტერმინოლოგიით მარკირებული კომუნიკაციური მოღელები, თუმცა უნივერსალური და ინტერსუბიექტური სოციალურად მარკირებული კომუნიკაციაა. იგი ცდილობს პასუხი გასცეს შემდეგ კითხვებს: როგორ ვიგებთ ჩვენ სხვათა ინტენციებს? როგორ ვუგებთ სხვებს? როგორაა შესაძლებელი პერსპექტივათა თანაზიარობა? როგორაა შესაძლებელი ერთ სემანტიკურ მნიშვნელობამდე მისვალა?

სამყარო რომელშიც ვცხოვობთ არ არის პირადული, ის ყველასათვის იდენტურია. ჩვენ ვცხოვობთ მასში როგორც ერთი სუბიექტი სხვა სუბიექტთა შორის და დაკაგშირებული ვართ მათთან საერთო სოციალური ზეგავლენით [1]. სწორედ ამიტომ კომუნიკაციური თეორიის სწავლება მულტიდისციპლინარულია და შორდება ერთი რომელიმე სამეცნიერო დარგის ფარგლებს. ცნობილი ფრანგი ეთნო-სტრუქტურალისტი პ. ლევი-სტროსი განმარტავდა, რომ “სოციალური მეცნიერებები მიემართებიან კომუნიკაციული პელიოდებისტული რეალუციისაკენ, სადაც ცნობრში კომუნიკაციური თეორია, რომელიც უნივერსალური და სპეციფიკური მეთოდებით მანიპულირებს საზოგადოებას” [2].

ცხადია კომუნიკაციური თეორიის გაგრცელების არეალი სცდება სოციალური მეცნიერებების ფარგლებს. იგი ინტენსიურად განიხილება ჰუმანიტარულ, ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო დისციპლინებთან ერთად. უფრო მეტიც, კომუნიკაციური თეორია გარკვეულწილად დამოუკიდებელი დისციპლინაა, რომელსაც გააჩნია პვლევის დამოუკიდებელი ობიექტი და მისთვის თვისიძრივი კვლევის მეთოდები. იგი თანამედროვე მეცნიერული ცოდნის კომპლექსური სვეროა, რომელიც თავის თავში ორგანულად აერთიანებს კვლევის კომპლექსურ მეთოდებს კომუნიკაციური რეალიების სხვადასხვა საფეხურზე – იქნება ეს ზოგადთეორიული, ტექნოლოგიური, სპეციფიკური სამეცნიერო, თუ ემპირიული. შეიძლება ითქვას, რომ კომუნიკაცია მატერიის ატრიბუტული თვისებაა, რომელიც სამყაროს მატერიალური ერთობით, მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების ურთიერთ-დამოკიდებულებითაა განპირობებული.

ცხადია კომუნიკაციური ინტენცია სხვადასხვა ფორმით კლინდება ობიექტური რეალობის სხვადასხვა საფეხურზე. იგი ერთგვარი ფილოსოფიური კატეგორიაა, დიალოგია სუბიექტსა და სუბიექტს და არა სუბიექტსა და ობიექტს შორის. კომუნიკაცია თავისოვად თვალსაზრისია, მსოფლევდვათა, სტრუქტურულ წარმოდგენათა, ლოგიკისა და მენტალური აქტის სინთეზია. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ სწორედ კომუნიკაციის წიაღში ყალიბდება ლოგიკის, რიტორიკის, ეთიკისა და პოლიტიკის ფუნდამენტალური თეორიები. სწორედ

კომუნიკაციური თეორია განსაზღვრავს კომუნიკაციური ინტენციის, მისი ინტერპრეტაციის და აღქმის ძირითად პარამეტრებს. შეიძლება ითქვას, რომ ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების ერთ-ერთი მთავარი კომუნიკაციური ასპექტი სუბიექტის მიერ ობიექტური სამყაროს რეალური აღქმა და მასთან ურთიერთობის ფორმის რეალულირებაა. აღნიშნულ ში იგულისხმება როგორც ვერბალური კომუნიკაციის, ასევე პიროვნული ფსიქოლოგიური ფაქტორით განპირობებული არავერბალური კომუნიკაციის თავისებურებები.

მნიშვნელოვნად მესახება ყურადღების გამახვილება კომუნიკაციის სოციალურ ასპექტებზე. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ სოციოლოგია საზოგადოების სტრუქტურისა და მისი დინამიური განვითარების ფონზე ინტენსიურად შეისწავლის კომუნიკაციის პროცესებს სხვადასხვა სოციალური და ეთნო-კულტუროლოგიური წარმოშობის ჯგუფებში. ბოლო ხანგბში სოციალური კომუნიკაცია აქტიურად შეისწავლება და ინტეგრირდება თანამედროვე სოციალურ თეორიებთან. იგი ერთგვარ ქვაბუთხედს ქმნის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, იდეოლოგიური და ტექნიკური კომუნიკაციური ინტერაქციის პროცესში. რაც შეეხება ვერბალურ კომუნიკაციას, მისი კვლევა უშუალოდ ლინგვისტიკის სფეროს წარმიადგენს. აღნიშნულ ში იგულისხმება დიალოგი, მონოლოგი, ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის ფორმები, აზრის წარმოქმნის, ფორმირების, ინტერპრეტირების, დისტრიბუციის და აღქმის ლოგიკური, თანამიმდევრული ფაზები.

ვფიქრობ საყურადღებოა ბოლო წლებში განვითარებული კომუნიკაციურ-კიბერნეტიკული მიმდინარეობა, რომლის ძირითადი შესწავლის ობიექტი “პოლიტიკური კომუნიკაცია”, პოლიტიკური პროცესები და სუბიექტებს შორის პოლიტიკურად მარკირებული ინტერაქციაა. კ. დოიჩი ნაშრომში “პოლიტიკა და პოლიტიკური ფსონები”, პოლიტიკას აიგივებს კიბერნეტიკულ სისიტემასთან, რომელიც სინქრონულ ჭრილ ში სიმეტრიული მოქმედების პრინციპით ფუნქციონირებს [3].

საყურადღებოა ის გარემოება, რომ დღემდე არ არსებობს კომუნიკაციური თეორიის შესწავლის საგნის და კვლევის ობიექტის უნიფიცირებული კონცეფცია. ამ კუთხით ორი მიმართულება შეინიშნება: პირველი - სიტუაციური, სადაც კომუნიკაციის ტერმინოლოგიური დიფერენცირება სიტუაციურია და მეორე - კომუნიკაცია, როგორც მრავალგანზომილებიანი სინქრონული სისტემა. აღნიშნული კონცეფციები მიუხედავად სპეციფიკური თავისებურებებისა, სიმეტრიულ ურთიერთმიმართებაშია და ერთგვარად აგსებს კიდეც ერთმანეთს.

კომუნიკაციურ პარადიგმაზე საუბრისას, ყურადღება უნდა გავამახვილოთ კომუნიკაციის დინამიკურ და სტატისტიკურ კანონზომიერებებზე. დინამიკურ კანონზომიერებაში იგულისხმება მიმდინარე მოვლენების დეტერმინირებული ასახვა, მაშინ როცა სტატისტიკური კანონზომიერება მთლიანად ეყრდნობა სტატისტიკის მონაცემებს და არაინტერპრეტირებულ ფაქტებს. ადნიშნული კანონზომიერებები სოციალურად დეტერმინირებული კომუნიკაციური სიტუაციისათვის არის თვისობრივი. იგი ითვალისწინებს სუბიექტთა საერთო სოციალურ და კულტურულ დირებულებებს, ფსიქოლოგიურ ფაქტორს და სიტუაციურ-სტერეოტიპულ მოდელებს. იგი ხშირად არაპროგნოზირებადი და ინფორმაციული დისტრიბუციის სიტუაციური მოდელითაა მარკირებული.

## დასკვნა

კომუნიკაციური მოდელი, რომელიც კომუნიკაციურ სივრცეში რეალიზდება, არ უნდა გავიგოთ, როგორც ერთ რომელიმე სფეროში ჩაკეტილი სისტემა. კომუნიკაციური სივრცე არ არის კერძო და პირადული, პირიქით იგი სოციუმთან თანაზიარი კომუნიკაციური კავშირების სისტემაა, რომელიც საზოგადოების წიაღში წარმოიქმნება და ადამიანში ენობრივი ფაქტორის ახლებურ ინტერპრეტაციაზეა ორიენტირებული.

## ლიტერატურა

### References

- 1.Schutz A. Der sinnhafte Aufbau der socialen Welt. Berlin 1967 S. 111 - 164
- 2.C.levi-Strauss. Strukturelle Antrophologie. Institute of Cultural Studies Unesco Chair in Intercultural Dialogue. [www.cultureddialogue.com](http://www.cultureddialogue.com)
3. k. doiCi. politika da politikuri fsonebi. politologii instituti Tbilisi 2008. gv.64.

**Nana Gamkrelidze  
Communication - multidisciplinary Paradigm**

**Summary**

The paper discusses the fundamental starting interrelating of human and society, their Terminological diversity and Multidisciplinary connections.

**Keywords:** Communication paradigm, Communicative intentions, Communication model, Communicative space, Stereotypical model, Intersubjectivity

**Reviewer:** Professor Rusudan Tabukashvili, Georgian Technical University

**Нана Гамкрелидзе  
Коммуникация - мультидисциплинарная парадигма**

**Резюме**

В статье рассмотрена фундаментальная основа взаимодействия человека и общественности - коммуникативная парадигма, терминологическое разнообразие дефиниций и мультидисциплинарные связи.

**Ключевые слова:** коммуникативная парадигма, коммуникативная интенция, коммуникативная модель, коммуникативное пространство, стереотипный модель, интерсубъективность.

**Рецензент:** Профессор Русудан Табукашвили. Грузинский технический университет.

## გირჩები ზირაქაშილი

**06ფორმაციული ტექნიკური როგორც სისტემაზეარმოშმნელი  
კომარენტი და მასთან დაბაზირებული რისპმი**

გასული საუკუნის მიწურულს და მიმდინარე საუკუნის დასაწყისში გამოვლით ტექნიკაში რევოლუციური მიღწევების შედეგად ნათელი გახდა XXI საუკუნისათვის ინფორმაციის საუკუნის სახელის მინიჭების არსი. აյ გამოვყოფთ ორ ასპექტს: პირველი ასპექტი დაკავშირებულია მეცნიერთა იმ მოსაზრებასთან, რომ ინფორმაციზაცია არის “მთელი ადამიანთა მოდგმის გადარჩენის კარდინალური მქანიზმი” [1]. იგულისხმება, რომ ინფორმაციზაციის, მსოფლიო მოსახლეობის მასობრივი კომპიუტერიზაციის მეშვეობით შესაძლებელია კაცობრიობის ინტელექტუალური დონის ამაღლება აქვდან გამომდინარე შედეგებით. მეორე ასპექტი დაკავშირებულია ინფორმაციის როგორც კაცობრიობის საარსებო რესურსების იმ თავისებურებასთან, რომლებითაც ის განსხვავდება ტრადიციული (მატერიალური, ენერგეტიკული) რესურსებისგან. კერძოდ: ა) ინფორმაცია ზემოქმედებას ახდენს წარმოების ეფექტიანობაზე ტრადიციული რესურსების ფიზიკური ზრდის გარეშე; ბ) ინფორმაცია ზემოქმედებას ახდენს წარმოების სუბიექტურ ფაქტორზე – ადამიანზე, მის ხასიათსა და ნიჭებ; გ) ინფორმაცია აჩქარებს კვლავწარმოების პროცესს საქონლის წარმოებისა და მიმოცვლის პერიოდის შემცირების ხარჯზე. ყველაფერი ეს კი მოითხოვს სრულიად ახლებურ მიღობას ბიზნეს-პროცესების წარმართვისადმი.

ცნობილი ესპანელი მკაფიოდ მანუალ კასტელის XXI საუკუნის ეკონომიკას ქსელურს უწოდებს. მისი აზრით უშუალოდ კომპიუტერული ქსელის განვითარებაზე იქნება დამოკიდებული ამა თუ იმ ქვეყნის და საერთოდ მსოფლიოს ეკონომიკის განვითარება [2]. ხოლო ამერიკელი ხოციოლოგი დ. ბელი თვლის, რომ ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოება თანდათანობით ადამიანური საქმიანობის ყველა სფეროს მოიცავს [3]. ამერიკელი ეკონომისტი ლ. ტუროუ მიიჩნევს, რომ ინფორმაციული ეკონომიკის პირობებში იზრდება კომპანიებში დასაქმებული პერსონალის თავისუფლების ხარისხი და მათ გადაწყვეტილების თავისუფლად მიღების საშუალება ეძღვაოთ [4]. აქევე უნდა აღვნიშნოთ, რომ მკვლევარების დიდი ნაწილი პ.

დრავერი, მ. კასტელისი, ლ. ტუროუ და სხვები იზიარებენ შემდეგ  
თემისებს:

- ტრადიციული კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი შრომითი ურთიერთობების შეცვლა იწვევს ინდუსტრიულ საზოგადოებაში არსებული კერძო საკუთრების ბუნების რადიკალურ ცვლილებას;
- ინფორმაცია დომინირებულ საწარმოო რესურსად იქცა;
- იცვლება საბაზო ინფრასტრუქტურის როლი და მნიშვნელობა;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვისას მნიშვნელოვნად მცირდება კომპანიებში, სააქციო საზოგადოებაში დასაქმებულთა რაოდენობა;

მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერებს არ გააჩნიათ მზა პასუხი გლობალური ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით მისი დადგებითი თუ უარყოფითი მხარეების შესახებ, ერთ რამეში ისინი ერთსულოვანი არიან, რომ გლობალიზაციის და ინფორმაციული ტექნოლოგიების ფართო დანერგვის და გამოყენების პროცესები შეუქცევადია და მსოფლიო საზოგადოებას მოუწეს შეეგულს ამ ფაქტს. ცხადი ხდება, ამ პირობებში, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება თითოეული მსხვილი თუ მცირე კომპანიების, ნებისმიერი მიზანდასახული სისტემებისათვის, ყოველი ადამიანის და სახელმწიფოს ჩათვლით, არა მარტო ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვისას, არამედ მისი უარყოფითი გავლენების გამოვლენა – განეიტრალიზაცია. როგორც “დიდი შვიდეულის” ჯერ კიდევ 1995 წლის შეხედრაზე აღინიშნა, მსოფლიო ინფორმაციულ ინფრასტრუქტურაში გაერთიანებისას სახელმწიფოებმა აუცილებლად უნდა უზრუნველყონ შემდეგი ძირითადი მოთხოვნების შესრულება:

- დაიცვან მოთხოვნები ინფორმაციული სისტემების ინტეგრაციაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ ერთობლივ გამოყენებას;
- ხელი შეუწყონ ინფორმაციული ქსელების და მომსახურებათა გლობალური ბაზრების განვითარებას;
- უზრუნველყონ კერძო ინტერესების გათვალისწინება და ინფორმაციის დაცვა;
- უზრუნველყონ სააგტორო უფლებების დაცვა;

• ხელი შეუწყონ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კვლევისა და განვითარების სფეროებში თანამშრომლობას;

• განახორციელონ ინფორმციული საზოგადოების განვითარების სოციალურ და საზოგადოებრივ გამოვლინებებზე დაკვირვება;

პირველ რიგში გვინდა ყურადღება გაფამახვილოთ იმ უარყოფით ფაქტორებზე, რომლებიც ხელს უშლიან ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა – განვითარებას, ხერიოზულ საფრთხეს უქმნიან ნებისმიერი მასშტაბისა და კატეგორიის მიზანდასახულ სისტემებს, ცალკეული სახელმწიფოების და მსოფლიოს პროგრესული საზოგადოების ჩათვლით, ამ ტექნოლოგიათა შესაძლებლობების არამართლზომიერი გამოყენებით. მხედველობაში გვაქვს ორი ძირითადი ფაქტორი: ერთი, რომელიც ცნობილია კომპიუტერულ დანაშაულებათა სახელით და მიმართულია ინფორმაციული რესურსების არაკანონიერი გამოყენება – მითვისებაზე, მათ დაიზანებაზე; და მეორე, როდესაც დანაშაულებრივი ჯგუფები (მაგალითად სხვადასხვა ტერორისტული დაჯგუფებები) გლობალურ ინფორმაციულ ტექნოლოგიებს იყენებენ თვითანთო მიზნების განსახორციელებლად.

აღნიშნული ფაქტორების მიენებული ზარალი ძალზე მნიშვნელოვან თანხებს აღწევს ინფორმაციული ტექნოლოგიების ლიდერ სახელმწიფოებზე, რომ არაფერი ვთქვათ სხვა სახელმწიფოებზე. ასე მაგალითად, აშშ-ს ოფიციალური წყაროების ცნობით, ჯერ კიდევ XXI საუკუნის დამდეგს, საინფორმაციო – ტელეკომუნიკაციებში არასანქციორებული შეღწევით მიენებულმა ყოველწლიურმა ზარალმა შეადგინა 150-დან 300 მილიარდ დოლარამდე. ამერიკის შეერთებულ შტატებში, ამ პერიოდში, საშუალო ზარალი ერთი კომპიუტრული დანაშაულებისაგან შეადგენს 450 ათას დოლარს, ხოლო მაქსიმალური ზარალი – 1 მილიონ დოლარს. დიდ ბრიტანეთში ყოველწლიური ზარალი შეადგენს 2,5 მილიარდ ფუნტ სტერლინგს, ხოლო დასავლეთ ევროპის ქვეყნებში – 30 მილიარდ დოლარს.

ფაქტია, რომ ინტერნეტი დიდი სისტრატეგით ვითარდება როგორც სერიოზული პროფესიული გარემო, ასევე ფაქტია ისიც, რომ ეწ. კომპიუტერული დამნაშავეები, მათ შორის ხაკერები, სხვადასხვა სახის ვირუსების შექმნელები უფრო ხშირად ცდილობენ თვითანთო

წვევებიდან მიიღონ მატერიალური სარგებელი. ისინი სხვადასხვა მეთოდებით, მავნე პროგამების გამოყენებით, ცდილობები კომპიუტერებიდან მოიპარონ დირექტული კონფიდენციალური ინფორმაცია, როგორიცაა მაგალითად, ინტერნეტში შეღწევის პირადი პაროლები, საკრედიტო ბარათების ნომრები, საბანკო და კომერციულ დოკუმენტებთან შეღწევის კოდები და სხვა.

აქევე შეიძლება დაგასახელოთ პოტენციური ბოროტგანმზრა-ხელობის ძირითადი კატეგორიები:

1) ოფისში მომუშავე პერსონალი;

2) პროგამიდერების და შეალედური საკომუნიკაციო კვანძების ტექნიკური პერსონალი;

3) სპეციალური სახელმწიფო სამსახურები. რუსეთში, მაგალითად არსებობს სპეციალური სამსახურის COPM (система специальных оперативно – розыскных мероприятий), რომელსაც შეუძლია სპეციალური პროგრამულ-აპარატული საშუალებები დააყენოს სატელეკომუნიკაციო კომპანიების კუთვნილ ფართზე;

4) კერძო დაცვის ფირმები. ზოგიერთი ასეთი ფირმა აწარმოებს ინფორმაციის არაკანონიერ შეგროვებას და გაყიდვას. მაგალითად, მოსკოვში ასეთ ფირმებს შეუძლიათ არა მარტო სატელეფონო საუბრების ჩაწერა, არამედ ელექტრონული საფოსტო წერილების ხელში ჩაგდება;

5) ხაკერები. ექსპერტთა აზრით ხაკერების შესაძლებლობები აშკარად გაზიადებულია, მაგრამ მათი შესაძლებლობების იგნორირება არ შეიძლება.

ამრიგად, ინფორმაციული ტენილოგიების საყოველთაო გავრცელება-დანერგვამ, საწარმოების, ბისხეს პროცესების, სახელმწიფო მართვის პროცესების ავტომატიზებამ, ელექტრონული ურთიერთობათა მოდელების G2B, G2C, B2B, B2C, C2C საყოველთაო აღიარება-გამოყენებამ წინა პლანზე წამოწია ინფორმაციის როგორც საკუთრების უფლების ობიექტის სამართლებრივი დაცვის აუცილებლობა. თავის მხრივ მოყვანილი მაგალითები აშკარად მიგვანიშნებენ ამ ამოცანის პრობლემატურობაზე. ამის უმთავრესი მიზეზი კი, ჩვენი აზრით მდგომარეობს, პირველ რიგში, ინფორმაციის როგორც საკუთრების უფლების ობიექტის თავისებურებაში – ის საკუთრების უფლების ტრადიციული მატერიალური ობიექტებისაგან

განსხვავებით ადგილად კოპირებადია, ადგილად გადაცემა სხვა საკუთრების უფლების მქონე პირს საკუთრების უფლების რაიმე აშკარა (შესამჩნევი) დარღვევის გარეშე. გარდა ამისა ინფორმაციის კოპირებისას და გადაცემის საფრთხეს ამწვავებს ის გარემოება, რომ ის წესი განკუთვნილი მესაკუთრისაგან, ანუ ის ინახება და მუშავდება დიდი ოდენობით სუბიექტების მისაწვდომ გარემოში, რომლებიც არ არიან ამ ინფორმაციის საკუთრების უფლების მატარებლები. ესაა, მაგალითად, ფართო სპეციალისტთაოდ გავრცელებული ავტომატიზებული სისტემებისა, დაწყებული ცალკეული ადამიანების კომპიუტერული სამუშაო ადგილებით, დამთავრებული კორპორატიული ავტომატიზირებული სისტემებით, ელექტრონული ხელისუფლებით და ინეტერნეტით. დღეს ნებისმიერი მიზანდასახული სუბიექტი იძულებულია მოახდინოს თავისი საქმიანობის ავტომატიზება და იქნიოს ელექტრონული კავშირები როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან, ასევე პარტნიორებთან, საჭიროებისას კი ნებისმიერ სუბიექტებთან. ცხადია პირველ პლანზე გამოდის ასეთი სისტემების ფუნქციონირების, მათში პერსონალური მონაცემებით დაწყებული, კორპორატიული და სახელმწიფო მნიშვნელობის მონაცემებით დამთავრებული, სახელმწიფო დონეზე საკანონმდებლო – ნორმატიული მხარდაჭერა. როგორც განვითარებული სახელმწიფოების გამოცდილება გვიჩვენებს პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფა მხოლოდ ნაწილია იმ რთული დონისძიებების კომპლექსისა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ინფორმაციული ტექნოლოგიების უფასტური მართვა, რისკების მართვა და კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულება. ამერიკის შეერთებულ შტატებში დონისძიებათა კომპლექსს, რომელიც მიმართულია აღნიშნული პროცედურის გადასაწყვეტად ეწოდება GRS – Governance Risk management and compliance – ეფექტური მართვა, რისკების კონტროლი და კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულება. ხოლო დონისძიებათა ერთობლიობაში, რომელიც მიმართულია პროცედურის გადასაწყვეტად და გამოხატულია ფულად სახეში, მიიღო სახელწოდება Compliance infrastructure Market-Compliance ბაზის ინფრასტრუქტურა - გადაწყვეტილებები, რომლებიც მიმართული არიან კანონმდებლობის მოთხოვნების შესარულებლად [5].

Compliance ბაზის ინფრასტრუქტურა – ესაა ერთობლიობა ხარჯებისა აპარატულ და პროგრამულ უზრუნველყოფაზე, აგრეთვე იტ მომსახურებაზე, რომლებიც განკუთვნილი არიან იტ ეფექტური მართვის, რისკების კონტროლის და კანონმდებლობის მოთხოვნების უზრუნველყოფისათვის აუცილებელი ზომების გასატარებლად. აშშ მომქმედი სულ ცოტა რვა ნორმატიული დოკუმენტი მოიცავს ყველა დონის რისკებისა, რომლების დაკავშირებული არიან ინფორმაციის შექმნის, შენახვის და გადაცემის წესების დარღვევასთან, როგორც სახელმწიფო და კორპორაციულ, ასევე პერსონალურ ღონებები [15]. Compliance – ინფრასტრუქტურამ უნდა უზრუნველყოს შესრულება მოცემული ნორმატიული აქტების მთელი ერთობლიობისა, ამავე დროს ცხადა, რომ ნორმატიული აქტები ატარებენ აღწერილობით ხასიათს, ამიტომ კომპანიის ამოცანაა, რომელიც ქმნის Compliance ინფრასტრუქტურას, გადაიტანოს ეს წესები იტ-პოლიტიკების ნაკრებში, მოახდინოს კომპანიის ყველა იტ – რესურსების იდენტიფიცირება, რომლებიც დაკავშირებული არიან მონაცემების შექმნასთან, მხარდაჭერასა და გაცელასთან და უნდა შექსაბამებოდნენ ამ პოლიტიკებს, ორგანიცია გაუკეთონ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მხარს დაუჭერენ მოცემული იტ-პოლიტიკების დანართებთან, მონაცემებთან, ინფორმაციის შენახვის სისტემებთან მიმართებაში, და უზრუნველყოფები მათ შესრულების კონტროლს. Compliance – ინფრასტრუქტურამ უნდა უზრუნველყოს საქმიანი ინფორმაციის უსაფრთხო გამოყენება და გაცელა როგორც კომპანიის შიგნით ასევე კომპანიებს შორის, უზრუნველყოს შეღწევადობა და ურღვევობა ინფორმაციისა, საშუალება მიეცეს მეწარმეებს უკეთ მართონ კორპორატიული იტ-გარემოს ცვლილებები, უზრუნველყონ მომსახურება და ხელმისაწვდომობა იტ-პროცესებისა იმ ღონებები, როგორც ეს SLA-შია დაფიქსირებული.

ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროში გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების და სხვა სახის პუბლიკაციების ანალიზმა ნათლად დაგვანახა, რომ დღეისათვის ყველაზე საშიშ მუქარებად იქცნენ ინსაიდერები. [6,7,8]

საერთო შეშფოთება, რომელიც დაკავშირებულია ამ პრობლემასთან სავსებით გასაგებია: მსოფლიო სტატისტიკის მონაცემებით (მაგალითად, აშშ-ს გამოძიების ფედერალური ბიუროს

ანგარიშები “Computer Crime and Security survey”) მაქსიმალურ დანაკარგებს კომპანიები განიცდიან სწორედ ამ მუქარების გამო [9].

თუმცა არსებული პუბლიკაციების ანალიზი უფლებას გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი შენიშვნები:

- ტერმინი ინსაიდერი ყოველთვის მოცემულია განმარტების გარეშე; როგორც თავისთავად ცხადი რამ;

- ცნება ინსაიდერი და ბოროტგანმზრახველი, რომელიც იმყოფება ქსელის შიგნით, პრაქტიკულად ერთმანეთს შეერწყა;

- მოგვითხრობენ ინსაიდერების მუქარაზე, მაგალითად მოყავთ დაკარგული ნოუთბუკები ინფორმაციით;

- საუბარია რა ინსაიდერებზე ხშირად ადგილი აქვს გარკვეულ დაბნევას (ან აღრევას) და მითითებები კეთდება ისეთ შეტევებზე როგორიცაა პაროლის მორგება, სხვისი ლოგოს გამოყენება, კოლგის კომპიუტერის გატეხვა და ა.შ.

ჩვეულებრივ, ასეთი შეუსაბამობები მიგვანიშნებენ ავტორების მხრიდან გულწრფელად დაშვებულ შეცდომებზე, საგნის (პრობლემის) არსის გაუგებრობაზე და მცდელობებზე დაიმალოს ეს ლამაზი ტერმინის ქვეშ, ან შეგნებულ მანიპულირებაზე მკითხველებისა.

ინსაიდერების შესახებ ნებისმიერი თემის უმთავრესი საგანია მის წინააღმდეგ ბრძოლა ყველა ხელმისაწვდომი საშუალებებით.

შექმნილი სიტუაცია გაგარენებს საპატიოს წინააღმდეგ ბრძოლის ეპოქეს, ეს პრობლემა, რათქმაუნდა, დღესაც არსებობს, მაგრამ ის უმეტესწილად ეხება პროგაიდერებს, რომლებიც იძულებული არიან თავიანთ სერვერებში შეინახონ მნიშვნელოვანი რაოდენობა წერილებისა, ვიდრე კორპორაციულ მომხმარებლებს, თუმცა ბევრი მათგანი თითქმის დაარწმუნეს ამაში.

იმისათვის, რომ გავერკვეთ და შევაფასოთ ის მუქარები, რომელთა მატარებლებიც არიან ინსაიდერები ნებისმიერი საწარმოს მიმართ და შერჩეული იქნას ნამდვილად ადეკვატური დაცვის ზომები, აუცილებელია განვმარტოთ ცნება ტერმინისა “ინსაიდერი”.

არსებობს აღნიშნული ტერმინის მრავალნაირი განმარტება, მაგრამ ჩვენი თემატიკიდან გამომდინარე შემოგვაქს შემდეგი განმარტება: ინსადერი – პროვენება, რომელსაც თავისი სამსახურებრივი ან ოჯახური მდგომარეობიდან გამომდინარე აქვს დაშვება კომპანიის საქმიანობის კონფიდენციალურ და სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის

ინფორმაციასთან. საუბარია თანამდებობის პირზე, დირექტორზე, ზოგადად თანამშრომლებზე, რომლებიც მუშაობენ კომპანიის ავტომატიზებულ საინფორმაციო სისტემასთან. ამ კატეგორიას ვაკუოვნებთ ასევე, კორპორაციის ძირითად აქციონერებს და მათ ახლო ნაოესავებს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ყველა განმარტებაში, ჩვენი განმარტების ჩათვლით, საყრდენი სიტყვებია: “აქვთ დაშვება ინფორმციასთან”. ეს კი საშუალებას იძლევა კიდევ უფრო დაგაკონკრეტო “ინსაიდერების” პრობლემა, გავაცნობიეროთ, რომ არსებობს შიდა ბოროტგანმზრახველის პრობლემა, და ის გავყოო ორ ნაწილად: ინსაიდერად, რომელსაც აქვს დაშვება ინფორმაციასთან და თანამშრომლად, რომელიც ცდილობს მიიღოს ასეთი დაშვება;

ინფორმაცია – ესაა განმარტება, რადაც ცნობა.

მონაცემები – ესაა წარმოდგენა ფაქტების და იდეების ფორმალიზებულ სახეში, რომელიც გამოსადეგია გადაცემისა და დამუშავებისათვის რომელიდაც საინფორმაციო პროცესში.

ამ ცნებებში კიდევ უფრო უკეთ გასარკვევად მოვიყვანოთ მაგალითები:

#### ცხ. 1. ფაქტების, მონაცემების და ინფორმაციის ცხრილი

ფაქტი	მონაცემები	ინფორმაცია
კომპანია ემზადება გამოუშვას ახალი პროდუქტი	ტექნიკური დოკუმენტაცია, სარეკლამო მასალა, დისტრიბუტიკი, პროდუქტის საწყისი კოდი.	პროდუქტი ჯერ კიდევ არაა მზად/არაა ატესტირებული, გამოუშვების ვადები იქნება დარღვეული/დაცული
კომპანია ცდილობს გაზარდოს თავისი აქციების დირექტულება	დონისძიებების გეგმას, რომლებიც მიმართულია-----, პროგნოზები აქციების დირექტულებაზე და ა.შ.	კომპანიას უბრალოდ ამზადებენ გასაყიდად
კომპანია აგროვებს ახალ თანამშრომლებს	განცხადებები სერვერებზე მათიგებლებისათვის	კომპანია ემზადება ახალი მომსახურების გამოსაშვებად მაღაფ გახსნის ახალ ფილიალს

ინსაიდერები ასოცირდებიან იმასთან, რომ ინსაიდერებს: გამოაქვთ კლიენტების სია; გამოაქვთ დოკუმენტები; გამოქავთ მონაცემთა ბაზები; გამოაქვთ ინფორმაცია.

როგორც ანალიზმა გვიჩვენა ამოცანები, რომლებიც უნდა გადაწყდეს ინსაიდერებთან ბრძოლისას – ასეთია: ნორმატიული აქტების და სტანდარტების მოთხოვნებთან შესატყვისობა; ინფორმაციული დაცულობა (უცნებლობა); მონაცემების დაცულობა; გაუონგის არსების გამოვლენა; უთანაზიარობის დამამტკიცებელი საბუთი.

შეიძლება გამოვყოთ ინფორმაციის გაუონგის აღკვეთის შემდეგი ძირითადი გზები:

ინსაიდერების თვითკონტროლი, რათა არ მოხდეს ამ ინფორმაციის უნებლივ გაუონგა; ხელმძღვანელ თანამდებობაზე დანიშნული პასუხისმგებელი, შემოწმებული, მორალურად მდგრადი ადამიანების; ამ ადამიანების ყურადღების აქცენტირება იმაზე, რომ არა ყველა ინფორმაციაა განკუთვნილი ფართო პუბლიკაში გასავრცელებლად.

ეს პრობლემა, როგორც ჩანს მთლიანად ძევს ადამიანის ფაქტორის სფეროში. სამწუხაოდ, მასთან გამკლავება უჭირთ საუკეთესო სპეცსამსახურებსაც კი.

მონაცემთა გაუონგის პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლა შესაძლებელია. დიას სწორებს ბრძოლაა შესაძლებელი და არა ამ პრობლემის დამარცხება და აი რატომ. როგორც არ უნდა შეგზღუდოთ ადამიანების დაშვება ინფორმაციასთან:

- ადამიანს შეუძლია აჩვენოს დოკუმენტი კოლეგას მონიტორზე/ნაბეჭდი, რომლისთვისაც ის არაა განკუთვნილი;
- ადამიანს შეიძლება დაავიწყდეს დოკუმენტი პრინტერში, სასადილოში, დატოვოს უმეთვალყუროდ კაბინეტი ან კეისი ან სეიფი;
- ადამიანს შეუძლია ეკრანიდან ფურცელზე ამოწეროს;
- ადამიანს შეუძლია წაიკითხოს ტელეფონში ან ბევრი რამ თქვას დიქტოფონზე;
- შეიძლება მონიტორის ეკრანის ფოტოგრაფირება ფიჭური ტელეფონის ფოტოკამერით;

- ადამიანს ბოლოს და ბოლოს შეუძლია უბრალოდ დაიმახსოვროს დოქუმენტის შიგთავსი სხვა რამესთან ერთად, იგივე ნოუთბუკი მონაცემებით შეიძლება დაიკარგოს ან მოპარულ იქნას.

დაცვის ნებისმიერი საშუალება ქმნის მოუხერხებლობას – ეს აქსიომაა. ნებისმიერი დასანერგი (დანერგილი) დაცვის საშუალება საჭიროებს მომსახურებას – ეს ცხოვრების კანონია. ანუ დაყენდეს დაცვის საშუალება და არ გაპონტროლდეს ის თუ რა შედეგს იძლევა ის – სიბრიყვეა.

უნდა აღინიშნოს, რომ ცნების “ინსაიდერების მუქარები” ქვეშ არანაირად არ ხვდება, და შესაბამისად ინფორმაციის კონტროლის ტექნიკური საშუალებების მიერ არ ბლოკირდება: დაკარგვა ნოუთბუკების, ფლეშების და ა.შ. – ესაა დაუდევრობა (გულგრილობა); მოპარვა ნოუთბუკების, კომპიუტერების, ვინჩესტერები სარეჟერვო კოპიოებით – ესაა რაღაც მონათესავე გატეხვის; ინფორმაციის გაუონვა ვირუსების მოქმედებით; ინფორმაციის გაუონვა ქსელის გატეხვისას, თუნდაც თანამშრომლის მიერ.

ინსაიდერულ მუქარებს არ განეკუთვნებიან ისეთი შემთხვევები, როგორიცაა გაუონვა კლიენტების ბაზებისა გაყიდვების დირექტორთან ერთად.

მნიშვნელოვანია არ მივცეთ თავს უფლება ჩათრეული ვიქნათ ისეთი პრობლემის გადაწყვეტაში, რომელიც არ არსებობს, ან რომელიც პრინციპულად გადაუქრედით.

## ლიტერატურა

References

1. Урус А.Д. Информатизация общества. Введение в социальную информатику – М. АОН. 1990.
2. М. Кастельс. Информационная эпоха – М. ВЦЭ, 2000.
3. Bell D. The coming of Post-industrial society N.X. 2011.
4. Лестер К. Туру. Будущее капитализма – «Сибирский Хронограф» 1999
5. Нуриев Г. Compliance – инфраструктура и контрол рисков – Компьютер пресс, Октябрь, 2009.
6. Исследование Check Point: рост количества удаленных сотрудников приведет к усомнению инфраструктуры безопасности в 2011 г.

7. [www.ms-security.ru](http://www.ms-security.ru).
8. Взлом и защита 1с: Предприятия. Анализ проблемы цисайдерского взлома для меподтлеров. – Оригинал статьи находится на сайте компании «Поликом Про». Утечки корпоративной информации и персональных данных в 2010 году – [www.stcurity.ru](http://www.stcurity.ru).
9. Зарубежный опыт защиты информации в процессе организации работы с кадрами (например США) – <http://security.meganet.md> .

**Giorgi Zirakashvili**

**Information technologies as backbone component and risks linked to it**

### **Summary**

The role and significance of contemporary information technologies is analyzed in the work. The principal threats are revealed, neglect of which, from the standpoint of protection from them, can put into question the existence of organization. Special attention in this work is focused on the unsanctioned leakage of information, which is the most important for organization, and one of the predominant and most dangerous channels of it can be the corporate employee – insider, which intentionally or unintentionally falsifies this information, acquaints other person with it or makes it inaccessible.

As analysis shows, the following tasks should be accomplished with purpose of combating insiders: compliance of statutory regulations and standards with requirements; information save-keeping (harmlessness); data safety; revelation of leakage.

The basic ways of prevention of information leakage can be separated:

Self-control over insiders, in order to eliminate unintentional leakage of information; assignment of responsible, tested, well-conditioned people at managerial positions; pay special attention of these people on the fact that not every information should be the subject of expansion among wide audience.

It seems that this problem belongs to the area of human factor. Unfortunately, even special services are not able to combat it.

**Keywords:** Information technologies, backbone component, risks

**Reviewer:** Professor Korneli Odisharia, Georgian Technical University

Георгий Зиракашвили

**Информационные технологии как системообразующий компонент и  
связанные с этим риски**

**Резюме**

В работе проанализирована роль и значение современных информационных технологий. Выявлены те основные угрозы, неучет которых, с точки зрения защиты от них, может поставить под вопрос само существование организации. В работе особое внимание заострено на несанкционированной утечке важнейшей для организации информации, одним из главнейших и опаснейших каналов чего может быть сотрудник организации – инсайдер, который преднамеренно либо не преднамеренно фальсифицирует подобную информацию, знакомит с ней других лиц или же делает ее недоступной.

Как показал анализ, для борьбы с инсайдерами необходимо решить следующие задачи: соответствие нормативных актов и стандартов требованиям; информационная сохранность (ненанесение вреда); сохранность данных; выявление наличия утечки.

Можно выделить основные пути предотвращения утечки информации:

Самоконтроль над инсайдерами, с тем, чтобы не произошло непроизвольной утечки информации; назначение на руководящие посты ответственных, проверенных, морально устойчивых людей; акцентирование внимания этих людей на том, что не каждая информация подлежит распространению среди широкой публики.

По-видимому, эта проблема лежит в сфере человеческого фактора. К сожалению, бороться с ней затрудняются даже спецслужбы.

**Ключевые слова:** Информационные технологии, системообразующий компонент, риски

**Рецензент:** Профессор Корнели Одишария. Грузинский технический университет

**შთი ჯიჯეიშილი, მანანა დარჩაშვილი  
გლოგალურისა და ეროვნულის თანამდებობის პროცესები  
საქართველოში თანამდებობები მოფლიო კოლიფიაში  
პროცესების პონტიფიცი**

თანამედროვე უნიკალურ გეოპოლიტიკურ, გეოპლატფორმულ და ეკონომიკურ გლობალურ პროცესებში საქართველოს ადგილისა და პოზიციის სწორად განსაზღვრას გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია ახალგაზრდა ქართული დემოკრატიული სახელმწიფოს ფორმირებისათვის. ერთი მხრივ, მან მხარი უნდა აუბას მიმდინარე გლობალურ პოლიტიკურ პროცესებს, ჩაებას გლობალურ პროექტებში და გახდეს დასავლეთის ნაწილი, მაგრამ, მეორე მხრივ, ამ შეუწერებელი გლობალიზაციური პროცესების მიმდინარეობისას მან უნდა შეძლოს საუკუნეებგამოვლილი ტრადიციების შენარჩუნება; შენარჩუნება იმ ყოველივე ფასეულისა, რაც ქართველებს სხვადასხვა ფენომენის – ენის, სარწმუნოების, ფოლკლორისა და კულტურის სხვადასხვა ორიგინალური კომპონენტის სახით აქვს შექმნილი და დარჩეს ქართველად.

საქართველო მოიაზრება დასავლეთის ნაწილად იმ კრიტერიუმების უმრავლესობის საფუძვლზე, რომლებიც საფუძვლად უდევს ევროპულ ინტეგრაციას. ლუქსემბურგის ევროპული კვლევების ინსტიტუტის დირექტორმა არმანდ კლესიმ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წაკითხულ დექციაზე დაასახელა ექვსი კრიტერიუმი: გეოგრაფიული, პოლიტიკური, კულტურული, რელიგიური, სტრატეგიული და ეკონომიკური. ამათგან უკანასკნელი ცალსახად უარყოფს ჩვენს მიერთვნებულობას ევროპულ სივრცესთან, რადგანაც იგი დასავლეთად წარმოგვიდებული განვითარებული ინდუსტრიული ქვექნების უმრავლესობას (ამ ნიშით იაპონიაც ევროპული ერთობის წევრად მოიაზრება), გეოგრაფიული კრიტერიუმის მიხედვით სადაც არის თუ არა საქართველო ევროპის ნაწილი. რაც შექება დანარჩენ ოთხ კრიტერიუმს, ისინი საქართველოს ევროპის ფარგლებში აქცევენ.

რელიგიური კრიტერიუმის მიხედვით ქართველი ერთ დასავლეურ (ევროპულ) სივრცეში მოიაზრება, რადგან იგი იყო ერთ-ერთი პირველი ევროპული ქვეყანა, სადაც ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად აღიარეს, ხოლო ევროპული სამყარო სწორედ ქრისტიანულ ფასეულობებს დაეფუძნა.

კულტურული კრიტერიუმის მიხედვით საქართველო შეიძლება მივაკუთვნოთ ევროპას, ვინაიდან მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა მთელი თავისი ისტორიის მანძილზე მუდმივად განიცდიდა აღმოსავლური კულტურის მოძალებას, რაც იასახა კიდევ მნიშვნელოვნად მის სტილზე, გარეგნულ ფორმასა თუ ფასადზე,

მაინც მისი შინაარსი ყოველთვის იყო ქართული, ეროვნული ცნობიერებისა და საზოგადოების სოციალური განვითარების კუთხით მისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი თავისუფლებისა და თანასწორობის ღირებულებები ევროპული წარმომავლობისა იყო და მთლიანად განსხვავდებოდა აზიური ფასეულობებისაგან. ამ კონტექსტში განსახილველად საინტერესოა რენესანსის პერიოდის საქართველო, რომელიც წარმოადგენდა მოწინავე ევროპულ ქვეყანას ადამიანის უფლების დაცვის თვალსაზრისით. მან ერთ-ერთმა პირველმა შექმნა „ომბუდმენის ინსტიტუტი“ – კარი საჯარო, რომელიც სხვადასხვა სახის გადაცდომების გასაჩივრების საშუალებას იძლეოდა. ჯერ კიდევ თამარის მეფობისას იკრძალებოდა „ასოთა მოკუჯოთა“ ანუ დასახიჩება – ის, რაც მხოლოდ მოგვიანებით ჩაიწერა აშშ-ის კონსტიტუციის შესწორებიდან ერთ-ერთ მუხლში – „სასტიკი ან უჩვეულო სასჯელის გამოყენების“ აკრძალვა. მოგვიანებით უუთლეულო არსლანის პოლიტიკურმა დასმა მოითხოვა „ისნის კარავის“ დაარსება, რომელიც პარლამენტის მსგავსი საქართველოს უფლებებით აღჭურვილი მუდმივი დაწესებულება უნდა ყოფილიყო. ჩვენი ისტორიიდან კიდევ უმრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება ამ თეზის სასარგებლოდ.

პოლიტიკური კრიტერიუმების მიხედვით, რომელიც ევროპის ფარგლებში აქცევს იმ სახელმწიფოებს, რომლებიც დასავლეთის პოლიტიკურ მრწამს იზიარებენ, ჩვენი ხელისუფლების მიერ დეკლარირებული კურსი ევროპის ნაწილად ჩვენი აღიარების საფუძვლს იძლევა.

რაც შეეხება სტრატეგიულ კრიტერიუმს, იგი ევროპად მოაიზრებს საერთო სტრატეგიული ინტერესების მქონე ქვეყნების ერთობლიობას. საქართველოსთვის, გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, სატრანზიტო უწენების მინიჭებით და სხვადასხვა პროექტებით დასავლეთის დაინტერესებით ეს უკანასკნელიც ჩვენი ევროპელობის სასარგებლო არგუმენტად შეიძლება ჩაითვალოს.

ამრიგად, საქართველოს მიერ ევროპული ფასეულობების გაზიარება და ამ ფასეულობაზე ორიენტაცია უნდა წარმოადგენდეს საქართველოს განვითარების ძირითად ორიენტირს. დასავლეურ ფასეულობებზე საუბრისას მხედველობაში გვაქვს უნივერსალური ევროპული ღირებულებები – ხელისუფლების შტოთა გადანაწილებისა და დაბალანსების, პლურალიზმის, დემოკრატიის, თვითმმართველობის და სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირების დასავლეური იდეები, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს მორგებული ეროვნულ მენტალიტებთან. „დემოკრატია არ შეიძლება ჩაგთვალოთ ერთხელ და სამუდამოდ დამყარებულ სისტემად, მოცულობად ან

თუნდაც ცალკეულ სტატისტიკურ მოდელად, რომლის გამოყენება ნებისმიერი ქვეყნის რეალობაში იქნება შესაძლებელი... თუ არ გავითვალისწინეთ ცივილიზაციის მახასიათებლები, ნიშან-თვისებები, ჩვევები და ტრადიციები და თითოეული ერის მენტალიტები, ძალიან ძნელი იქნება ზუსტად შეფასება... რა ფორმით შეიძლება აქ დემოკრატიის დამკავდრება – წერს პორტუგალიის რევოლუციის შემოქმედი და პრეზიდენტი მარიო სოარესი [1, 55].

იყო დასავლეური ოჯახის ნაწილი და ამავე დროს დარჩე ქართველად საქმაოდ რთული ამოცანაა, რასაც ადასტურებს იუნესკოს ექსპერტების დასკვნაც, რომლის მიხედვითაც XXI ს-ის ბოლოს ამჟამად არსებული 2000 წელიდან მხოლოდ 10% დარჩება. მაგრამ ამასთანავე მსოფლიო პოლიტიკურ ავანსცენაზე არსებობს მაგალითები, როდესაც ორგანულად მოხდა ამ ორი ფაქტორის კომბინაცია. დიდი ქართველი მოაზროვნე ნიკო ნიკოლაძე ამ მხრივ სამაგალითოდ თვლიდა იაპონიას. მან შეისწავლა XIX ს-ის მეორე ნახევრის იაპონიის ე.წ. „მეიდის რევოლუციის“ პერიოდი, რომლის დროსაც ქვეყანამ უზარმაზარი თვისიძრივი ნახტომი გააკეთა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და ეს შეძლო გონივრულად წარმოებული ეროვნული პოლიტიკის წყალობით, რომელშიც ახალი ცხოვრების საწყისად აღიარებული იყო საკუთარი ხალხის კულტურული მემკვიდრეობა, ტრადიციები, წეს-ჩვეულებები და იაპონური ცხოვრების წესის მდიდარი ეროვნული შინაარსი. იაპონია წარმოადგენს უნიკალურ მაგალითს, თუ როგორ შეიძლება მოარგო დემოკრატიის უნივერსალური პრინციპები საკუთარ კულტურას და დარჩე თვითმყოფად ერად, მხოლოდ შენთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით.

დიდი ქართველი, ილიას პოლიტიკური მემკვიდრე არჩილ ჯორჯაძე სახითვათოდ თვლიდა ქართულ სცენაზე უცხოურიდან გადმოქართულებული (ქართულ რეალობას მორგებულად) პიესების დადგმას, ვინაიდან ერთი და იგივე ფასეულობების აღქმა სხვადასხვა ერგბის მიერ განსხვავებულად ხდება. ის, რაც ერთი კულტურისათვის პოზიტიურად აღიქმება, მეორესათვის არის მთლიანად მიუღებელი. მაგალითისათვის, იაპონელებს პრინციპულად არ შეუძლიათ „არა“-ს თქმა, რადგან ეს მათ კულტურაში უზრდელობად ითვლება, ამიტომ მოლაპარაკების დროს ისინი ათასგარი ზრდილობიანი ფორმით ცდილობენ უარის თქმის თავიდან აცილებას, რასაც სშირად შეცდომაში შეპყავს მათი დასავლელი პარტნიორები; არაბები ყავის სმასა და საუბარს საქმის კეთებად მიიჩნევენ, ამერიკელები მას დროის ფუჭად ფლანგად თვლიან, ჩინელები და იაპონელები უდიდეს პატივს სცემენ იერარქიულ ურთიერთობებს, ამერიკელები კი კი

მუდმივად თანასწორობის ხაზგასმას ცდილობენ. ამერიკული ინსტრუქციები იმასაც კი ითვალისწინებს, რომ აზის წარმომადგენებლებთან ფოტოგრაფიულის დროს სასურველია ჯდომა, რათა თვალშისაცემი არ იყოს სიმაღლეში სხვაობა [2. 600]. თანასწორობის დაცვის კუთხით ამერიკელები ძალიან შორს წავიდნენ. მხედველობაში გვაქვს აშშ-ს მოქმედი აფრომერიკელი პრეზიდენტის ბარაკ ობამას მიერ თანასწორობის სახელით ჯერ კიდევ როდანდ რეიგანის დროინდელი რესპუბლიკელების მიერ მიღებული კანონის გაუქმება, რომლის მიხედვითაც არმიაში სამსახური ეკრძალებოდათ განსხვავებული ორიენტაციის ადამიანებს; ხოლო შემდეგ კი მისი განცხადება ერთსქესიანი ქორწინების დაკანონების შესახებ. როდესაც ობამას რესპუბლიკელმა კონკურენტმა ნიკ რომნიმ პრეზიდენტთან წინასარჩევნო დგბატების დროს დაუფარავად განაცხადა, რომ ქორწინება მას მხოლოდ კაცსა და ქალს შორის წარმოუდგენია, ობამამ მას უპასუხა – ჩვენ უკან ვერ დავბრუნდებით. ამ სიტყვების ავტორს, რომელიც აშშ-ს ისტორიაში მეორე კათოლიკე პრეზიდენტია ჯონ კენედის შემდეგ, მსედველობაში ჰქონდა ჯოზეფ მაკარტის პერიოდი, როდესაც ამერიკა პურიტანულ-კონსერვატიული ფასეულობების მატარებელი იყო და, შესაბამისად, ამ საკითხთან დაკავშირებით რადიკალურად განსხვავებული შეხედულებები არსებობდა. მაგრამ შემდეგ აშშ-ზე ზარმაზარი ნახტომები გააკეთა ლიბერალიზაციის მიმართულებით საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და მათ შორის რელიგიაშიც. ბევრი კულტურისათვის თანასწორობის სახელით რელიგიის ამგვარი ლიბერალიზაცია მიუდებელია, ამიტომ ძალიან ბევრი მკვლევარი „ამერიკის დექრისტიანიზაციას“ მიიჩნევს დასავლეთის კრიზისის მთავარ მიზეზად. მაგალითისათვის, შეიძლება დაგასახელოთ უკიდურესი მემარჯვენე ამერიკელი პოლიტიკოსი პატრიკ ბიუკენანი, რომელიც თავის წიგნში „დასავლეთის სიკვდილი: როგორ ემუქრება ჩვენს სახელმწიფოსა და ცივილიზაციას მოსახლეობის კლება და იმიგრანტთა შემოსევები“, აგეთებს ძალიან სავალალო დასკვნას: 2050 წლისათვის აშშ მესამესარისხოვან ქვეყნად გადაიქცევა, ევროპის თეორეანიანი მოსახლეობისა და იაპონელების რიცხვი კატასტროფულად დაიკლებს, საბოლოოდ კი ისინი სულაც გაქრებიან აზიისა და აფრიკის მუსლიმური ქვეყნების დემოგრაფიული შემოტევების შედეგად. განახლდება ისლამის ზეწოლა ევროპის ქვეყნებზე, რასაც უკვე ადგილი ჰქონდა ისტორიაში, მაგრამ მისი შედეგები ამჯერად გაცილებით ტრაგიკული იქნება ევროპელებისათვის. რაც შეეხება რუსეთს, ბიუკენანი თვლის, რომ ჩინეთი განდევნის მას ციმბირიდან, მუსლიმური სამყარო კი

ქავკასიონან და ცენტრალური აზიოდან და, რაც მთავარია, ამ პროცესების მთავარ მიზეზად პოლიტიკოსს ქრისტიანული სარწყმუხოების დაქეკითება მიაჩნია [3, 119].

არ გვინდა გავიზიაროთ ბიუკენანის მიერ დახატული სავალალო სამომავლო პერსპექტივა, მაგრამ მისი გარკვეული სიმპტომები სახეზეა. მხედველობაში გვაქვს ისლამის წარმოუდგენელი სისწრაფით გავრცელება დედამიწაზე ყველა მიმართულებით. უკანასკნელ 25 წელიწადში მუსლიმების რაოდენობა ზუსტად სამჯერ გაიზარდა და ისტორიაში პირველად გადააჭარბა ქრისტიანებისას. თუ 1973 წელს მუსლიმთა რაოდენობა 500 მილიონს უტოლდებოდა, ახლა ეს რიცხვი 1,5 მილიარდს გაუტოლდა. სხვაგარად რომ ვთქვაო, პლანეტის ყოველი მეოთხე მოსახლე მუსლიმია. რაც ყველაზე სავალალოა, განუხერედად იზრდება ევროპაში მცხოვრები მუსლიმების რაოდენობა. ევროპაში 17 მილიონ ემიგრანტ-მუსლიმანს ასი ათასობით ევროპელი მიემატა. ეს გავრცელება იმდენად თავბრუდამსხვევია, რომ ის არნახულ გავლენას ახდენს მათზე, ვინც ყოფიანობს [4, 25].

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ევროპის გადარჩენის ერთადერთი ფაქტორი „ფესტებისაკენ“ – ქრისტიანული ფასულობებისაკენ მიბრუნებაა, ისევე, როგორც ქართველი ერისა და მისი კულტურის – ქართული ცხოვრების წესის შენარჩუნება, რომლის დამცავი ზღუდე და ჯებირი მართლმადიდებლობაა. რელიგიას უჭირავს განმსაზღვრელი ადგილი ეთნიკური იდენტურობის სხვა დეტერმინანტებს შორის. იგი იცავს ქართულ კულტურას ჩვენი ტრადიციული ეროვნული კულტურისათვის მიუღებელი მანკიერებისაგან. დიდი კონსტანტინე გამსახურდია თავის შესანიშნავ წერილში „ევროპული რეაქცია და ამერიკული კანიბალიზმი“ წერს: „უზნეო იდეები სარეველა ბალახსა ჰგვანან, თუ წვიმებმა ხელი შეუწყვეს და გამომსმირავი არ გამოუჩნდა ყანებს, ქვეყანას წალეკავს სარეველა ბალახი“. გამომსმირავის როლი ჩვენს რელიგიას აკისრია, რაღაც მართლმადიდებლობა განსაზღვრავს ტრადიციულ საზოგადოებას, მის მაღალზეობრივ ნორმებს, ეროვნულ კულტურულ და კონფესიურ თვითმეოფადობას, რასაც ეროვნული ცხოვრების წესი ჰქვია. ქართული ცხოვრების წესის და ჩვენს მენტალიტეტზე მორგებული დასავლური დირეტულებების საფუძველზე უნდა შეიქმნას ეროვნული თვითცხობიერების თეორია, ყველა სამომავლო განვითარების ეროვნული კონცეფცია, რომელიც ქართულ სამყაროს მსოფლმხედველობა გახდება, რომელიც დაიცავს ქართველ ერს და საშუალებას მისცემს საქართველოს დარჩეს

მსოფლიოს ნაწილად და მონაწილეობა მიიღოს დასავლეთის გლობალურ პოლიტიკურ პროცესებში.

## ლიტერატურა

References

1. rurua n. Tavisuflebis kanoni, Tb., 2003.
2. Почекунов Г. Г. Теории коммуникации. М –Киев, 2001.
3. Ciqovani n. saqarTvelo kulturuli da civilizaciuri kuTvnileba civilizaciaTa Teoriis konteqstSi, Tb., 2005.
4. gaz.: `saqarTvelo da msoflio~, #44 (135), 2011.

**Keti Jjeishvili, Manana Darchashvili**

**Global and national correlation problems in Georgia in the Context of modern World Political Processes**

### Summary

In the article: “Georgia in the Context of the World’s Globalizing Political Processes”, the authors discuss the place and role of Georgia in the contemporary unique geopolitical, geo-cultural, and economic global processes, which gain the decisive significance for forming the young Georgian democratic state; they analyze the idea of belonging of Georgia to the Western world, as well as the national development conception based on the synthesis of the Georgian national lifestyle.

**Keywords:** Global Political Process, West World, National life's law, National mental

**Reviewer:** Professor Zurab Kvetenadze, Georgian Technical University

**Кети Джиджеишвили, Манана Дарчашвили  
Соотношение глобальных и национальных проблем грузии в контексте  
современного мирового политического процесса**

**Резюме**

В статье «Соотношение глобальных и национальных проблем грузии в контексте современного мирового политического процесса» авторы обсуждают место и роль Грузии в современных уникальных геополитических, культурных и экономических глобальных процессах, которые имеют решающее значение в формировании молодого грузинского демократического государства. Они анализируют идею принадлежности Грузии к западному миру и национальную концепцию развития, основанную на синтезе грузинского национального образа жизни.

**Ключевые слова:** Глобальные политические процессы, Западный мир, Национальный образ жизни, Национальный менталитет.

**Рецензент:** Профессор Зураб Кветенадзе, Грузинский Технический Университет

## გირიში ჩეიკიშვილი დასავლეთის იდეა ნიკო ნიკოლაძის შეხდულებები

ხელისუფლების შტოთა გადანაწილებისა და დაბალანსების, დემოკრატიის, თვითმმართველობის, ფედერალიზმისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირების დასავლურ იდეებს განმსაზღვრელი ადგილი უჭირავს ნიკო ნიკოლაძის პოლიტიკურ მემკვიდრეობაში.

ნიკო ნიკოლაძემ აღნიშნული საკითხების განხილვას მიუძღვნა თავისი ნაშრომები: „მოკლე განხილვა მმართველობის სხვადასხვა ფორმებისა“, „აბსოლუტური და კონსტიტუციური მონარქია და რესპუბლიკა“, „ბულგარია“ და სხვ. იგი დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკის შესწავლის, განზოგადებისა და ანალიზის საფუძველზე განიხილავს სახელმწიფო მმართველობის ფორმებს: მონარქიულს და რესპუბლიკურს. „მონარქიული“ ეწოდება იმ მმართველობის ფორმას, რომელშიც უზენაესი უფლება ერთი პირის ხელშია. ამ პირს ჰქვიან მონარხი, ანუ ხელმწიფე და სახელმწიფოს მონარხს ეძახიან“ [1. 273]. 6. ნიკოლაძე გამოყოფს მონარქიის ორ სახეს: მემკვიდრეობითსა და არჩევითს და ახდენს მათ კლასიფიკაციას მმართველობის წესის მიხედვით: 1. დესპოტური მონარქია; 2. გარეშესაზღვრელი, ანუ აბსოლუტური მონარქია და 3. გარეშე საზღვრული, ანუ კონსტიტუციური მონარქია. იგი ფართოდ განიხილავს მონარქიული მმართველობის თითოეულ ფორმას, ადგენს მსგავსებასა და განსხვავებას მათ შორის და ასკანის, რომ ყველაზე მეტად პროგრესული ფორმა მათ შორის არის კონსტიტუციური მონარქია, ვინაიდან ეს უკანასკნელი საშუალებას აძლევს ხალხის მასებს მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო საქმიანობაში. წინა ორი ფორმის დროს კი ყველაფერი მარტო ერთ კაცზე „ტრიალებს“. არ არსებობს სტაბილურობა, რამე წესი, კანონი, ტრადიცია, გარდა დესპოტების განუსაზღვრელი ნებისა, „რომ მე ვარ, სხვა არავინ, ყველა მე უნდა მემსახუროს და არა ქვეანასაო“ [2. 185]. აქ, „...ყოველი ახალი თაობა ყველად უაზრო, აღუზრდელი, უზრადიციო, უეცრად სპობს და ლექს წინანდელი თაობების ნაშრომს“ [2:185]. „ასეთ დესპოტიებში ყველაფერი მარტო ერთ კაცზე ტრიალებს და არა დაწესეულებაზე; ...ერის, იდეალის სსენება თანდათანობით ქრება დიდში და პატარაში“ [2. 185]. აღმოსავლეთის დესპოტიებში „მონური ერთგულება, მლიქენელობა, მონური სული, პირვერობა, ბრჭყვიალებისადმი გატაცებაა გაბატონებული“ [3. 124]. აღმოსავლეთის დესპოტიები და, საერთოდ, ერთმმართველური დესპოტიები ყველა ეპოქაში მაჯლაჯუნასავით აწვა საზოგადოებრივ ცხოვრებას, ცდილობდა

ყველაფრის ერთ დონეზე გათანაბრებას, ერთ კალაპოტში მოქცევას და ხალხის მუნჯ მანქანად ქცევას.

კონსტიტუციური მონარქიის ფუნქციონირების დროს კი „ხელმწიფე მეფობს და არ მართავს“. სახელმწიფოს ფაქტიურად მართავს ხალხისგან არჩეული წარმომაგენტობითი ორგანო – პარლამენტი, რომელიც თავის მხრივ ორი პალატისაგან შედგება: „ერთს ჰქვიან ქვემო პარლამენტი, დეპუტატთა ან წარმომადგენელთ პალატა, აგრეთვე პალატა კომმუნებისა. ფრანციაში ამ დეპუტატთა პალატას სჯულისძამდებ კორპუსს ეძახიან... მეორეს უწოდებენ ზემო პარლამენტს, ზემო პალატას... ფრანციაში და იტალიაში ზემო პალატის მაგიერად სენატი არის... ზემო პარლამენტის წევრები უფრო არისტოკრატის წარმომადგენელი პირები არიან. ანგლიის ზემო პარლამენტში წევრის ადგილი ლორდებს ეკუთვნის შთამომავლობით. იქ სხედან აგრეთვე თანამდებობის ძალით ანგლიის მთავარებისკომოსები და ეპისკოპოსები. გარდა ამისა, კაროლს შეუძლიან უბოძოს ზემო პარლამენტის წევრობა დამსახურებულ კაცებს. ფრანციაში სენატორებს თვითონ იმპერატორი ნიშნავს“ [1. 273].

თუმცა, ნ. ნიკოლაძე აღიარებს კონსტიტუციური მონარქიის, როგორც საზოგადოებრივი წეობისა და მმართველობის ფორმის პროგრესულობას დესპოტიასა და აბსოლუტურ მონარქიასთან შედარებით, მაგრამ საერთოდ მონარქიულ მმართველობას იგი ნაკლები სიმპათით ეკიდება. მისი აზრით, მომავალი რესპუბლიკას ეკუთვნის.

რაც შეეხება მმართველობის რესპუბლიკურ ფორმას, ნ. ნიკოლაძე მისი მსურვალე დამცველი იყო სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე. რესპუბლიკას იგი შემდგენაირად განმარტავს: „იმ სახელმწიფოს, რომელშიაც უზენაესი უფლება რამდენიმე პირის ხელშია, რესპუბლიკა ჰქვიანი“ [1. 273]. უმთავრეს განსხვავებად მონარქიასა და რესპუბლიკას შორის მას მიაჩნია ის ფაქტორი, რომ რესპუბლიკური მმართველობის დროს „მექანიზმებით ხელმწიფის მაგივრად სახელმწიფო წარმომადგენლათ ითვლება ხალხისაგან ამორჩეული პირი – რესპუბლიკის პრეზიდენტი“. რესპუბლიკას განაგებს არა ერთი პირი, არამედ რამდენიმე. ნ. ნიკოლაძე არკვევს სიტყვა „რესპუბლიკის“ ეტიმოლოგიას. იგი მიუთითებს, რომ სიტყვა „რესპუბლიკა“ ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს „საზოგადო საქმეს“. იგი იცნობს რესპუბლიკის შემდეგ სახეებს: არისტოკრატიულს, ოლიგარქიულს და დემოკრატიულს. „როდესაც რესპუბლიკას მართავენ არისტოკრატები, იმას ეძახიან არისტოკრატიულს; თუ უზენაესი ხელისუფლება რესპუბლიკაში რამდენიმე გვარმა ან პირმა ჩაიგდო ხელში, მაშინ ამ მმართველობას ოლიგარხიულს უწოდებენ. როდესაც ერთი კაცი მოიგდებს ხელში

უზენაეს უფლებას რესპუბლიკაში, იმას ტირანს ეტყვიან და ამგვარს მმართველობას ტირანიას. თუ რესპუბლიკას მართვენ მთელი ხალხისაგან ამორჩეული კაცები, იმის მმართველობას დემოკრატიულს ეძახიან“ [1. 381:383].

აღნიშნული ფორმებიდან ყველაზე წინ ნ. ნიკოლაძე დემოკრატიას აყენებს. მისი აზრით, „დემოკრატია შექმნა ბურჟუაზიამ. ვინც ოდნავ მაინც იცის ისტორია, მისთვის ცხადია, რომ დემოკრატია შექმნილია ბურჟუაზიისაგან. ყოველიფერი, რაც არსებობს რესპუბლიკის საფუძვლებში, ეს შექნა ბურჟუაზიამ თავის შენაძენი უფლებების დასაცავად“ [4. 55].

ვინაიდან დემოკრატიის სტაბილურობისა და ეფექტიანობისათვის გადამწყვეტი გახდა XIX-XX საუკუნეებში ევროპასა და, განსაკუთრებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში შექმნილი ცენტრალური სახელმწიფო ინსტიტუტები, ნ. ნიკოლაძეც აშშ-ის მაგალითით ხელმძღვანელობს, როდესაც აყალიბებს თავის აზრს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე. იგი აღნიშნავს, რომ ქვეყანაში კარგად არის მოწესრიგებული საკანონმდებლო, აღმასრულებელი თუ სასამართლო ხელისუფლების საკითხი. „სამი უფლება: სჯულისდამდები, აღმასრულებელი და სამსჯავრო შეერთებულს შტატებში უკეთ და უფრო სწორედ არის განსაზღვრული, ვინემ ევროპის კონსტიტუციურს სახელმწიფოებში. სამივე უფლება ხალხისაგან წარმოსდგება“ [1. 383]. ნ. ნიკოლაძე აღმაფრენით მიუთითებს ხალხის ფართო მასების მონაწილეობაზე ყოველგვარ საქმიანობაში და შტატების თვითმმართველობის დამოუკიდებლობაზე. გამ. „რესპაია ვოლიაში“ გამოქვენებულ სტატიიბში იგი დემოკრატიად მიიჩნევს პოლიტიკური წყობილების ისეთ ფორმას, რომელიც აღიარებს ხალხის ხელისუფლებას, სახელმწიფოს ძირითადი ორგანოების არჩევითობას, მოქალაქეთა თავისუფლებას, თანასწორობასა და პოლიტიკურ უფლებებს დაფიქსირებულს კონსტიტუციაში. კონსტიტუციის დიქტატს და ამის საფუძველზე სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას ნ. ნიკოლაძე დემოკრატიის განვითარების აუცილებელ შედეგად თვლის. მისი შეხედულებით, სამართალს დემოკრატიულ საზოგადოებაში უნდა ჰქონეს ზეკლასობრივი ხასიათი და მას უნდა ემორჩილებოდეს საზოგადოების ყელა ფენა და წევრი, დაწყებული რიგითი მოქალაქიდან, დამთავრებული პრეზიდენტით. იმის ნიმუშად, თუ როგორ უნდა მოხდეს დემოკრატიის ძირითადი პრინციპის – მოქალაქეთა თანასწორობისა და თავისუფლების პრინციპის – განუხრელი დაცვა ნ. ნიკოლაძეს მოჟყავს აშშ-ის მაგალითი სტატიაში „აბსოლუტური და კონსტიტუციური მონარქია და რესპუბლიკა“. იგი

აღფრთვანებული მოგვითხრობს, რომ კანონის დარღვევის გამო თვით პრეზიდენტი ჯონსონიც კი 1868 წელს „სამართალში მისცეს და კიხადამაც დასაჯეს“.

უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოდ, დემოკრატიული წეობა ნ. ნიკოლაძეს იდეალურად არ მიაჩნია. „კაცობრიობას, – წერს ის, – არც ერთი განწყობილება, არც ერთი ჩვეულება არ ჰქონია და არც ეხლა აქებს ისეთი, რომ სამუდამოდ აეთილი და შეუცვლელათ გამოსადეგი ყოფილიფოს. ყოველიფერს ნიადაგის გაუმჯობესება ეჭიროება... უკეთეს უნდა იცვლებოდეს, ახლდებოდეს და უმჯებესდებოდეს“ [5. 343].

მაგრამ არსებული პოლიტიკური სისტემებიდან ყვალაზე მისაღებ ჰუმანურ და პრაქტიკით შემოწმებულ სისტემად ნ. ნიკოლაძე დემოკრატიულ სისტემას თვლის. მოგვიანებით დიდი ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე უ. ჩერჩილიც იტყვის: „დემოკრატია საძაგლობაა, მაგრამ უკეთესი კაცობრიობას ჯერ არაფერი მოუგონია“ [6. 144].

სამართლებრივი სახელმწიფოს პირობებში როგორც მოქალაქე აგებს პასუხს სახელმწიფოს წინაშე, ასევე სახელმწიფოსაც ეკისრება პასუხისმგებლობა დაიცვას ყოველგვარი თვითნებობისაგან მოქალაქეთა უფლებები. ამ ამოცანის განხორციელება თანამედროვე პირობებში 6. ნიკოლაძეს წარმოუდგენია კერძო სექტორში სახელმწიფო სექტორის ჩარევის ხარისხის გაზრდილი დოზით მისი რეგულაციის მიზნით. 1868 წ. „ევროპის ცხოვრებაში“ ნ. ნიკოლაძე მიუთითებს, რომ საზოგადოების წევრების პირადი თავისუფლების მიღწევა შესაძლებელი გახდება მხოლოდ განვითარებული კაპიტალიზმის პირობებში, მის უმაღლეს სტადიაზე, როცა საზოგადოება იზრუნებს „რათა უკეთა მის წევრს თანაბარი შანსი ჰქონდეს არსებობისათვის ბრძოლაში გასამარჯვებლად“ [1. 417].

ეტატიკური ტენდენციები განსაკუთრებით საჭირო და ძლიერი უნდა იყოს კაპიტალიზმის განვითარების საწყის ეტაზზე, – თვლის ნ. ნიკოლაძე თავის წერილში – „ვიდრე საზოგადოება ყრია ამაგრი მოთხოვნილებელისადმი, ცალკე მისი წევრები, რომელიც დაჯგუფებული არიან ახოციაციებსა და მსგავს საზოგადოებებად, მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევენ რაიმე წარმატებას, როდესაც ისინი გაერთიანებული შრომით – საერთო ძალების, ხოლო გაერთიანებული მოხმარებით და უშუალო გაცვლა-გამოცვლით, საერთო სიმღიდრის კონომიზაციას მოახდენენ“ [7. 176].

მოგვიანებით, ამ აზრს დაადასტურებს ცნობილი იაპონელი ეკონომისტი სუბურო ოკიტა, რომელიც თვლის, რომ თუ ქვეყნას არ გააჩნია თავისუფალი ბაზრის მექანიზმის გარკვეული ტრადიცია,

გამოცდილება და შესაბამისი სოციალური კულტურა, კაპიტალიზმის განვითარების გარკვეულ ეტაპზე განსაკუთრებით საჭირო ხდება უშუალო სამთავრობო ხელმძღვანელობა. ასეთ გარემოცვაში სახელმწიფო დაგეგმარებისა და საბაზრო მექანიზმების ურთიერთშეწყობის აუცილებლობა გამოწვეულია წმინდა ისტორიული მოსაზრებით, ხოლო ასეთ შემთხვევაში მარტოდენ თავისუფალი ბაზარი პანაცეად ვერ იქცევა.

6. ნიკოლაძის კონცეფციის მიხედვით თავისუფალ თაოსნობასთან ერთად კანონზომიერად იქნება აგრეთვე შერწყმული ადმინისტრაციული რეგულირების ფორმები, სადაც კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული ეკონომიკა ამავე დროს მეწარმეობის, კომერციული და ფინანსური საქმიანობის სინთეზი გახდება, ხოლო მეურნეობრივ საქმიანობაში მმართველი ორგანოების ჩარევის შედეგად მოხდება თავისუფალი კონკურენციის უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება. როგორც ვხედავთ, სახეზე გვაქვს სოციალური სახელმწიფოს ტიპიური სურათი.

6. ნიკოლაძე ერთ-ერთი პირველი მოაზროვნე პოლიტიკოსია, არა მარტო ქართულ სინამდვილეში, არამედ გლობალური მასშტაბითაც, რომელიც ორიენტირს იდეას სოციალური ტიპის სახელმწიფოსა და სოციალ-დემოკრატიულ იდეოლოგიაზე, რომელსაც თანამედროვე პოლიტოლოგიურ ლიტერატურაში „მესამე გზასაც“ უწოდებს. ეს კონცეფცია მოგვიანებით მრავალ ქვეყანაში სხვადასხვა პოლიტიკური ძალების მიერ იყო წამოწეული. აშშ-ში „ახალი დემოკრატებისა“ და ბილ ქლინითონის მიერ, ბრიტანეთში – ტონი ბლერის მიერ. ეს იღები აიტაცეს თეორეტიკოსებმა გერმანიაში, პოლანდიაში, იტალიასა და ახალ ზელანდიაში. მან თეორიული დასაბუთება პპოვა თანამედროვე პოლიტიკური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლის, ნობელის პრემიის ლაურეატის, პოლანდიელი პროფესორის ი. ტინბერგის წიგნში „ეპონომიკური პოლიტიკა“, აგრეთვე კონვერგენციისა და ტექნიკიდილის სხვა თეორეტიკოსთა შრომებში. პრაქტიკულად კი ხორცი შეასხეს შევცის, დანის, ნორვეგის, ფინეთის, შვეიცარიისა და სხვა სახელმწიფოთა პოლიტიკურ მოდელებში, რომლებიც მსოფლიოში ცნობილია დასავლეთის დემოკრატიული სოციალიზმის სახელით.

6. ნიკოლაძე თბილისსა და ქუთაისის საადგილმამულ ბანკებს ისეთივე ღონისძიებების გატარებას სთხოვდა, როგორსაც დასავლეთ ევროპელი სოციალისტები ნაციონალურ ბანკებს – „სამუშაო ძალის“ რეზერვუარებს. საზოგადოებრივი ბანკები, – წერს ნ. ნიკოლაძე, – იმისათვის არიან დაბარსებულნი, რომ მოიპოვონ და დაიხსნან გაჭირვებული ხალხი... კაპიტალისტების ხელიდან. მეორე მხრივ,

ბანკები გამართული აქვთ თვითონ ამ კაპიტალისტებსაც რომ „წესიერათ“ და „კანონიერათ“ ძარცვონ ხალხი. საზოგადო მეცნიერებაში გამოიგონა საზოგადოებრივი ბანკები სწორედ იმისათვის, რომ ამ ვაჟბატონებს ხელი შეუწყოს თავისუფალ გლეჯაში და ძარცვაში.

საქართველოს სინამდვილეში ნ. ნიკოლაძე ორიენტირებული იყო დასავლურ სოციალურ სახელმწიფოზე, სადაც თვითმოქმედებისა და თვითმმართველობის გზით „ადამიანთა უდიდესი რიცხვის უდიდესი კეთილდღეობა განხორციელდებოდა“ და სავსებით ბუნებრივია, რომ მისთვის მიუღებელი იყო ის პოლიტიკური მოდელი, რომელიც ჩვენში სოციალიზმის სახელით ჩამოყალიბდა და დამკაიდრდა. მისი აზრით, „ლურ ბლანის უთავრესი დამსახურება იმ შეცდომის დარღვევაშია, ვითომ სოციალიზმს და უსაზღვრო მონარქიას ერთად არსეობა შეეძლოთ“. მაგრამ რეალურ სინამდვილეში საბჭოური სოციალიზმი დიქტატურასთან ერთად თანაარსებობდა. ამიტომაც იყო, რომ ნ. ნიკოლაძეს ბოლშვიზმის არაფერი სწავლა. მის შესახებ არაორაზროვნად აცხადებდა: „სოციალიზმს დემარგის მეტი ჯერ არაფერი შეუქმნია, ის ყოველთვის ყოფილა დესპოტიზმის წინამორბედი“ [8. 34-36].

დღევანდება მსოფლიოში სულ უფრო მეტად იზრდება ეტატიკური ტენდენციები. ავსტრალიისა და საფრანგეთის კონსიტიტუციებში სპეციალური შესწორებანი იქნა შეტანილი ეკონომიკური და სოციალური ფუნქციების განხორციელებაში სახელმწიფოს როლის გაზრდის აუცილებლობის შესახებ.

ამ საკითხთა ანალიზი დღესაც უაღრესად აქტუალურია. იგი უნდა წარმოადგენდეს საქართველოს განვითარების ძირითად ორიენტირს. ამიტომაც საჭიროდ ჩავთვალეთ დაწვრილებით გაგებანალიზებინა ნიკო ნიკოლაძის შეხედულებები დემოკრატიის ძირითადი კონტურების: ხელისუფლების შტოთა დაბალანსების, კანონის უზენაესობის, მოქალაქეს და სახელმწიფოს შორის პასუხისმგებლობის გადანაწილებისა და სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის შესახებ.

## ლიტერატურა

### References

1. n. nikolaZe. Txz., Tb., t. I, 1931.
2. n. nikolaZe. ucxoeTis mimoxilva, bulgaria, Jurn.: `moambe~, #6.
3. n. skandeli. napoleon mesamis cxovreba. Jurn.: `krebuli~, 1873, #3.
4. o. janeliZe. niko nikolaZe (biografiidan amoxeuli furclebi), Tb., 1998.
5. n. nikolaZe, Txz., t. II, 1933.
6. vladimer WanuyvaZe, politikuri dialogebi, Tb., 1998.

7. bzignev bzeJinski. didi cvlilebebi. Jurn.: `sazogadoeba da politika~, #1, Tb., 1996.
8. saqarTvelos damfuZnebeli kreba, 1919 wlis 31 oqtombris 57-e sxdomis stenografiuli angariSi, tf., 1918.

## **GIORGİ CHKHİKVİSHVİLİ WESTERN IDEA OF NIKO NIKOLADZE'S VIEW**

### **Summary**

In this article of Giorgi Chkhikvishvili „Western idea of Niko Nikoladze's view“ is discussed views of Niko Nikoladze about western values.

It's given main western values such as: participation of government, democracy, supremacy of law analyzing obligation of state and citizens sympathies of Niko Nikoladze to western idea. such as Federal government activities of people in polities. He prefers self governments and people's activities.

**Keywords:** western idea, participation of government, democracy, Social Democracy ideology.

**Reviewer:** Professor Zurab Gamezardashvili, Georgian Technical University

## **ГИОРГИЙ ЧХИВИШВИЛИ ИДЕЙ ЗАПАДА ВО ВЗГЛЯДАХ НИКО НИКОЛАДЗЕ**

### **Резюме**

Изученная нами политico-публистическая литература в трудах Нико Николадзе дает основания выделить западные идеи, в которых рассматривается понятие «Грузинская демократия» это: социаль-демократическая идеология, разделение и балансирование власти, федерализм в грузинской реальности распределение ответственности между гражданином и государством и формирование правового государства. Сегодня эти проблемы возникают с большей актуальностью и являются главным ориентиром в развитии Грузии.

**Ключевые слова:** западная идея, Грузинская демократия, социаль-демократическая идеология, правовое государство.

**Рецензент:** профессор Зураб Гамезардашвили, Грузинский Технический Университет

# ტ ს ტ რ ი ა

მარიამ რაჭიაშვილი  
რუსთ-საქართველოს ომი და საფონეთის რესპუბლიკის  
რჩაშვილი

რუსეთის მიერ 2008 წლის აგვისტოში საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესის შემდეგ, ესტონეთის უკრეცედენტოდ მტკიცე და მრავალმხრივი მხარდაჭერა საქართველოსადმი განპირობებული იყო არამარტო ობიექტურად არსებული ინტერესთა თანხვედრით, არამედ ორმხრივი პოლიტიკური ურთიერთობების მაღალი ხარისხით.[1]

2007 წლის აპრილის “ბრინჯაოს დამე” ქ. ტალინში და ამის შემდგომი რუსეთის უხეში პოლიტიკური ზეწოლა ესტონეთზე, ფაქტობრივად საქართველოზე რუსეთის სამხედრო აგრესის პრელუდია გახდა. ერთის მხრივ ეს ობიექტურად უწყობდა ხელს ჩვენ ქვეყანაზე განხორციელებული რუსული სამხედრო თავდასხმის დღეებში საქართველოსადმი სიმპათიისა და თანაგრძნობის გადვიგებას, მაგრამ მეორეს მხრივ ესტონეთის საკმაოდ გავლენიან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წრეებში (მთელი რიგი სხვა ევროპული სახელმწიფოების მსგავსად) მაინც შეიმჩნეოდა საქართველოსაგან გამიჯვნის სურვილი, რუსეთთან ესტონეთის ისედაც უკიდურესად გამწვავებული ურთიერთობების შემდგომი გაუარესების თავიდან აცილების მიზნით. ზემოაღნიშნული თვალსაზრისით ანგარიშგასასწევი იყო ისეთი ფაქტორი, როგორიცაა ესტონეთის რუსულენოვანი მოსახლეობა, რომელიც ქვეყნის მთელი მოსახლეობის მესამედზე მეტს შეადგენს. აქედან 100 000 – ზე მეტი რუსული პასპორტის მფლობელია.[2] მეორე ნაწილს აპატრიდები შეადგენს. რუსულენოვანი მოსახლეობის ის ნაწილი, რომელსაც ესტონეთის მოქალაქეობა აქვს ასევე მრავალრიცხოვანია და მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე (ესტონური ელექტორატის ამ ნაწილზეა ორიენტირებული უაღრესად გავლენიანი და რეიტინგით მეორე პოლიტიკური ძალა ესტონეთში – ცენტრისტული პარტია, რომელიც დღეს საპარლამენტო პოზიციას წარმოადგენს).

2008 წლის 8 აგვისტოს გაიმართა ქსტონეთის რესპუბლიკის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის გაფართოებული სხდომა, რომელიც ფაქტობრივად ქსტონეთის მთელი პოლიტიკური სპექტრისა და მთავრობის ხელმძღვანელობის ერთობლივი შეხვედრა იყო. სხდომის დასრულებისთანავე საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა მიიღო სპეციალური, საქართველოს მხარდაჭერი უაღრესად მკვეთრი განცხადება, რომელშიც ცალსახად იყო დაგმობილი რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული აგრესია საქართველოს წინააღმდეგ. ესტონეთის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი კატეგორიულად მოითხოვდა რუსეთის აგრესის დაუყოვნებლივ, უპირობო შეწყვეტას და მხარდაჭერისა და რეაგირებისაკენ მოუწოდებდა გაეროს უშიშროების საბჭოს, ევროკავშირს, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს.

სხდომის შედეგი იყო ესტონეთის პარლამენტის მკვეთრი განცხადებაც. ესტონეთის ხელისუფლების შეირ გამოხატულმა მყისიერმა და ეფექტურმა მხარდაჭერამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ევროკავშირსა და მსოფლიო თანამეჯობრობაში საქართველოს მხარდაჭერის გაძლიერებაში, რამაც თავისი როლი შეასრულა რუსეთის სამხედრო აგრესის შემდგომი ესკალაციის შეჩერებაში.[3]

10-11 აგვისტოს მანიფესტაციები და მიტინგები ქ. ტალინში გაგრძელდა დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და გერმანიის საელჩოებთან. მომიტინგებები თავიანთ გამოსვლებში კატეგორიულად მოითხოვდნენ ევროპაუშირის წამყვანი წევრ-სახელმწიფოებისაგან უფრო გაძელებული პოზიციის დაფიქსირებას და საქართველოს ცალსახად მხარდაჭერას, ქართული ქალაქების დაბომბვის შეწყვეტას, რუსეთის აგრესის შეჩერებასა და აგრესორის ჯარების დაუყოვნებლივ და უპირობო გაყვანას. 12 აგვისტოს ასევე გაიმართა დიდი საპროტესტო მიტინგი ესტონეთის პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე. საქართველოს მხარდაჭერი სიტყვებით გამოვიდნენ ესტონეთის თვალსაჩინო პოლიტიკოსები, პარლამენტის წევრები, საზოგადო მოღვაწეები. მიღებულ იქნა საქართველოს მხარდაჭერი განცხადება, რომელზეც ხელი მოაწერა მიტინგის ყველა მონაწილემ.

ნიშანდობლივია, რომ მოხერხდა თითქმის მთელი ესტონურენოვანი მოსახლეობის დარაზმვა საქართველოს ინტერესების სადარაჯოზე.

ამის გამოვლინება იყო ზემოადნიშნული, ესტონეთის ისტორიაში 1980-90-ან წლის შემდგომ არნახული მასობრივი მანიფესტაციები, რომლებიც მრავალი დღის განმავლობაში უწყვეტად ტარდებოდა ათასობით ადამიანის მონაწილეობით (ეს მაშინ, როდესაც ქართული დიასპორა მთელ ესტონეთში სულ 400-მდე ადამიანს ითვლის, ქ. ტალინში კი სულ რამდენიმე ათეული ქართველი ცხოვრობს). [4]

2008 წლის 1 სექტემბერს ორგანიზებულ იქნა მასშტაბური აქცია “ცოცხალი ჯაჭვი – საქართველო ჩვენია”. ქ. ტალინის ერთ-ერთ მთავარ მაგისტრალზე შეიკრა საქმაოდ გრძელი ცოცხალი ჯაჭვი, რომელშიც მთელი ქართული დიასპორისა და ესტონეთის მრავალრიცხოვან მოქალაქეთან ერთად, იღგნენ ესტონეთის ცნობილი საზოგადოებრივი მოღვაწეები, პოლიტიკოსები, პარლამენტის წევრები. [5]

რუსეთ-საქართველოს ომის პირველსავე დღეებში ესტონეთის მთავრობამ გადაწყვიტა ათი მილიონი ესტონური კრონის (100 000 აშშ დოლარი) გამოყოფა საქართველოსათვის სასწავლო ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენის მიზნით, რამაც შესაძლებელი გახდა საერთო ჯამში 15,5 ტ. ჰუმანიტარული დახმარების გაგზავნა ესტონეთის რესპუბლიკიდან საქართველოში. [6]

ნიშანდობლივია, რომ ესტონეთის ხელისუფლების მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხრადამჭერი პოზიცია კიდევ უფრო გაძლიერდა 2008 წლის ომის შემდგომ, რაც გამოიხატება ამ პრინციპის სიატემატურ ხაზგასმაში ესტონეთის ხელისუფლების მაღალი და უმაღლესი დონის წარმომადგენლების მიერ გაკეთებულ განცხადებებში.

2011 წლის 22 სექტემბერს გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე სიტყვით გამოვიდა ესტონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ტოომას ჰენდრიკ ილვესი. პრეზიდენტმა ისაუბრა საერთაშორისო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების აქტუალურ საკითხებზე. ესტონეთის პრეზიდენტმა გაერო-ს ტრიბუნიდან კიდევ ერთხელ გამოხატა ესტონეთის მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ:

2011 წლის 8 თებერვალს ესტონეთის რესპუბლიკის პარლამენტში (რიიგიორგუ) გაიმართა დებატები საგარეო პოლიტიკის საკითხებზე. პარლამენტის წინაშე საგარეო პოლიტიკური საქმიანობის ანგარიშით

საგარეო საქმეთა მინისტრი ურმას პაეტი წარსდგა, რომელმაც მომავალი წლების პრიორიტეტების შესახებაც ისაუბრა. გამოსვლისას მინისტრმა რამდენიმე საგულისხმო განცხადება საქართველოს შესახებაც გააკეთა: [7]

- საქართველოში კონფლიქტის გადაწყვეტა უნდა დაუფუძნოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების დაცვის პრინციპს. მშვიდობიანი გადაწყვეტის წინაპირობებია ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება და უკრევის მოლაპარაკებების გაგრძელება. პუმანიტარული მდგომარეობის გამოსწორების მიზნით აუცილებელია გაერო-სა და ეუთო-ს მისიების აღდგენა ოკუპირებულ რეგიონებში, ასევე EUMM-ის მისიის წარმომადგენელთა დაშვება ამ რეგიონებში.

2011 წლის 5 სექტემბერს ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გაკეთდა განცხადება აფხაზეთში, საქართველო 26 აგვისტოს ჩატარებული ე.წ. “საპრეზიდენტო არჩევნების” შესახებ. განცხადების თანახმად, ესტონეთი არ სცნობს აფხაზეთში, საქართველო ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებს, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის პრინციპებს და შესაბამისად არაკანონიერია. ესტონეთი სრულად იზიარებს საგარეო ურთიერთობათა და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენლის ქორინ ეშთონის პრზიციას იმის თაობაზე, რომ ევროკავშირი კვლავ უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს საერთაშორისო სამართლის მიერ აღიარებული პრინციპების შესაბამისად.[8]

2010 წლის 8 აგვისტოს, რუსეთ-საქართველოს ომის 2 წლისთავთან დაკავშირებით, ესტონეთ-საქართველოს მეგობრობის ჯგუფმა მიიღო საეციალური განცხადება, რომელშიც დაგმობილია რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია:

“ესტონეთ-საქართველოს საპარლამენტო ჯგუფი გამოხატავს შეშფოთებას იმის გამო, რომ საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი ისევ ოკუპირებულია, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს არ გააჩნიათ საკუთარ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების საშუალება, საქართველოს მოქალაქეები, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების,

სამშვიდობო და პუმანიტარული მისიების წარმომადგენლები მოკლებულნი არიან ოკუპირებულ რეგიონებში შედწვის შესაძლებლობას. ესტონეთი კიდევ ერთხელ გამოხატავს პატივისცემას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ და მოუწოდებს რუსეთს, გამოიწვიოს თავისი გადაწყვეტილება ე.წ. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციებს – იდგნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მოთხოვნის პრინციპზე და მოითხოვონ ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლა.”

ესტონეთის რესაუბლივის საგარეო პოლიტიკის საფუძველს წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერა არამარტო ორმხრივ, არამედ მრავალმხრივ ფორმატებში.

**დასკვის სახით შეგვიძლია ვთქვათ:** XX საუკუნის 80-იან წლებში ბალტის ქვეყნები და შესაბამისად ესტონეთი წინააღმდეგობების კონცენტრაციის ცენტრად იქცა საბჭოთა კავშირში.

შედეგად ბალტის ქვეყნებმა თავისი მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს საბჭოთა კავშირის დაშლაში და პოსტსაბჭოური ქვეყნის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების სპეციფიური მოდელი შექმნეს. ყველაზე უფექტური რეფორმების გზა განვლო ესტონეთმა, რადგან ამ ქვეყანამ თავიდანვე აიღო კურსი ევროინტეგრაციისკენ. მნიშვნელოვანია, რომ მთელი რიგი ეპონომიკური და პოლიტიკური გადაწყვეტილებებისა მიღებულ იქნა ევროკავშირში, ევროპის საერთაშორისო სტრუქტურებში გაწევრიანების გავლენით.

ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებამ შესაძლებლობა მისცა ესტონეთს თავიდან აეცილებინა საპუთარი სუვერენიტეტის დაკარგვის საფრთხე, გადაეწვიტა “უხეში უსაფრთხოების” პრობლემა, მიეღო სასურველი ევროპული იდენტობა, ჩართულიყო მსოფლიოში კაპიტალის, საქონლის, სამუშაო ძალის უმსხვილეს ბაზარში, მიეზიდა ინვესტიციები.

ევროკავშირის სტანდარტების მიღწევა მნიშვნელოვან მოტივად იქცა რეფორმების გატარების გზაზე. ეს მოტივაცია დღემდე

შენარჩუნებულია, რადგან ესტონეთის წინაშე დგას უფრო დრმა ინტეგრაციის, იზოლაციის ინფრასტრუქტურის დაძლევის ამოცანები.

ესტონეთი სხვა მსხვილ ქვეყნებთან ერთად, მონაწილეობას იღებს ზოგადევროპულ, მათ შორის საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტაში, როთაც ისტორიაში პირველად შესაძლებლობა მიეცა გავლენა მოახდინოს მსოფლიო საგარეო-პოლიტიკურ პროცესებზე.

რაც შეეხება საქართველო-ესტონეთის ურთიერთობებს, აქ პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ საქართველო წარმოადგენს ისეთივე პოსტსაბჭოურ ქვეყანას, რომელსაც ანალოგიური გზა უნდა გაევლო სუვერენიტეტის მშენებლობისა, რაც ესტონეთს დაწყებული ჰქონდა ჯერ კიდევ საბჭოთა რესპუბლიკის დაშლამდე.

ესტონეთის დღეს დამყარებული ურთიერთობები არის უკვე ევროკავშირის წევრ ქვეყანათან ურთიერთობა, რომლის გატარებული რეფორმების შედეგად ის ინტეგრაცია, რომელიც ჩვენთვის ჯერ კიდევ პერსპექტივია, - ესტონეთის დღევანდელი რეალობა.

ესტონეთ-საქართველოს თანამშრომლობა გარკვეულწილად საჩვენებელია მისი წარმატებულობის და საგარეო-პოლიტიკური ინტერესების გაქტორების თანხვედრის თვალსაზრისით. ესტონეთისთვის საქართველო მნიშვნელოვანი პარტნიორია ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოვების თვალსაზრისით განხორციელებული რეფორმების კუთხით და ქვეყანა, რომელიც იდენტურ ევროპულ ფასეულობებს იზიარებს.

ძლიერი აგრესიული მეზობლის იმპერიალისტური პოლიტიკა, მსოფლიოში განვითარებული ფინანსური კრიზისი და ამ ფონზე საქართველოს დინამიური განვითარება ქვეყნის ცხოვრების უველა მიმართულებით საჭიროებს მხარდაჭერას არა მხოლოდ მსხვილი მსოფლიო მოთამაშეების მხრიდან, არამედ იმ პარტნიორებისგან, რომელმაც 20-წლიანი მცირე პერიოდის განმავლობაში უბრალოდ პოსტსაბჭოური რესპუბლიკიდან გარდაიქმნა ევროსივრცის სრულუფლებისა და თანასწორ მოთამაშედ

## ლიტერატურა

### References

1. EU Monitoring Accession Program. Budapest. Open Society Institute, 2002.
2. Estonia's Development Scenarios until year 2010// Estonian Institute for Future Studies. Tallinn-Tartu, 1997.

3. Report on Conditions for Growth and Development in a Baltic Sea Region. BSBS, 2000'
4. Граф М. Эстония и Россия 1917-1991. Анатомия расставания. Таллин, «Apro», 2007. 536 с.
5. Boot L. Regional development policies in Europe and Estonia// Regional Policy and migration. Tartu, 1999. -pp.33-47
6. Norgaard O. (ed.) The Baltic States after Independence. Cheltenham, 1996.

**Mariam Rakviashvili**

**Russian-Georgian war and the support the position of the Republic of Estonia**

### **Summary**

After the aggression of the Russian federation against Georgia on August 8, 2008 the strong and unprecedented support of the Republic of Estonia towards Georgia was not only the result of the existing equal interests between the two countries, but also by the highest quality of the bilateral relations.

On 8<sup>th</sup> of August 2008 at the Parliament of Estonia was held the session of the Committee for the International Relations where whole political establishment of the country was present. After the session the committee for the international relations has adopted the special resolution on Georgia which unilaterally condemned the military aggression of Russia against Georgia. The Committee for the International Relations of the Parliament of Estonia was calling to the Russian side to stop the aggression without any preconditions and called UN SC, EU and other international organizations for the adequate reaction.

As a result of the session, the Parliament of Estonia has adopted the declaration with a strong rhetoric that played a vital role in the further support and reaction of the international society on the position towards Russian military aggression in Georgia and timely prevention of the escalation of the military intervention.

**Keywords:** Russian-Georgian war, Estonia

**Reviewer:** Professor Shota Dogonadze, Georgian Technical University

**Мариам Раквиашвили  
Российско-Грузинская война и реакция Эстонской республики**

**Резюме**

После военной агрессии России осуществленной в августе 2008 года против Грузии безпрецедентная поддержка Эстонии в отношении Грузии была обусловлена не только объективно существующими единными интересами, а также и высоким качеством двусторонних отношений.

8 августа 2008 года в парламенте республики Эстония было проведено расширенное заседание комитета по международным отношениям, на котором пресуществовал весь политический спектр Эстонии. По окончании заседания комитет по международным отношениям принял специальное заявление в котором однозначно осуждалось вооруженная агрессия России против Грузии. Комитет по международным отношениям Эстонии категорический требовал незамедлительного прекращения агрессии со стороны России без каких либо предварительных условий и призывал СБ ООН, ЕС и другие международные организации к поддержке Грузии и к соответствующему реагированию.

Заявление Парламента Эстонии и эффективная поддержка внесла важный вклад в усиление последующей поддержки со стороны ЕС и всего мирового сообщества, что сыграла решающую роль в предотвращении последующей эскалации агрессии.

**Ключевые слова:** Российско-Грузинская война, Эстония

**Рецензент:** Профессор Шота Догонадзе . Грузинский технический университет.

**თინათინ აჯანიშვილი  
რუსული ემიგრაციული ფაშიზმი ჩინეთში XX საუკუნის 20-30-იან  
წლებში**

რუსული პოლიტიკური ემიგრაციის ისტორია დიდი ხნის მანძილზე ნებატიურ ჭრილში განიხილებოდა, რომელიც მეცნიერულ ანალიზს არ საჭიროებდა, დღეისათვის ასეთი შეხედულება უსამართლოდ გამოიყერება. 1917 წლის ძლიერმა სოციალურმა აფეთქებამ საზღვარგარეთ გადაისროლა 2-3 მილიონამდე ადამიანი, რომელთა უმრავლესობა წარმოადგენდა რუსეთის იმპერიის კულტურულ და პოლიტიკურ ელიტას. განსაკუთრებით ძლიერი იყო კულტურული ემიგრაცია. აქ თავს იყრიდნენ რუსული მეცნიერების, მწერლობის, ხელოვნების, გამომგონებლების და სხვადასხვა დარგის თვალსაჩინო წარმომადგენლები.

1931 წლის მაისში ხარბინში შეიქმნა რუსული ფაშისტური პარტია, რომლის გენერალური მდივანი და უცლელი ხელმძღვანელი გახდა პარტიას კვლევის კომისარი. მან მთავარი როლი ითამაშა ფაშისტური ორგანიზაციის მძღვანელ პოლიტიკურ პარტიად გადაქცევაში.

თეთრი მოძრაობის მარცხის შემდეგ წარმოიქმნა ფაშისტური ორგანიზაციები, რომელთა მიზანი საბჭოთა იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლა იყო. ემიგრაციული ფაშისტური მოძრობები არსებობდნენ უკროპის ბევრ ქვეყანაში, აშშ-ში, ლათინურ ამერიკაში და შორეულ აღმოსავლეთში. ადსანიშნავია, რომ ემიგრაციულ ფაშიზმს ახასიათებდა მიმბაპველობა და ეს არ იყო რუსული მემარჯვენე რადიკალიზმის უვოლუციის შედეგი. რუსული ფაშიზმის იდეოლოგიაზე მანჯურიაში, გავლენა მოახდინა იტალიურმა ფაშიზმა და კერძოდ ბენიტო მუსოლინიძ.

1933 წლის ბოლოს რომაევსკიმ წამოაყენა იდეა უველა ემიგრაციული ფაშისტური ორგანიზაციების გაერთიანებისა. ამას გამოეხმაურა ა. ა. ვონსიაცკო, რომელიც გახლდათ რუსი ემიგრანტი, აშშ-ს მოქალაქე. 1934 წელს თებერვალ-მარტში შეთანხმების საფუძველზე ჩამოყალიბდა „Всероссийская Фашистская Партия“ ცენტრით ხარბინში. ორივე ლიდერს პქონდათ ერთი საერთო მიზეზი გაერთიანების: სტალინის კომინისტური რეჯიმის სიძულვილი. ორივეს სჯეროდა, რომ ებრაელ-ბოლშევიკებმა მოახდინეს ოქტომბრის გადატრიალება და ჩაიგდეს ხელში ძალაუფლება რუს ხალხზე. ორივე აღტაცებული იყო მუსოლინით და მის მიერ შექმნილი „კორპორაციული სახელმწიფოთი.“ მათი ოცნება იყო იგივე, გაეხორციელებინათ რუსეთშიც ნაციონალური რევოლუციის მეშვეობით. იყო საკითხები, რომლებზეც ლიდერები ვერ შეთანხმდნენ.

კერძოდ: რომაევსკი ფინანსურად იაპონიის მთავრობაზე ხელისუფლებაზე იყო დამოკიდებული და პარტიის შესანარჩუნებლად უკელაფერზე მიღიოდა, დანაშაულზეც კი. ვონსიაცი, რომელსაც მდიდარი ამერიკელი მეუღლე პყავდა ფინანსურად აფსოლიტურად დამოკიდებული იყო, მისი ორგანიზაცია უფრო მითიური იყო, ვიდრე რეალური. ვონსიაცის შეფასებით თავისი პარტიის, მისი დამსახურებების შესახებ საბჭოთა კაგშირის წინააღმდეგ დივერსიების მოწყბაში გადაჭარბებული იყო.

სწორედ ამ უკელაფერიდან გამომდინარე, მათი გაერთიანება არ ყოფილა ხანგძლივი, უკვე 1935 წელს დეკემბერში მოხდა განხევექილება. 1935 წელს ზაფხულში ხარბინში კვანტუნის არმიის გენერალის მინამის და იაპონიის სამხედრო მისის ხელმძღვანელის პოლკოვნიკ ანდოს საპატიო ხელმძღვანელობის ქვეშ შედგა სრულიად რუსეთის ფაშისტური პარტიის (BFP) ს მეორე ყრილობა, სადაც ვონსიაცის პარტიიდან გარიცხვა მოიწონეს. ყრილობამ შეგრიბა 104 დელეგანტი მანჯურიის, იაპონიის, ჩინეთის, სირიის, მაროკოს, ბულგარეთის, პოლონეთის, ფინეთის და გერმანიის რუსული ფაშისტური ორგანიზაციებიდან. (BFP)-ს მეთაურად დანიშნულ იქნა რომაევსკი. მათი ძირითადი იდეოლოგია იყო ანტიკომუნიზმი.

პარტიის მთავარი მიზანი იყო რუსეთში ნაციონალური რევოლუციის განხორციელება, საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და ფაშისტური დიქტატურის დამყარება.

განსაზღვრული იყო მოქმედების გეგმა:

„მთელი აქტიური საზღვარგარეთის მობილიზაცია“ – უკელგან რუსული ფაშისტური პარტიის კომიტეტების შექმნა.

„სახით რუსეთისკენ“ – საბჭოთა სახელმწიფოს ცხოვრების უკელა მიმართების საფუძვლიანად შესწავლა.

„პროპაგანდის ტალღები რუსეთში“ საბჭოთა კავშირში აგიტატორებისა და ანტისაბჭოური ლიტერატურის გაზაფხნა.

რომაევსკის განზრახული პერიოდი 1934 წელს პარტიის ლიდერებმა გადაწყვიტეს ახალი პროგრამის შექმნა, ამ მიზნით დაარსებულ იქნა საეციალური ორგანო, ე.წ. იდეოლოგიური საბჭო, რომელშიც შედიოდნენ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ხელმძღვანელები, საბჭოური სინამდვილის მცოდნე კომპეტენტური პირები, პროფესიურა-ეკონომისტები, ისტორიკოსები, იურისტები. ამ საბჭოს მიერ შემუშავებული პროგრამის პროექტი მოწონებულ იქნა 1935 წელს III ყრილობაზე. პარტიის მიზანდ გამოცხადებულ იქნა უკელა საშუალებით სამშობლოს გათავისუფლება „ებრაული კომუნიზმისგან“ რუსეთის მომავალი სახელმწიფოს მოწყობის

საფუძველი უნდა ყოფილიყო „თავისუფლად არჩეული საბჭოები, რომლებიც დაეყრდნობოდა მოსახლეობის გაერთიანებებს პროფესიულ და ნაციონალურ საწარმოო კავშირებში” ხელმძღვანელის მისია უნდა შეესრულებინა ნაციონალურ პარტიას. ლოზუნგად იყო არჩეული სიტყვები: „დმერთი, ნაცია, შრომა” რაც მოიაზრებოდა, როგორც რელიგიის შეთავსება ნაციონალიზმთან და გონიერივი და ფიზიკური შრომის დიდი მნიშვნელობის აღიარება.

რუსულ ემიგრაციულ ფაშიზმს გააჩნდა თავისი პერიოდული გამოცემები: ყოველდღიური გაზეთი „ჩენი გზა,” (ხარბინი) ყოველთვიური ჟურნალი „ნაცია” (შანხაი) გაზეთის ყოველგვირებული დამატება „აზიის აღორმინება,” (ტიანმინი) ყოველდღიური გაზეთი „რუსული გაზეთი,” (სან-პაული) ყოველთვიური გაზეთი „Русь” (სოფია)

სრულიად რუსთის ფაშისტურმა პარტიამ შესძლო ემიგრაციული მასების პროფესიული ნიშნების მიხედვით კავშირებში გაერთიანება. 1935 წელს როდაევსკის თქმით 20.000 თანაბარტიელი ჰყავდა, რომელთა უმეტესობა მანჯურიაში იყო თავმოყრილი. განსხვავებულ ციფრებს ასახელებდნენ სხვადასხვა მკვლევარები, თუმცა ეს ციფრიც საკმარისია, რომ რუსული ფაშისტური პარტია მივიჩნიოთ რუსული ემიგრაციის საკმარი მნიშვნელოვან და სერიოზულ პარტიად.

(ВФП)-ს საპროგრამო დოკუმენტებში ხაზგასმული იყო ანტისაბჭოური ქმედებების ძირითადი მიმართულებები: „ფაშისტური ლიტერატურებს ჩატანა საბჭოთა კავშირში, ტერორისტული აქტების მოწყობა, მავნებლობა.” რუსი ფაშისტების ქმედებანი მანჯურიაში სამსედრო ხელმძღვანელობის მიერ კონტროლდებოდა. 1936 წელს იაპონელი ოფიცერის სუძუკის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა სამშობლოს ხსნის პირველი ფაშისტური რაზმი, რომლის სათავეში რობაევსკის ყოფილი მცველი მასლაკოვი იღგა. მსგავსი რაზმების მოხვედრა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე იაპონელების საზრუნავი იყო. ბევრი დივერსანტი უსახელოდ იღვებოდა.

1937 წელს ხარბინში დაარსებულ იქნა „ორგანიზაციონურების სკოლა”, რომელიც განსაკუთრებულად იყო გასაიდუმლოებული. ამ სკოლაში ამზადებდნენ მომავალ კადრებს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დივერსიული აქტების ჩატარებისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ კვლევით ლიტერატურაში ორგანიზაცია შეფასებულია, როგორც დამნაშავეების პარტია, რომლის სისხლიანი მოქმედებები- მკვლელობები, ადამიანთა მოტაცებები, ატერორებდა მოსახლეობას და პირველ რიგში ემიგრანტებს. ორგანიზაცია ამ პერიოდში გადაიქცა იაპონო-მანჯურიის მაფიის შემადგენელ ხაწილად, რომელიც ჩართულ იქნა იაპონელ სამხედროთა ყველა

ჭუჭყიან საქმეში, როგორიც იყო რეკეტები, ადამიანთა გატაცებები, შპიონაჟი, დივერსიები და პროვოკაციები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, აგრეთვე ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში არსებული საბჭოთა ორგანიზაციებისა და დაწესებულებების წინააღმდეგ და სხვა.

რუსული ემიგრაციული ფაშიზმის მთავარი დამასასიათებელი თვისება იყო ანტისემიტიზმი. მათ სბულდათ ებრაელები და თვლიდნენ, რომ ისინი და მასონები კომუნიზმის სახელით ინიდებოდნენ. აქედან გამომდინარე, მოვალეობად მიაჩნდათ რუსეთის გაწმენდა ამ ელემენტებისგან. ხოლოდ 1934 წლის განმავლობაში ფაშისტურ პრესაში ანტისემიტური და ანტიმასონური მიმართულების 835 სტატია იყო მოთავსებული. ფინანსების მიღების ერთ-ერთ ფორმად ფაშისტებს მიაჩნდათ ემიგრაციის მდიდარი ებრაული ნაწილის შანტაჟი და დაყაჩაღება.

30-იანი წლების ბოლოს რუსულ ფაშისტურ ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშვა. აპროტესტებდნენ იაპონელთა მხარდაჭერას. ასევე პიტლერს რუსეთის და ყველა სლავის პოტენციურ მტრად თვლიდნენ. რომაევსკი და მისი მომხრეები კი პირიქით, მიესალმებოდნენ პიტლერის თავდასხმას რუსეთზე, თვლიდნენ რა, რომ ეს იყო საუკეთესო საშუალება რუსეთის ებრაელებისგან გასათავისუფლებლად. მაგრამ, მიუხედავად აზრთა საკმაო განსხვავებისა დია განხეთქილება და პარტიის დაშლა არ მოჰყოლია. II მსფლიო ომის დაწყების შემდეგ, საქმაოდ მოულოდნერებლად მანჯურიაში ფაშისტთა მდგომარეობა გართულდა. რუსულ ფაშისტურ ორგანიზაციაზე კონტროლი გაამკაცრა იაპონიის მთავრობამ, შემდეგ აკრძალულ იქნა საქც ნომერი გაზეთისა „ჩენი გზა“ რომელიც მიესალმებოდა საბჭოთა კავშირზე ნაციისტთა თავდასხმას, მოგვიანებით გაზეთის გამოცემა შანსაიში იქნა გადატანილი, ხოლო 1943 წელს იაპონიის მთავრობამ ყოველი ახსნა განმარტების გარეშე რუსული ფაშისტური პარტიის საქმიანობა აკრძალა. მართალია პარტიის სახელი გადაარქვეს და უწოდეს „Союз национально-трудовой России“ მაგრამ მოაკლდათ რა იაპონელთა ფინანსური მხარდაჭერა, პარტია ნელ-ნელა დაიშალა.

მანჯურიაში საბჭოთა არმიის შემდეგ, რომაევსკი ტიანინში გაიქცა. 1946 წელს მან სინანული გამოთქვა აღიარა ფაშისტური მოძრაობის დანაშაულებანი და ნებაყოფლობით ჩაბარდა საბჭოთა ხელისუფლებას. სასამართლომ მას დახვრება მიუსაჯა, ხოლო ყველასგან მიენიჭებული კონსიაციიც 1965 წელს გულის შეტევით გარდაიცვალა.

თუ შევაჯამებთ რესული ფაშისტური პარტიის საქმიანობას მანჯურიაში, ვნახავთ, რომ იგი იყო ერთ-ერთი ყველაზე ორგანიზებული ემიგრანტული პარტია შორეულ აღმოსავლეთში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პარტიის მიმართ თეთრი ემიგრაციის წევრებს უარყოფითი დამოკიდებულება პქონდათ. ეს გამოწვეული იყო მათი შავბრძლი და საეჭვო საქმიანობით, ძალმომრეობივი ქმედებებით, იაპონიის მთავრობისადმი თავდადებული სამსახურით.

რესული ფაშიზმის რიგებში გაწევრიანებულნი იყვნენ ქართული ემიგრაციის წარმომადგენლებიც. დ. დიგანი, ალ. ანდრონიკაშვილი, გრ. დიასამიძე და სხვა.

## ლიტერატურა

### References

1. Mm. v. nazarovi „rusuli emigraciis misia” (stavropoli 1992 w)
2. „Звезда и Свастика” Большевизм и русский фашизм” М 1994
3. „Ролитическая история русской эмиграции (1920-1940 гг) документы и материалы ” (под ред проф А Ф Кисилева) М 1999
4. Аброва. Н.Е российская фашистская партия в Манчжурий. (Бепорусслий журнал международного права и между. отношений 1999 № 2)
5. Электронный журнал После первой мировой войны в Европе

Tinatin Apkhaidze

**Russian immigration Fascism in China in 20-30's of XX centry**

**Summary**

The Russian Fascist Party was established in 1931 in Harbin. Their purpose was to implement the national revolution and to overthrow the Soviet government in Russia. Financial support for the party was provided by Japan.

They also formed the subsidiary structures. Unions for women, children and youth.

After the World War II the *condition* of the fascists in Manchuria deteriorated. Japan suspended financial assistance and the party slowly was dissolved.

**Keywords:** Russian Fascist Party, Harbin, Japan

**Reviewer:** Professor Nino Gomarteli, Georgian Technical University

**Тинатин Апхайдзе**

**Русский эмиграционный фашизм в Китае в 20-30 годах XX-го столетия**

**Резюме**

В 1931 году в Харбине была создана русская фашистская партия. Ее целью было осуществление в России национальной революции, свержение советской власти и установление фашисткой диктатуры. Партии финансовую поддержку оказывала Япония. Они также создали дочернюю структуру партии: союзы женщин, детей и молодежи.

После начала второй мировой войны в Маньчжурии положение фашистов осложнилось. Япония прекратила финансовую поддержку и партия постепенно развалилась.

**Ключевые слова:** русская фашистская партия, Харбин, Япония

**Рецензент:** Профессор Нино Гомартели. Грузинский технический университет.

## ელიშერ ბგერებამ, მაია შივიანი დასაცლეთი და საქართველოს სახელმწიფო მართვის საპიონები

თავისი უმნიშვნელოვანების გეოპოლიტიკური პოზიციისა და სტრატეგიული ეკონომიკური მდებარეობის გამო კავკასია ანტიკური ხანიდან მოყოლებული ყოველთვის იქცვედა მსოფლიოს დიდ სახელმწიფოთა უერადღებას. აქ გადიოდა აბრეშუმისა და წარსული დროის სხვა მრავალი საგაჭრო გზა. რეგიონთან სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახის ურთიერთობები ჰქონდა ისეთ დიდ სახელმწიფოებსა და იმპერიებს, როგორებიცაა: საბერძნეთი, სპარსეთი, რომის იმპერია, არაბეთის სახალიფო, მონცოლითა იმპერია, ოსმალეთის იმპერია და ა.შ. ამავე დროს კავკასიელ ერებს ყოველთვის ჰქონდათ საკუთარი ეროვნული ინტერესები, რომლებიც განაპირობებდნენ მათ დამოკიდებულებას როგორც ერთმანეთისადმი, აგრეთვე, რეგიონით დაინტერესებული დიდი სახელმწიფოების მიმართ. ადსანიშნავია, რომ საქართველოს ყველთვის ეკავა მოწინავე პოზიცია კავკასიის რეგიონალური პოლიტიკის შემუშავების საკითხში.

რაც შეხება კავკასიას, ეს რეგიონი საუკუნეების განმავლობაში იყო რუსეთსა და დასაცლეთს შორის მეტოქეობის ადგილი. რუსეთს ნებისმიერი ხერხის ფასად უნდა შეენარჩუნებინა მასზე კონტროლი, რადგან რეგიონიდან გადის გზა სამხრეთ ზღვებზე და იგი ასევე ესაზღვრება კასპიასაც. გარდა ამისა, კავკასია შეიძლება იმ სანიტარული კორდონის ნაწილად იქცეს, რომლის აგებასაც რუსეთის გარშემო დასაცლეთი ესტრაფის.

XX საუკუნის ბოლოს “ცივი ომის” დასრულებას მსოფლიოში ახალი წესრიგის ჩამოყალიბება მოჰყვა. ამ პროცესმა პოლიტიკურ რუსაზე ახალი სახელმწიფოები გააჩინა, რომელთა შორის საქართველოც აღმოჩნდა.

22 წლის წინ საქართველოში ჩატარდა პირველი დემოკრატიული საპარლამენტო არჩევნები. არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა ეროვნული პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების საარჩევნო ბლოკმა „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო“ ზ. გამსახურდიას ხელმძღვანელობით. არჩევნების შედეგად ქვეყანას სათავეში ჩაუდგა ეროვნული პარლამენტი – საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა იყო – 3 444 002 მონაწილეობა  
მიიღო – 2 406 742 ანუ ამომრჩეველთა 69.88 პროცენტია. მიღებული  
მანდატების რაოდენობა

მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო	54%	155
საქართველოს კომუნისტური პარტია	30%	86
დამოუკიდებელი კანდიდატები	12,6%	37
სულ	100%	250

დღის წესრიგში დადგა საქართველოს სახელმწიფო ეპიცონიური  
დამოუკიდებლობის აღდგენისა და მისი ცნობის საკითხი მსოფლიო  
თანამეგობრობის მიერ.

რუსთის ინტერესებს სერიოზული საფრთხე 1980-იანი წლების  
ბოლოს დაემუქრა, როცა საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს  
ნაციონალისტური მოძრაობები მოედო. მოსკოვს ძალიან უჭირდა  
ეროვნული თვითგამორკვევის პროცესის შეჩერება, რომელსაც სამივე  
რესპუბლიკა სრული დამოუკიდებლობისკენ მიჰყავდა. 1989 წლის  
აპრილში ქართველების, ხოლო 1990 წლის იანვარში აზერბაიჯანელების  
წინააღმდეგ გამოყენებულმა ძალამ ნაციონალისტური განწყობა  
მხოლოდ კიდევ უფრო მეტად გააძმაფრა და გააძლიერა

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს დასავლურ  
სივრცესთან ურთიერთობის საკითხი ძველთაგან აქტუალური იყო და  
განსაკუთრებით მწვავედ დადგა XX საუკუნის 90-იანი წლების  
დასაწყისში მსოფლიო გეოპოლიტიკურ რუქაზე მომხდარი ცნობილი  
მოვლენების გამო. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული პოლიტიკური  
ისტერნული და შესაბამისად დიპლომატია გამოუცდელი იყო  
ფაქტიურად შეიძლება ითქვას, როგორც პროფესიონალიზმის სახით  
არ არსებობდა. ამიტომ საქართველოს ურთიერთობის საკითხები  
დასავლეთთან მიმართებაში ხელა და რუტინულად მიმდინარეობდა.

აյ მთავარ ხელისშემსლელ ფაქტორს წარმოადგენდა მოსკოვის  
აგრესიული პოლიტიკა თბილისის მიმართ, რომელიც უზარმაზარი  
დენინფორმაციული მანქანის მეშვეობით ცდილობდა საქართველოს  
ახალარჩეული ხელისუფლება წარმოებინა მსოფლიოს თვალში,  
რომელიც წაგრავდა ეროვნულ უმცირესობებს და არ იცავდა  
ადამიანის უფლებებს. ამ მიზნით კრემლმა გააქტიურა თავისი  
პოლიტიკა, რაც გამოიხატა მის მიერ ინსპირირებული კონფლიქტებით  
საქართველოს ტერიტორიაზე. დასავლეთი ფრთხილად ეკიდებოდა  
საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ  
პროცესებს.

დასავლეთში გარკვეულწილად საქართველოს დამოუკიდებლობის  
მიმართ გაორებული დამოკიდებულება იყო პოლიტიკოსთა ერთი

ნაწილი უქერდა საქართველოს დამოუკიდებლობას მხარს. ამის დასტურია ამერიკის სენატის 1989 წლის 19 აპრილის პრეზიდენტის მისამართით მიღებული რეზოლუცია რომელიც მხარს უქერდა საქართველოს დამოუკიდებლობას.

საერთოდ უნდა აღინიშვნოს, რომ საქართველო იმ პერიოდის მსოფლიოში ძალიან დიდი ინტერესთ აღიქმებოდა. უფრო მეტიც 1989 წლის გაზაფხულზე მთელ მაშინდელ კომუნისტურ სამყაროში ანტიკომუნისტური დემოკრატიული მოძრაობის ცენტრი იყო არა მოსკოვი, არა ვარშავა ან პრაღა, არამედ თბილისი. რუსეთში 1989 წლის 9 აპრილის მხარდასაჭერად შეიქმნა ისეთი ბრწყინვალე დემოკრატიული ორგანიზაცია როგორიც იყო სოლიდარობა. საერთოდ რუსეთის 80-იანი წლების დემოკრატიული მოძრაობის მამადაც საქართველო იქცა.

იმისათვის რომ მომხდარიყო საქართველოს სახელმწიფოებრიობის ადგენის სამართლებრივ საფუძვლებზე დასავლეთის მიერ ცნობა ამიტომ ხელისუფლებამ ჩაატარა საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმი მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე: “თანახმა ხართ თუ არა, ადგენეს საქართველოს სახელმწიფოებრიობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?” -ეს კითხვა იყო დასმული რეფერენდუმზე 1991 წლის 31 მარტს. მოსახლეობის 98%-მა შეკითხვას(მათ შორის არაქართულმა) დადებითი პასუხი გასცა, რაც გახდა კიდევაც 1991 წლის დამოუკიდებლობის აქტის სამართლებრივი საფუძველი. 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით საქართველოს ისტორიაში თვისობრივად ახალი ეტაპი დაიწყო.

დასავლეთი იძულებული გახდა ეცნო რეალობა ამის შედეგი იყო ის, რომ აშშ-ის 102-ე მოწვევის კონგრესმა იმავე დღეს, 94-ე საგანგებო რეზოლუციით დაგიტიმურად ცნო 31 მარტის რეფერენდუმის შედეგაზე. მაგრამ მომდევნო ხანებში იგივე აშშ და მთლიანად დასავლეთი ზედმეტ სიფრთხილეს იჩენდა და არ ცნობდა ოფიციალურად საქართველოს დამოუკიდებლობას.

ზეიად გამსახურდიას ძალიან კარგად ესმოდა, რომ დამოუკიდებლობის შემდეგ საქართველოს მიმართ დასავლეთს, განსაკუთრებით ამერიკას, გარკვეული ინტერესები გაუწნდებოდა. ამიტომ, იმისთვის, რომ აქ ძალთა დაბალანსება მომხდარიყო, მან კონსტიტუციაში თავის ხელით შეიტანა ცვლილება, რომლის თანახმადაც საქართველო ნეიტრალური ქვეყანა უნდა ყოფილიყო. ეს ნიშნავდა, რომ ჩვენ, დასავლეთთან პარტნიორობის პარალელურად, მინიმუმ მეგობრული ურთიერთობა მაინც უნდა გვქონდა რუსეთთან.

რაც შეეხება გამსახურდიას, ის მოსაზრება, რომ ზვიადი არ იყო პოლიტიკოსი და მას არ უნდა ემართო ქვეყანა მიმაჩნია, რომ არასწორია, ვინაიდან იგი სწორედ რომ პოლიტიკოსი იყო. ამის მაგალითად მოვიყვანო ერთ ფაქტს: როცა საბჭოთა კავშირი იშლებოდა, გამოვიდა ჯორჯ ბუში (უფროსი) და თქვა, გამსახურდიას არ ესმის პროცესი და დინების საწინააღმდეგოდ მიღისო. ბევრმა მაშინ ეს განცხადება აღიქვა, როგორც უკელაზე ირაციონალური შეფასება იმ მოვლენებისა, რაც იმ დროს ხდებოდა ჩვენს ქვეყანაში და მთლიანად საბჭოთა კავშირის სივრცეში. მაგრამ გავიდა დრო და ვინ გამოდგა მართალი - ბუში თუ გამსახურდია? საბჭოთა კავშირი დაიშალა. უნდა აღინიშნოს რომ თავისი ეროვნული მრწამსიდან გამომდინარე გამსახურდია ვერ ჩაჯდა იმ პოლიტიკურ თამაშებში რომელსაც მისგან მოითხოვდნენ. შეიძლება ითქვას გამსახურდია თავისი ხედვებით დასავლეთისათვის დარჩა “მოურჯულებელ და სიმართლის მოქმედ პოლიტიკოსად”, ამან ის ამოაგდო საერთო პოლიტიკური სივრციდან. ამის დასტურია 1991 წლის აგვისტოში მოსკოვში განვითარებული მოვლენები და მასზე საქართველოს პრეზიდენტის რეაქცია. საპასუხოდ კი - ჯ. ბუშის (უფროსი) ფორმულა - “გამსახურდია მდინარების საწინააღმდეგოდ მიღის” (1991 წლის 19 აგვისტოს 12:00-სო-ზე მოსკოვის პუტინს გამო თეორი სახლის ეზოში გამართული ჯ. ბუშის პრეს-კონფერენცია, რომელზეც მან განაცხადა, რომ არ სცნობს და გმობს პუტინსტებებს. მხარს უჭერს რეალურ ხელისუფლებას და გორბაჩოვის პოლიტიკას. ამერიკის პრეზიდენტის ამ განცხადების გამო, მანდილოსანმა ჟურნალისტმა იკითხა.

“თქვენ ასეთ შეფასებას აძლევთ მოსკოვის პუტინს, მაგრამ საქართველოს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ მას “გორბაჩოვის შოუ” უწოდა”.

ბუში უერთ ანერვიულდა და საქმაოდ უხეშად, დემოკრატიული ცნობიერების სახელმწიფო მოღვაწისათვის შეუფერებელი ტონითა და სიფიციონ თქვა, რომ ეს სისულეელეთა. “გამსახურდია მდინარების საწინააღმდეგოდ მიღის. დროა, გამოერკვიოს და რეალობას გაუსწოროს თვალიო”.

ამერიკის ტელეკომპანია CNN-მა შეკითხვა დაუსვა საქართველოს პრეზიდენტს, თუ რას ფიქრობდა ამ პუტინის შესახებ:

“მე ვფიქრო”, იყო პასუხი, “ეს პუტინი თვით გორბაჩოვის მიერაა დაგეგმილი და განხორციელებული ამ პირებთან (იგულისმება იაზოვი, პუბლ და ა. შ) ერთად, რადგან ეს აძლევდა პოლიტიკურ დივიდენდებს”.

მეორე დღეს იმავე CNN -მა აჩვენა ჯორჯ ბუში, რომელმაც განაცხადა:

“მე ვფიქრობ, რომ ამ კაცმა (ანუ გამსახურდიამ) ცოტათი მაინც უნდა დაამუშაოს ის განცხადებები, რომელთა გაკეთებასაც აპირებს... ეს არის კაცი, რომელიც მიცურავს დინების საწინააღმდეგოდ. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეჩვენება... ის უნდა მიჰყვეს დინებას და გაიგოს, რა ხდება მსოფლიოში” [2].

1991 წლის ზაფხულში თბილისში ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების ექს-პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი, რომელიც შეხვდა პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას. ჯერჯერობით ისტორიისათვის უცნობია მათი საუბრის შინაარსი. უურნალისტების შეკითხვაზე ოურა შთაბეჭდილება დატოვა მასზე ზ. გამსახურდიამ ნიქსონმა უპასუხა: “თქვენ გყავთ უაღრესად განათლებული და მამაცი პრეზიდენტი, მაგრამ მის მამაცობას მომავალში დიდი გამოცდა ელის”.

1991 წლის აგვისტოდან დეპარტმენტის დამლევამდე საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა დე-იურედ ცნეს რუმინეთმა, უკრაინამ, თურქეთმა, ყაზახეთმა, მონცოლეთმა, ლიბერამ, კანადამ, მოლდოვამ, აზერბაიჯანმა და სომხეთმა. 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის ცნობილი მოვლენების დროს და მის შემდეგ პირდაპირ კასპადი მოხდა დასავლეთის სახელმწიფოთა მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის. მაგრამ გულსატპენია ის, რომ დროზე რომ მომხდარიყო ქვეყნის საერთაშორისო აღიარება ვფიქრობთ თბილისის ცნობილი პუტინი არ მოხდებოდა და ქვეყნა არ ჩაიძირებოდა ეთნოკონფლიქტებსა და ქაოსში, რომლის დამანგრეველი შედეგები დღეს სახეზეა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ დასავლეთისა და საქართველოს ურთიერთობის საკითხი გარკვეულწილად ლირიულ სფერომდედაც კი იყო ასული ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს. მოვიყვანო ერთ მაგალითს. 1974 წელს საბჭოთა კავშირს ერთი კვირით ეწვია ამერიკელი სენატორი ედუარდ კენედი. მან სამი ქალაქი მოინახულა: ჯერ, თავისთავად ცხადია, მოსკოვი, შემდეგ დიდებული პეტერბურგი (ლენინგრადი) და ბოლოს თბილისი. სამშობლოში გამგზავრების წინ სენატორმა პრესკონფერენცია გამართა საბჭოთა კავშირის დედაქალაქში. მოსკოვის ფრანგულენოვანმა გაზეთმა “ლე ნუველ დე მოსკუმ” (4 მაისი, #18) პრესკონფერენციის ანგარიში გამოაქვეყნა. ამ ანგარიშის ერთ ქვეთაგას ასეთი სათაური აქვს: “შხოლოდ ერთი შეკითხვა დარჩა აასუხავაუცემელი”.

ეს “პასუხაუცემელი” შეკითხვა ქართულად ასე ქდერს: “რომელი რეგიონი მოგეწონათ ჩვენში ყველაზე მეტად?”

კენედიმ გაიდიმა და თქვა:

“მე კარგა ხანია პოლიტიკის სფეროში ვმოღვაწეობ და ვიცი, რომ ამგვარ შეკითხვებს პასუხი არ უნდა გავცე. ყველა ძალიან მომეწონა. მოგზაურობა ზღაპრული იყო, როგორც საქართველოში, ასევე სხვაგანაც”.[1]

## ლიტერატურა

References

1. gaz. “xali saqarTvelo”, 21-27. 05. 1998.
2. <http://lib.ge/book.php?author=237&book=4511>

## Edisher Gvenetadze, Maia Kipiani West and the issues of the Georgian Statehood

### Summary

In the work the political situation existed in Georgia in 90-th years of the XX century is shown. Indicated is that because of the very significant geopolitical position and strategic economic location the Caucasus beginning since antiquity was always under the great attention of the world biggest states.

The Caucasian nations always had their own national interests, which favored their attitude towards each other as well as towards the big states having interests in the region. One must notice, that Georgia always was in the vanguard in the issue of drawing up the Caucasus regional policy.

In the West the attitude towards the independence of Georgia was double. Part of the politicians supported the independence of Georgia. This is confirmed by the Resolution adopted on April 19, 1989 by the American Senate addressed to the President, supporting the independence of Georgia. However, due to some reasons, the West did not pay the proper attention to Georgia.

**Keywords:** Georgia, West, Statehood

**Reviewer:** Professor Tengiz Grigolia, Georgian Technical University

**Эдишер Гвенетадзе, Мая Кириани  
Запад и вопросы государственности Грузии**

**Резюме**

В работе освещено политическое положение сложившееся в Грузии в 90-ых годах XX века. В ней указано, что из-за своей важнейшей геополитической позиции и стратегического экономического положения Кавказ, начиная с античных времен, всегда обращал на себя внимание крупнейших стран мира.

Кавказские нации всегда имели собственные национальные интересы, которые обусловливали их отношения как к дуге другу, так и к заинтересованным регионом большим государствам. Следует отметить, что Грузия всегда занимала лидирующие позиции в вопросах относящихся к выработке Кавказской региональной политики.

На западе существовало определенно двойное отношение к независимости Грузии. Часть политиков поддерживала независимость Грузии. Это подтверждается резолюцией принятой сенатом Америки 19-го апреля 1989 года в адрес президента, которая поддерживала независимость Грузии. Однако по ряду причин Запад все же не уделил Грузии должного внимания.

**Ключевые слова:** Грузии, Запад, государственность

**Рецензент:** Профессор Тенгиз Григодиа. Грузинский технический университет.

# თ ა მ ნ მ მ ი კ ა

ბარი ბუნია, ზიზი სვანიძე, ლილი სეანიძე, თამარ ცერცვაძე  
მდგრადი ბანიოთარების უზრუნველყოფის მოთხოვნები  
საქართველოს პუნქტი ბარემოს დაცვის სფეროში

თანამედროვეობის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას გარემოს დაცვა წარმოადგენს. მეცნიერთა და პრაქტიკოპსთა მიერ, ბუნებრივი გარემოს მდგომარეობაზე ნებატიური ზემოქმედების ძირითად ფაქტორად მისი დაბინძურებაა მიჩნეული. ამასთან დამაბინძურებელ ნივთიერებათა სპექტრი ძალზე ფართოა: – გაზები, მძიმე მეტალები, ორგანული ნივთიერებები, რადიოაქტიური ელემენტები და სხ [1].

საქართველოს ბუნებრივი გარემო, რომელიც როგორი ორგანული და კლიმატური პირობების ნაირსახეობით, მდიდარი ცხოველთა სამქაროთი და მრავალფეროვანი მცენარეული საფარით ხასიათდება, დაცვისა და ანთროპოგენური გავლენის მონიტორინგის პრაქტიკული და თეორიული საკითხების დამუშავების მიმართ დიდ ყურადღებას მოითხოვს. კერძოდ, გარემოს ცალკეული კომპონენტების ეკოლოგიური მდგომარეობის ხარისხებროვი და რაოდენობრივი მახასიათებელი პარამეტრების შეფასებასა და მათი მოსალოდნებლი ცვლილებების ტენდენციების გამოვლენას. ამ საკითხების მეცნიერული დამუშავების შედეგები კი, თავის მხრივ, საშუალებას იძლევა დაიგეგმოს და განხორციელდეს გარემოზე მავნე ზეგავლენის შედეგების თავიდან აცილების პრაქტიკული ღონისძიებები.

საქართველოს ტერიტორიის საკმაოდ როგორი ეკოლოგიური მდგომარეობის პირობებში, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია დაქმაყოფილდეს საერთაშორისო ვალდებულებებით და ქვენის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები ბუნებრივი გარემოს დაცვის სფეროში, რაც მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს საყოველთაოდ მიღებული მდგრადი განვითარების პრინციპების ცხოვრებაში გასატარებლად.

მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილებები ენერგეტიკული რესურსების, სამრეწველო პროდუქციისა და, აგრეთვე, ამ მოთხოვნილებათა დაქმაყოფილებისათვის განხორციელებული სამეცნიერო-ტექნიკური და ტექნოლოგიური ღონისძიებები, თავის კვალს აჩენენ და ზეგავლენას ახდენენ თანამედროვე საზოგადოებისა და მომავალი თაობების ბუნებრივი და სოციალური გარემოს მდგომარეობაზე.

აღნიშვნულის შეუფასებლობა, ხშირად, ისტორიულად ჩამოყალიბებულ ეკოლოგიურ წონასწორობის შენარჩუნებისათვის

საფრთხის შექმნის მიზეზი ხდება. ხშირად ეს გაუთვალისწინებელ უარყოფით (რიგ შემთხვევებში შეუქცევად და გამანადგურებელ) ზემოქმედებას იწვევს ბუქებრივი გარემოს მდგომარეობაზე, ცოცხალ ორგანიზმებზე, და ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობაზე.

დაბინძურების საშიში ღონის განსაზღვრა გარემოს ცალკეულ კომპონენტებში (ატმოსფერო, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები, ნიადაგი) მოთხოვს პროფესიულ მიღომას, რადგან, ხშირად, ეს გარემოება თავიდან ცხადად არ შეიგრძნობა და შემდგომ ხდება ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანების და გარემოზე განსაკუთრებით საშიში ზემოქმედების საფუძველი. ასეთი მავნე ზემოქმედების ღონის შესატყვისი მახასიათებლების დასადგენად და გარემოზე უარყოფითი გავლენის დროულად თავიდან აცილების მიზნით, გარემოში მავნე ნივთიერებათა ემისიებისათვის შემოღებულია ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების (ზდკ) სიღილები და დაწესებულია მათ გადაჭარბებაზე სახელმწიფო კონგროლი.

დასახლებულ ადგილებში, თანამედროვე პირობებში, აღინიშნება გარემოს დაბინძურება ერთდროულად მრავალი ნივთიერებით. ამ ნარკვის ან ნაზავის ზემოქმედება ხშირად იძლევა ჯამურ ეფექტს. აქედან გამომდინარე, სანიტარიულ-ჰიგიენური სამსახურის მიერ დგინდება ზდკ-ს სიღილები როგორც ცალკეული ნივთიერებებისათვის, ასევე მათი კომბინაციებისთვისაც (სუმაცია).

გარემოს დაცვის სფეროში გამოყენებული სტანდარტების კომპლექსი დაფუძნებულია მავნე ნივთიერებათა ზდკ-სა და აღგილმდებარეობის დაბინძურების ფონური მახასიათებლების მნიშვნელობათა მარეგლამენტირებელ სიღილებზე. ეს კი, საწარმოო ობიექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისას, საშუალებას იძლევა გამოყენებულ იქნეს ზდკ-ს ნორმები წარმოების სპეციფიკის შესატყვისი ემისიებისათვის დამახასიათებელი მავნე ნივთიერებებისათვის.

გარემოს დაბინძურების არსებული დონე, მისი ზრდის ტენდენცია აქტუალურს ხდის, გარემოს დაცვის და ბუქებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების მიმართულებით, ურთიერთობების რეგულირების საკითხების გადაწყვეტის აუცილებლობას სახელმწიფო და საერთაშორისო მასშტაბებით. ამისათვის საჭიროა საერთაშორისო პრაქტიკით რეკომენდებული მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მოთხოვნების დაცვა [2].

“მდგრადი განვითარება” არის საზოგადოების განვითარების ისეთი სისტემა, რომელიც საზოგადოების კონტინუური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესებით უზრუნველყოფს ადამიანის ცხოვრების ღონის ხარისხის ზრდას და მომავალი თაობების უფლებას –

ისარგებლონ შეუქცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცელილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი.

მდგრადი განვითარების პრინციპების დამკვიდრება უნდა ეფუძნებოდეს საერთაშორისო ურთიერთობებით აღიარებულ შემდეგ პრინციპთა უცილობელ დაცვას:

- ადამიანებს აქვთ უფლება ჰქონდეთ ჯანსაღი და ნაყოფიერი სიცოცხლე ბუნებასთან პარმონიულობის პირობებში;

- სახელმწიფოებს აქვთ სუვერენული უფლება გამოიყენონ საკუთარი რესურსები თავისი გარემოსდაცვითი და ეკონომიკური პოლიტიკის მიხედვით. ისინი პასუხისმგებელნი არიან იმისათვის, რომ მათ კონტროლს დაქვემდებარებულმა საქმიანობაში ზიანი არ მიაყენოს ბუნებრივი გარემოს სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე;

- განვითარების უფლების რეალიზაცია უნდა მოხდეს ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს დღევანდელი და მომავალი თაობების მოთხოვნილებათა სამართლიანი დაქმაყოფილება ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის სფეროში;

- მდგრადი განვითარების მიღწვევისათვის აუცილებელია, რომ გარემოს დაცვა იქცეს განვითარების აროცესის განუყოფელ ნაწილად და არ განიხილებოდეს მიხეან მოწყვეტით;

- მდგრადი განვითარების აუცილებელი პირობაა სიღარიბის აღმოფხვრა.

უკეთა სახელმწიფომ და ხალხებმა უნდა ითანამშრომლონ ამ მიზნით, რათა შემცირდეს მკვეთრი განსხვავება ცხოვრების დონეებს შორის და დაკმაყოფილდეს მსოფლიოს მოსახლეობის უმრავლესობის სასიცოცხლელებები;

- განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკურ ეკოლოგიურად ჩამორჩენილი ქვეყნების მდგომარეობას და მოთხოვნილებებს;

- სახელმწიფოები თანამშრომლობენ გლობალური თანამშრომლობის სულისკვეთებით, რათა შენარჩუნებული, დაცული და ადგენილ იქნეს დედამიწის ეკოსისტემის სიჯანსაღე და მთლიანობა. უკეთა სახელმწიფო ინაწილებს საერთო პასუხისმგებლობას გლობალური გარემოს დეგრადაციაში თავისი “წელილის” მიხედვით.

მონაწილეობენ რა მდგრადი განვითარების მიღწვევისათვის საერთაშორისო თანამშრომლობაში, განვითარებული ქვეყნები აცნობიერებენ სათანადო პასუხისმგებლობას იმის გათვალისწინებით, თუ როგორ ზემოქმედებენ ისინი გარემოზე და რა ტექნოლოგიური და ფინანსური შესაძლებლობები გააჩნიათ.

- მდგრადი განვითარების და ყველა ადამიანისათვის ცხოვრების უფრო მაღალი დონის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოებმა უნდა შეზღუდოს და გააუქმოს წარმოებისა და მოხმარების არასიცოცხლისუნარიანი მოდელები და გაატარონ შესაბამისი დემოგრაფიული პოლიტიკა;

- სახელმწიფოებმა უნდა ითანამშრომლონ ეროვნული კომპლექსური სამეცნიერო პოტენციალის განმტკიცებისათვის მდგრადი განვითარების მისაღწევად სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სფეროში გამოცდილების გაზიარების გზით;

- სახელმწიფოები დაბულობენ სამართლებრივ აქტებს გარემოსდაცვით სფეროში საკუთარი საკეთიყოის საფუძველზე, ვინაიდან ერთი ქვეყნის სტანდარტები სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით სავსებით მიუღებელი შეიძლება აღმოჩნდეს სხვა ქვეყნებისათვის, განსაკუთრებით — განვითარებადი სახელმწიფოებისათვის;

- ეკოლოგიური პრობლემების გადასაჭრელად, სახელმწიფოებმა უნდა ითანამშრომლონ ხელსაყრელი და დია საერთაშორისო სისტემის შექმნის მიზნით, რაც უზრუნველყოფს ეკონომიკურ ზრდას და მდგრად განვითარებას ყველა ქვეყანაში;

- სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ ეკოლოგიური დანასარჯების ინტერნაციონალიზაციას და ისეთი ეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენებას, რომელთა მიხედვითაც დამბინძურებელი უხდის სათანადო საფასურს დაზარალებულ მხარეს. ამასთან აუცილებელია არ დაირღვეს საზოგადოებრივი ინტერესები და საერთაშორისო ვაჭრობის და ინვესტირების წესები;

- ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრაში უდიდესი როლი ენიჭება მკვიდრ მოსახლეობას, მის ცოდნას და ტრადიციულ პრაქტიკას.

სახელმწიფოებმა მხარი უნდა დაუჭირონ ადგილობრივი მოსახლეობის თვითმყობადობას, კულტურას, ინტერესებს და უზრუნველყონ მისი ეფექტური მონაწილეობა მდგრადი განვითარების მიზნების საქმეში;

- მშევრობა, განვითარება და გარემოს დაცვა მჭიდროდ დაკავშირებული და განუყოფელი ცნებებია.

ადსანიშნავია, რომ საქართველოში, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ურთიერთობების ყველა უბანზე მთლიანად არაა აღიარებული მდგრადი განვითარების პრინციპები და ამ მიმართულებით სუსტად მიმდინარეობს მიზანმიმართული ღონისძიებების გატარება, რომელთა მასშტაბებიც უნდა მოიცავდნენ პრობლემათა როგორც ლოკალურ, ასევე რეგიონულ და გლობალურ სასიათებს.

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანებს ფაქტორს უნდა წარმოადგენდეს:

- ქვეყნის ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის, მატერიალური დოკუმენტის წარმოებისა და მოხმარების პარმონიზაცია;

- ეკოლოგიურად ოპტიმალური და უსაფრთხო მეთოდების დანერგვა-გამოყენება და ქვეყნის წინაშე მდგარი პრიორიტეტული პრობლემების გადაწყვეტა.

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა და საკანონმდებლო ბაზა გარემოს დაცვის სფეროში მჭიდროდ უკავშირდება ქვეყნის საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვას გარემოს დაცვის სფეროში.

“საქართველოს კონსტიტუცია” წარმოადგენს გარანტს ქვეყნის მოსახლეობისათვის – ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო ბუნებრივ გარემოში ცხოვრების უზრუნველყოფის საქმეში.

ამ მიმართულებით საქართველოს მოსახლეობის უფლებების დაცვა მიიღწევა საქართველოს კანონმდებლობით. გარემოს დაცვის სფეროში მიღებული კანონები გამოხატავენ სახელმწიფოს პოზიციას და ასახავენ ქვეყნის პოლიტიკას საერთაშორისო თანამშრომლობის განხორციელებისას.

სახელმწიფო ფუნქციონირებს გარემოს დაცვის უზრუნველყოფის შესაბამისი აღმასრულებელი სახელმწიფო სტრუქტურები, რომელთა შორისაც განსაკუთრებული როლი, სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებისას, მინიჭებული აქვს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს. აქდან გამომდინარე, გარემოს დაცვის სფეროში მიღებული კანონების ეფექტურობა დიდადაა დამოკიდებული იმ ღონისძიებათა გატარებაზე, რომელთა განხორციელებაზე კონტროლი კანონმდებლობით ევალება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, მის დარგობრივ და რეგიონულ ორგანოებს.

ადნიშნული სამინისტრო საზღვრავს და აფასებს რეალურ და სავარაუდოდ მოსალოდნელ საშიშროებას ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების დროს. ამასთან, მას ევალება მიიღოს გადაწყვეტილება საქმიანობის სუბიექტებისათვის გარემოზე ზემოქმედების მიმართულებით დაწესებული საქმიანობების განხორციელებაზე ნებართვის გაცემის თაობაზე. ამ ნებართვების გაცემის ძირითადი პრინციპები, მიზნები და პროცედურები დარეგულირებულია საქართველოს საკანონმდებლო ბაზით და შესაბამისი ნორმატული აქტებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოქმედ საწარმოთა გარემოზე ზემოქმედების შეფასების სამართლებრივი უზრუნველყოფა.

ამ მიმართულებით საქართველოში მიღებულია რიგი ჩარჩო ხასიათის საკანონმდებლო აქტი, გარემოს კონკრეტული კომპონენტების დაცვის შიზნობრივი კანონები და სახელმწიფოს შიდა და გარე ურთიერთობების მარეგულირებელი მრავალი სამართლებრივი და ნორმატული აქტი.

საქართველო, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ახდენს იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა დადებას, რატიფიცირებას, დენონსაციას, ან მათთან მიერთებას, რომლებიც არეგულირებენ გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს ურთიერთობებს სხვა სახელმწიფოებთან, საერთაშორისო კავშირებთან და ორგანიზაციებთან. ამასთან, საქართველოს მიერ განხორციელებულ საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას და მათთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციას და კანონმდებლობას, აქვთ უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

კაცობრიობამ გასული საუკუნის უკანასკნელ ათეულ წლებში უურადდება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ჩვენს პლანეტას, მიუხედავად მისი მოჩვენებითი უსაზღვროებისა, შეზღუდული რესურსები გააჩნია. ამასთან, ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ მთლიანად ადამიანის არსებობა ბუნებაში ჩამოყალიბებულ როტულ ურთიერთკავშირებზეა დამოკიდებული. ადამიანის ჩარევამ ამ კავშირებში, სახელობრ, დედამიწის ზედაპირის მდგომარეობის შეცვლითა და გარემოს ცალპულ კომპონენტებზე ზემოქმედების ტემპების ზრდამ, სერიოზული შეჭყოთება გამოიწვია.

არსანიშნავია, რომ „კოლოგიის“ ცნების მრავალრიცხოვან განმარტებებს თუ განვაზოგადებთ, შეიძლება გამოვოთ მისი შემდეგი განსაზღვრები:

კოლოგია – ბიოლოგიურ მეცნიერებათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია, რომელიც ორგანიზმებსა და გარემოს შორის არსებულ ურთიერთობებს იკვლევს;

კოლოგია – ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის სამეცნიერო და პრაქტიკული პრობლემების ერთობლიობა.

ამ განმარტებებიდან: პირველი – კლასიკურად და საყოველთაოდ აღიარებულია ითვლება; მეორე კი – უკანასკნელ ათწლეულებში გაძლიერებული ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად, ბუნებრივი გარემოს კოლოგიური დატვირთვის კვლევების სპექტრის გაფართოების რეაქციად უნდა ჩაითვალოს.

სამეცნიერო ლიტერატურაში ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის რიგი სახეობა განირჩევა:

ბუნებრივი – ადამიანის სამეურნეო მოღვაწეობით უცვლელი გარემო;

გაწონასწორებული – ადგენითი პროცესების სიჩქარეები ანთროპოგენური რღვევების ტემპების ტოლია ან მათზე მაღალია;

კრიზისული – ანთროპოგენური რღვევების სიჩქარე ბუნებრივი სისტემების ოფითადგენის ტემპებს აღემატება, მაგრამ მათი ძირფესიანი ცვლილებები ჯერ კიდევ არ მიმდინარეობს;

კრიტიკული – მიმდინარეობს ადრე არსებული ბუნებრივი სისტემების ჯერ კიდევ უპუქცევადი შეცვლა ნაკლებად პროდუქტიულ სისტემებზე;

კატასტროფული – უპეე ძნელად უპუქცევად, ნაკლებად პროდუქტიული ბუნებრივი სისტემების განმტკიცების პროცესს აქვს ადგილი;

კოლასის მდგომარეობა – ბუნებრივი სისტემების პროდუქტიულობის შეუქცევადი დაკარგბა.

რა თქმა უნდა, ბუნებრივი გარემოს ოპტიმალური მდგომარეობაა – ბუნებრივი. ამ შემთხვევაში ბუნებრივ კომპონენტებს შედარებითი მუდმივობა ახასიათებთ. მაგრამ, პლანეტის ბუნებრივი გარემოს თანამედროვე მდგომარეობის ნიშანს კრიზისული ეტაპის დადგომა წარმოადგენს, ხოლო ცალკეულ რეგიონებში – კრიტიკულის და კატასტროფულის, რაც ასე თუ ისე ტექნოლოგიურად დაკავშირებული.

ამასთან, თანამედროვე საზოგადოების მიერ ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედებით გამოწვეული მრავალგაროვანი შედეგებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია კლიმატის შეცვლა. იგი მრავალი მეცნიერის მიერ იქნა აღნიშნული, როგორც უკანასკნელ ათეულ წლებში ატმოსფეროში ნახშირორჟანგისა და აეროზოლების კონცენტრაციების გამუდმებული ზრდის შედეგად გამოვლენილი ფენომენი.

კარგადაა ცნობილი, რომ მზის გამოსხივების იმ ნაწილის შეცვლა, რომელიც შთანთქმება დედამიწის მიერ, სხვა პირობების მუდმივობის შემთხვევაში, იწვევს მისი საშუალო პლანეტარული ტემპერატურის ცვლილებას. ხოლო დედამიწის ტემპერატურის ცვლილებას თუნდაც 10°-ით შეიძლება ჰქონდეს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა, ვინაიდან ეს საქმარისია დედამიწის ზედაპირზე იზოთერმების 260°-ით გადაწევისათვის. ეს უკანასკნელი კი გამოიწვევს დედამიწის ზედაპირზე სხვადასხვა რაიონების განედური განლაგების ცვლილებას.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ რაიონებში, ძირითადად, სარობენ მხოლოდ მათვაის დამახასიათებელი გარკვეული

სასოფლო-სამეურნეო კულტურები, ნათელი ხდება მეცნიერთა შეშფოთების მიზეზი.

ამონსფეროს დაბინძურების გავლენა კლიმატზე შედარებით უფრო მკაფიოდ გამოიხატება ქალაქებში, თავისი შორს მიმავალი შედეგებით. ამასთან ერთად, მათი დიდი ნაწილი სცილდება ქალაქის საზღვრებს და შეიძლება მეზოკლიმატური მნიშვნელობის წარმოქმნელ ფაქტორადაც ჩაითვალოს.

ის ფაქტი, რომ ამონსფეროს დაბინძურება ახდენს მავნე ზემოქმედებას ცოცხალ ორგანიზმებზე და მცენარეულ საფარზე, არის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, რომელიც გვაიძულებს მივაქციოთ სერიოზული ყურადღება ამონსფეროს დაბინძურების მონიტორინგს.

თანამედროვე პირობებში ძნელი წარმოსადგენია ურბანიზაციას დაქვემდებარებული ტერიტორია (რეგიონი, დასახლებული პუნქტი), რომელშიც მისი ბუნებრივი და კულტურული გარემოს ცალკეული კომპონენტების ნეგატიური ანთროპოგენური ზემოქმედებებისაგან დაცვის აუცილებლობა არ არსებობდეს.

უპყვე არავის არ ეპარება ჰქვი იმაში, რომ გარემოს ეკოლოგიური მონიტორინგი ადამიანის ორგანიზებული ყოფის ერთ-ერთი მთავარი განუყოფელი ნაწილია. ის მიმართულია ბუნების გარემოსა და მისი რესურსების ფრთხილი და რაციონალური მოხმარებისაკენ, რათა ადამიანის ყოფისათვის შეიქმნას უფრო ხელსაყრელი პირობები და ამაღლდეს მისი ეთილდღეობა.

საქართველო მიეკუთვნება ისეთ მცირერიცხოვან ქვეყანათა რიგს, რომელთაც გარემოს მდგომარეობის მონიტორინგის (მათ შორის: პიდრომეტეროლოგიური, მაგნიტურ-სეისმური, ბუნებრივი გარემოს ძირითადი კომპონენტების: ჰაერის, ნიადაგისა და წყლის ობიექტების დაბინძურების და სხ.) საკმაოდ კარგი ქსელის ხანგრძლივი და რეგულარული ფუნქციონირების მონაცემები გააჩნია. ამ მონაცემების მეცნიერული ანალიზით დადგენილი კანონმიერებებისა და თავისებურებების ამსახველი ანალიტიკური მასალები კარგადაა გაშუქებული ქართველ და საზღვარგარეთ მოღვაწე მეცნიერთა, მათ შორის ავტორთა, სტატიებსა და მონოგრაფიებში.

აქ მოძიებული მასალა დიდად უწყობს ხელს საქართველოს რეგიონებში ბუნებრივი გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის შესწავლისა და შენარჩუნების საქმეს.

## ლიტერატურა

### References

1. gunia g. atmosfers ekologiuri monitoringis meteorologiuri aspeqtebi. - Tb.,saq. mecn. akademia,2005,265 gv.
2. saqrTvelos kanoni garemos dacvis Sesaxeb -saqrTvelos parlamentis uwyebani, 1997, N1-2, 21gv.

**Gunia G., Svanidze Z, Svanidze L., Tserتسадзе T.  
Requirements of maintenance of stable economic development  
to sphere of protection of environment of Georgia**

### Summary

The environment of Georgia characterized by difficult orography, a variety of the climatic conditions, rich fauna and a vegetative cover, demands great attention to working out of questions of protection and monitoring of anthropogenic influence.

In particular, to questions of qualitative and quantitative estimations of characteristic parameters of an ecological condition of separate components of environment and revealing of tendencies of their expected changes. It, in turn, gives the chance to plan and carry out practical actions for the prevention of results of negative influences on environment.

In ecological conditions of Georgia the satisfaction of the requirements established by the international obligations and the state legislation in sphere of protection of environment, that is a considerable guarantee of carrying out in life of the standard principles of stable economic development of the country, first of all, is necessary.

«Stable development» is such system which, by combination of interests of economic development of a society and wildlife management, provides growth of quality of a standard of living of the person and the right of the future generations – to use, as much as possible protected from irreversible quantitative and qualitative changes, natural resources and environment. Use of principles of stable development should be based on obligatory observance of the principles recognized as the international mutual relation, including:

- People have the right to conduct a healthy and fruitful way of life in the conditions of harmonization with environment;
- Realization of the right of development should be carried out so that in sphere of economic development and wildlife management lawful requirements of the present and the future of generations have been satisfied;

- For sustainable development achievement it is necessary, that wildlife management became an inseparable part of development and wasn't considered in a separation from it;
- Sustainable development indispensable condition is poverty eradication. All states and the people should cooperate with that end in view that sharp distinctions between standards of living have decreased and vital needs of the majority of a world's population have been satisfied.

**Keywords:** economic development; nature protection

**Reviewer:** Professor Tengiz Tsintsadze, Institute of hydrometeorology of the Georgian Technical University

**Гуния Г.С., Сванидзе З.С., Сванидзе Л.С., Щерцвадзе Т.  
Требования обеспечения стабильного экономического  
развития к сфере охраны природной среды Грузии**

### **Резюме**

Природная среда Грузии, характеризующаяся сложной орографией, разнообразием климатических условий, богатым животным миром и разновидным растительным покровом, требует большого внимания к разработке вопросов охраны и мониторинга антропогенного воздействия.

В частности, к вопросам качественных и количественных оценок характерных параметров экологического состояния отдельных компонентов природной среды и выявления тенденций их ожидаемых изменений. Это, в свою очередь, дает возможность планировать и осуществлять практические мероприятия по превенции результатов негативных воздействий на природную среду.

В экологических условиях Грузии, прежде всего, необходимо удовлетворение требований, установленных международными обязательствами и государственным законодательством в сфере охраны природной среды, что является значительной гарантией проведения в жизнь общепринятых принципов стабильного экономического развития страны.

«Стабильное развитие» это такая система, которая совмещением интересов экономического развития общества и охраны природы обеспечивает рост качества уровня жизни человека и право будущих поколений –пользоваться, максимально защищенными от необратимых количественных и качественных изменений, природными ресурсами и средой. Внедрение принципов стабильного развития должно основываться на

обязательное соблюдение принципов, признанных международным взаимоотношением, в том числе:

- люди имеют право вести здоровый и плодотворный образ жизни в условиях гармонизации с природной средой;
- реализация права развития должна осуществляться так, чтобы в сфере экономического развития и охраны природы были удовлетворены законные потребности настоящего и будущего поколений;
- для достижения устойчивого развития необходимо, чтобы охрана природы стала неотделимой частью процесса развития и не рассматривалась в отрыве от него;
- обязательным условием устойчивого развития является искоренение бедности. Все государства и народы должны сотрудничать с этой целью, чтобы уменьшились резкие различия между уровнями жизни и были удовлетворены жизненные потребности большинства населения мира.

**Ключевые слова:** экономическое развитие; охрана природы.

**Рецензент:** Профессор Тенгиз Цинцадзе. Институт гидрометеорологии Грузинского технического университета

## თამარ აბუშილი 06 ზორავაციული ფაქტოლოგიის განვითარების მიმართ მართვის განვითარებაზე

ეპონომიკის სფეროში მომუშვევე მეცნიერთა უმრავლესობა თველის, რომ თავისუფალ ბაზართან და მეწარმეობის სურვილთან ერთად ეკონომიკის წარმატებულ განვითარებაზე მოქმედებს ინფორმაცია. რაც მეტ ინფორმაციას ფლობს მეწარმე ან ქვეყანა, მით უფრო წარმატებულია. 60-იანი წლებიდან საბჭოთა ქვეყნების ლიდერებმა დაუშვეს კიბერნეტიკის, როგორც ნამდვილი მეცნიერების არსებობა. ამ დროისათვის ჩამოყალიბდა საქართველოში კიბერნეტიკის ინსტიტუტი, რომლის მრავალსაცემო მიზანი პროგრამებიდან ერთ-ერთი “ჰკვიანი” მანქანების შექმნაც იყო. თბილისში რამდენიმე სამეცნიერო ცენტრი არსებობდა, რომლებიც მუშაბდნენ სხვადასხვა ტიპის კიბერნეტიკული პროგრამების შექმნაზე. მათ შორის ლიდერები იყვნენ საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის კიბერნეტიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტი, მექანიკა-მათემატიკის ინსტიტუტი, მთინი და სამეცნიერო ტექნიკური ინფორმაციის ინსტიტუტი. ყოველი მათგანი მუშაობდა სხვადასხვა ტიპის კიბერნეტიკულ და საინფორმაციო პრობლემაზე, დარგობრივი პროგრამების შედგენაზე და ამავე დროს სახლხო მეურნეობის დარგებისთვის მონაცემთა ბანკების შექმნასა და დამუშავებაზე.

ადამიანთა საზოგადოება ვითარდება კომუნიკაციის სისტემის სრულყოფასთან ერთად. თავის დროზე დამწერლობამ უდიდესი როლი შეასრულა საზოგადოების განვითარებაში. დღეისათვის კი მიიჩნევენ, რომ მომავალი კომუნიკაციური სისტემის, პერძოდ, ინტერნეტ-ქსელის განვითარებით განისაზღვრება.

თანამედროვე ეტაპზე ინფორმაცია გვევლინება როგორც განბი, ხოლო ინფორმაციული ტექნოლოგიის განვითარება ქვეყნის განვითარების ინდიკატორად მიიჩნევა. ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა გააერთიანა და დააკავშირა მთელი პლანეტა. მისი მეშვეობით შესაძლებელი გახდა დროის უმცირეს მონაკვეთში მსოფლიო მასშტაბით ფინანსური კაპიტალის, საწარმოო და შრომითი ოქსურსების, აგრეთვე ინფორმაციის მიმოქცევა. სწორედ ელექტრონული ტექნოლოგიები, უწინარეს ყოვლისა, კი ინტერნეტი, როგორც გლობალური ქსელი და ურთიერთდაკავშირებული კომპიუტერების ერთიანობა, გახდა კაცობრიობის განვითარების საფუძველი, რომელმაც შეცვალა მსოფლიოს ხალხთა ცხოვრება, ურთიერთობა და, შესაბამისად, ბიზნესიც. საზოგადოების

კომპიუტერიზაცია და ინტერნეტიზაცია იქცა სტრატეგიულ რესურსად, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნების განვითარებას.

ინტერნეტი, როგორც ინფორმაციული ტექნოლოგიების გლობალური ელექტრონული ბაზარი, ტექნიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კომერციული ფენომენია. იგი ამავე დროს არის უნიკალური სისტემა, რომელიც მარკეტინგის ეფექტურ გარემოს და საშუალებას წარმოადგენს. კორპორაცია Microsoft-ის დამფუძნებელი ბილ გეითსი ინტერნეტს განიხილავს, როგორც ურთიერთდაგავშირებული კომერციული და არაკომერციული კომპიუტერული ქსელების ქარტურ ნაკრებს.

საქართველოში ინტერნეტში პირველი რეალური ჩართვა მოხდა 1991 წელს, ხოლო 1992 წლის დეკემბერში დარეგისტრირებული იქნა საქართველოს ნაციონალური დომენი GE. ჩვენს ქვეყანაში ინტერნეტის მოქმედება 1993 წლიდან დაიწყო, მაგრამ ეს კავშირი ინტერნეტთან არ ნიშნავდა ინსტიტუციურ ჩართვას. ეს იმდენად მცირე მასშტაბით ხდებოდა, რომ ამ უმნიშვნელო მაჩვენებელს კომპიუტერული საქმიანობის განვითარება არ მოუხდებოდა. ძირითადი პროცედურა სატელეფონო ხაზით ხდებოდა და იგი არსებობდა მხოლოდ თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში, ისაც უმნიშვნელო მომსმარებლების რაოდენობით. ის რაიონები, სადაც სატელეფონო ხაზები არ არსებობდა, მოწყვეტილი იყვნენ ინტერნეტ მომსახურებას.

90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში უმძიმესი პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა იყო. ელექტროენერგიის შეზღუდული მიწოდება როგორც დაწესებულებისათვის, ისე ფართო მოსახლეობისათვის შეუძლებელს ხდიდა ინტერნეტის ნორმალურ მუშაობას. ამან განაპირობა, რომ გლობალურ ქსელთან მუდმივი IP შეერთება საქართველოში მოვაინებით განხორციელდა.

90-იანი წლების შეუძლებელი ნებ-ნებლა დაიწყო ეროვნული საკომუნიკაციო კომანიების ჩამოყალიბება და აღორძინება. ამ დრის შეიქმნა ძირითადი ტელესაკომუნიკაციო პროგრამერები, როგორებიცაა მაგთი, ჯეოსელი, კავკასუსი და ა. შ.

1996 წლიდან საქართველოში ფართოდ გავრცელდა მობილური სატელეფონო კავშირი. გადამცემი ანძები დაიდგა არა მხოლოდ დიდ ქალაქებში, არამედ რაიონებშიც. დღეისათვის მთელი საქართველოს ტერიტორია დაფარულია მობილური სატელეფონო კავშირით და ის ინფორმაციის მიღების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს, თუმცა ეს მობილური სატელეფონო კავშირი ყოველთვის არ არის გამოყენებული ინტერნეტ კავშირისათვის.

ინტერნეტით დაინტერესება მოსახლეობაში 90-იანი წლების ბოლოდან დაიწყო. თუ მანამდე პერსონალური კომპიუტერები

ოჯახებში მხოლოდ თამაშებისათვის გამოიყენებოდა ან საბჭდი მანაქანის ფუნქციას ასრულებდა, 90-იან წლების ბოლოდან, არა მხოლოდ სამეცნიერო დაწესებულებები და კომპანიები, არამედ კერძო პირებიც იყენებდნენ ინტერნეტს, რომელიც უამრავ ფუნქციას ასრულებდა.

საქართველოში ინტერნეტ-კროვაიდერთა შორის მონოპოლისტი Caucasus Online იყო, რომლის მომსახურებითაც მომხმარებელთა 95% სარგებლობდა. ღღესდღეობით კი ყველაზე ახალი ტელესაკომუნიკაციო ოპერატორი საქართველოს ბაზარზე არის Silknet, რომელმაც მუშაობა დაიწყო 2010 წლიდან. სილქების მომსახურების გაუმჯობესების მიზნით გაერთიანებული ტელეკომის, ვანექსისა და აჭარის ელექტროკავშირის კონსლიდირის შედეგად დაარსდა. ის მომხმარებელს სთავაზობს უახლესი ტექნოლოგიის ტელეკომუნიკაციური მომსახურების ფართო საექტრს, მათ შორის ფიქსირებულ სატელეფონო ხაზებს, სწრაფ და უწყვეტ უკაბელო DSL ბოჭკოვან-ოპტიკურ ინტერნეტსა და მობილურ ტელეფონს, საერთაშორისო კოდებს და საერთაშორისო მომსახურების პაკეტებს, IP ახალი თაობის ინტერაქტიულ ტელევიზიას. დღეისათვის სილქების პყავს ფიქსირებული საკაბელო ხაზების ტელეფონების 350 000 აბონენტი, დაახლოებით 110 000 ბროდბენდის აბონენტი, 55 000 CDMA აბონენტი და მათი რიცხვი სულ უფრო იზრდება.

ტელეკომუნიკაციების სფეროში კაპიტალ დაბანდებები ერთ-ერთი ყველაზე მაღალია ქვეყნის ეკონომიკის სხვა დარგებს შორის. თუ ტელეკომუნიკაციის სფეროს ხვედრითი წილი ქვეყნის მთლიან ეროვნულ შიდა პროდუქტში 2000 წლს 3.7% იყო, 2010 წლისთვის მან 6.8%-ს, ხოლო 2011 წლის I კვარტლის მონაცემებით 12%-ს მიაღწია. 2000-2009 წლებში დაბანდებებმა ამ სფეროში 395 მილიონ დოლარს გადააჭარბა, ხოლო 2011 წლის პირველ კვარტალში 480 მილიონამდე ავიდა.

90-იანი წლების ბოლოდან და 2000 წლის დასაწყისამდე დიდია საკუთარი დომეინის შექმნით დაინტერესება. საინტერესოა, რომ სამხრეთკავკასიის ქვეყნებს შორის საქართველო პირველ ადგილზეა როგორც პერსონალური კომპიუტერების რაოდენობით, ასევე ბიზნესში ინტერნეტის გამოყენებით, ინტერნეტით ბიზნესის წარმოებაში და ინტერნეტში ჩართული კერძო მომხმარებლების რაოდენობით. საინტერესოა ასევე საერთაშორისო სტატისტიკური ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები. ამ შედეგების მიხედვით საქართველო პირველ ადგილზეა სამხრეთკავკასიის ქვეყნებს შორის ინტერნეტის შეუზღუდვით (ცენზურისაგან

თავისუფალი) მოხმარებისა და შეუზღუდავი ინფორმაციის მოხმარების მხრივაც.

დღეს საქართველოში ინტერნეტ-კავშირი და კომპიუტერიზაცია მთავრობის უპირველეს პრიორიტეტს წარმოადგენს. ამიტომ საქართველოს მთავრობამ შეიძუშავა არაერთი პროექტი: შეიქმნა კომპიუტერის შემსწავლელი უფასო კურსები, მოხდა პედაგოგის გადამზადება, ასევე საქართველოს ყველა სკოლის უზრუნველყოფა კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტ-კავშირით და ა. შ.

საქართველოში ინტერნეტ-მომხმარებელთა უდიდეს ნაწილს სხვადასხვა ტიპის ბიზნესები წარმოადგენს. მათ შორის ადსანიშნავია მთლიანად კომპიუტერიზებული და ელექტრონული საბანკო, სახელმწიფო-საუწყებო, მსხვილი საგადარო, ძალოვანი, საგანმანათლებლო სისტემა, განათლების სამინისტრო და უმაღლესი სასწავლებლები, აგრეთვე საშუალო სკოლები დიდ ქალაქებში მთლიანად კომპიუტერიზებულია, ნაწილობრივ-რაიონებსა და რთული რელიეფის მქონე ცენტრიდან მოშორებულ სოფლებში.

რაც შეეხება საქართველოს სხვა დიდ ქალაქებს, როგორც კვლევის მონაცემები ცხადყოფს, ბათუმის მოსახლეობა საქმიოდ აქტიურია კომუნიკაციის ამ საშუალების გამოყენების თვალსაზრისით – თითქმის ყოველი მესამე ბათუმელი სარგებლობს ინტერნეტით (58%); ქუთაისელები შედარებით პასიურები არიან (36%); სხვა ქალაქების მაჩვენებელი კი 23% შეადგენს.

მაღალი დინამიურობით გამოიჩინება საქართველოს მოსახლეობის მიერ პერსონალური კომპიუტერის ფლობის მაჩვენებლებიც. ადსანიშნავია, რომ მომხმარებლები დიდი ინტერესით ეცნობიან და იძენენ ბაზარზე შემოსულ უახლოეს ტექნოლოგიებს – iPod, iBook, iPad და ა. შ. განსაკუთრებული დინამიურობით გამოიჩინება მობილური ტელეფონების ბაზარიც, უახლესი მოდელების მობილური ტელეფონები მოსახლეობაში ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობენ.

მარკეტინგის სფეროში პრაქტიკულად ნებისმიერი საქმიანობა დაკავშირებულია ბაზრის, საქონლის, მომხმარებლების, კონკურენტების შესახებ ინფორმაციის ძიებასა და ანალიზე. მარკეტინგული საქმიანობის ანალიზის, დაგეგმვის, რეალიზაციისა და კონტროლისათვის საჭიროა მარკეტინგული ინფორმაცია. მარკეტინგული ინფორმაციის ძიებისათვის კი გამოიყენება სხვადასხვა წყარო, რომელთა შორის განსაკუთრებით ოპტიმალური, ოპერატორულად მისაწვდომი, მრავალფეროვანი მასალებით მდიდარია ინტერნეტ-ქსელი. იგი შესაძლებლობას იძლევა პრაქტიკულად უსაზღვროდ გამოვიყენოთ მსოფლიო ინფორმაციული რესურსი,

შევისწავლოთ მარკეტინგული საქმიანობის მსოფლიო გამოცდილება, მივიღოთ საერთო ეკონომიკური, ფინანსური, სტატისტიკური, დემოგრაფიული ინფორმაცია, განვახორციელოთ საქონლისა და მომსახურების სამამულო და მსოფლიო ბაზრებზე დაკვირვება. გლობალური ქსელი გამოიჩინება ინფორმაციის მიღების სისწრაფით, რაც შესაძლებლობას იძლევა, რომ რაციონალურად იქნეს გამოყენებული სამუშაო დრო და მოხდეს საწარმოო პროცესის ოპტიმიზაცია.

ელექტრონული მარკეტინგის ძირითადი ამოცანაა ბაზრის კვლევა, მიმდინარე მოთხოვნისა და მოთხოვნილების გაგება, ბაზრის სეგმენტირება, მიზნობრივი სეგმენტის შერჩევა, ამ სეგმენტზე მიზნის შესაბამისი web-საიტის შექმნა და პოზიციონირება.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ელექტრონულ ბაზარზე მარკეტინგული კომუნიკაციის სისტემა, წარმატებით დაინერგა, გავრცელდა და განვითარდა. საზოგადოებაში სულ უფრო მეტად მიმდინარეობს რეკლამის, როგორც მიზნის მიღწევის ეფექტური საშუალების, აუცილებლობის გაცნობიერება. თუმაცა ქართული ვებ-სივრცე საჭიროებს სრულყოფას, მეტ ინფორმაციულობას, რეკლამას, გამჭვირვალობას, მარკეტინგულ სტრატეგიას, ინფორმაციული ნაკადების ზრდის ხელშეწყობას და საინფორმაციო სექტორის ფორმირებას. ასევე აუცილებელია ქსელში მარკეტინგული კომუნიკაციის ძირითადი ინსტრუმენტის – საიტის წინსვლის მეთოდების ჩამოყალიბება, რომელმაც უნდა მოიზიდოს ინტერნეტ-აუდიტორიის ახალი ნაკადი. ასევე, მათი შენარჩუნება, მუდმივ კლიენტებად და პარტნიორებად გარდაქმნა, უნდა გახდეს საქართველოში ელექტრონული მარკეტინგის უპირველესი ამოცანა.

ინტერნეტი არის მასობრივი ინფორმაციის პირველი საშუალება რომელშიც გაჩნდა დიალოგის შესაძლებლობა. იგი აახლოებს ადამიანებს და ამცირებს მანძილს. ელექტრონული ფოსტა წარმოადგენს მძლავრ მარკეტინგულ ინსტრუმენტს, ათეულ და ათასობით ადამიანთან კომუნიკაციის საშუალებას, სარეკლამო და PR კამპანიის, აგრეთვე პოტენციური კლიენტებისა და პარტნიორების მოძიების, ვებ-საიტის პოპულარობისა და საიტზე დამთვალიერებელთა ზრდის იაფ და ეფექტურ საშუალებას. იგი საქმიანი მიმოწერის ხელსაყრელი ფორმაა და წარმოადგენს ბიზნეს-ინფორმაციის გადაცემის მაგისტრალს, აგრეთვე უმნიშვნელოვანეს საინფორმაციო არსეს კლიენტების მოპოვებაში.

ინტერნეტი გახდა ნებისმიერი საქონლისა და მომსახურების შესახებ ინფორმაციის მოპოვების ძირითადი წყარო და გასაღების გზა, ასევე ბიზნესის წარმატებით მართვის მთავარი იარადი.

ელექტრონული კომერცია საქართველოში განვითარდა უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში. სახელმწიფო დაწესებულებებს, ასევე დიდ, საშუალო და მცირე კომპანიებს აქვთ თავიახოთი ვებ-გვერდები. ისინი მომხმარებლებს აწვდიან უახლეს ინფორმაციას, სთავაზობენ სერვისების ახალ პაკეტებს. ყოველივე ამან განაპირობა, რომ ინტერნეტ მომხმარებელთა რაოდენობა მსოფლიოში უპრეცენდენტოდ გაიზარდა. ოუ 2007 წელს ინტერნეტით სარგებლობდა 1,133 მლრდ ადამიანი, რაც შეადგენდა მსოფლიო მოსახლეობის 17,2%-ს, 2012 წლისათვის მსოფლიოში ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობამ 2,267 მლრდ-ს გადააჭარბა, რაც მოსახლეობის 32,7%-ს შეადგენს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინტერნეტით მსოფლიო მოსახლეობის ხვედრითი წილის მიხედვით ყველაზე აქტიურად ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნების მოსახლეობა სარგებლობს (78,6%), მეორე ადგილზე ავსტრალია (67,5%), ევროპელები მესამე პოზიციას იკავებენ (61,3%), მეოთხეს – ლათ. ამერიკა (39,5%), მეხუთე ადგილზეა ახლო ადმოსაგლეთი (35,6%), მეექვსე პოზიცია უკავია აზიას (26,2%), ხოლო მეშვიდე – აფრიკას (13,5%). უახლესი მონაცემებით, მსოფლიოში კომპიუტერიზაციის თვალსაზრისით პირველ ადგილზე ისრაელია. ეს არის ერთადერთი ქვეყანა, სადაც კომპიუტერის ფლობის ინდექსი 1-ს აჭარბებს და ერთ სულ მოსახლეზე 1,25 კომპიუტერი მოდის.

ელექტრონული ბიზნესი, კომერცია, ვირტუალური ბიზნეს საქმიანობა, თანამედროვე ტექნოლოგიები არა მარტო დიდ ინტერესს იწვევს, არამედ ამ თანამედროვე პროცესებში სახელმწიფო დაწესებულებები და კერძო სტრუქტურები აქტიურად არიან ჩართულები. აღსანიშნავია, რომ ნებისმიერ ბიზნესში უპირველეს ყოვლისა მნიშვნელოვანია საწარმოს განვითარებისა და წარმატებით ფუნქციონირების სტრატეგიის ჩამოყალიბება, რომელიც მარტინგული კვლევების საფუზველზე უნდა შემუშავდეს, შემდგა კი აუცილებელია გადაწყვდეს, ოუ როგორ მოხდეს ამ სტრატეგიის განხორციელება მუდმივი კონკურენციისა და არასტაბილური ბაზრის პირობებში. სწორედ გათვლილი და ჩამოყალიბებული სტრატეგია ნებისმიერ ბიზნესს საშუალებას აძლევს შევიდეს ინტერნეტ-ბაზარზე, ფეხი მოიკიდოს იქ თავის სპეციფიკურ სეგმენტში და წარმატებით განვითარდეს.

ინტერნეტ ბიზნესს აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მსარებები და შედეგები. დადებით შედეგებს მიეკუთვნება ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის ამაღლება, ბიზნესის ახალი დარგების განვითარების შესაძლებლობა, მსოფლიო პროცესებში აქტიური ჩაბმის შესაძლებლობა. უარყოფითია ის, რომ ამ სფეროს ჯერ არ აქვს დაცვის სრულფასოვანი მექანიზმები, თავისი

გახსნილობისა და ხელმისაწვდომიბის გამო ადგილი ხდება უკანონო ქმედებების ჩადენა და ინტერნეტში მოქმედი ბიზნესები ხშირად მსხვერპლის ხდებიან ამ ტიპის ქმედებებისა. საერთაშორისო დონეზე თუ ქვეყნის შიგნით, თავი იჩინა ამ ახალი დარგის სამართლებრივი რეგულირების ობიექტებრივი საჭიროებამ. ყოველივე ამის შედეგად კი შეიქმნა და სწრაფად ვითარდება ახალი იურიდიული სპეციალიზაცია – ინტერნეტ-კანონმდებლობა.

ინტერნეტი ახალი ათასწლეულის რევოლუციური ტექნოლოგიაა, რომელიც აძლიერებს მომხმარებლებისა და ბიზნესების ურთიერთკავშირს. ახალი ეკონომიკის თითქმის ყველა ინოვაციას შორის, რომელთაც ბოლო ათწლეულში იჩინებს თავი, ინტერნეტმა ყველაზე მნიშვნელოვანი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, „საუკეთესო მსარდამჭერის“ როდი შეასრულა. უკანასკნელმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ მომხმარებლები მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული გადაწყვეტილებების მიღებამდე, ინფორმაციას ინტერნეტის მეშვეობით მოიპოვებენ. ყოველი სამი მომხმარებლიდან ერთი მაქსიმალურად ეკრანისა ინტერნეტის ინფორმაციას ისეთ ქმედებათა განხორციელებისას, როგორიცაა სკოლის შერჩევა, მანქანის ყიდვა, სამსახურის მოქმედება, ავადმყოფობის დადგენა თუ ინვესტიციებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება.

ინტერნეტ-ბაზრის განვითარების გარეშე შეუძლებელია ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის განვითარება, გლობალურ სივრცეში ინტეგრირება, რაც საქართველოსთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია.

## ლიტერატურა

### References

1. Jolia g., sexniashvili d. internet marketingi.”teqnikuri inuversiteti “. tb. 2010.
2. Armstrongi g., kotleri f., marketingis safudzvlebi. me-7 gamocema. kavkasiis biznes skolis targmani. 2005.
3. Todua n., Abuladze r., “saqartvelos internet-bazris marketinguli kvleva”. tb., 2008.
4. Ключи от XXI века: Сб. статей.– М., 2004, 317 с. (пер. с фр. яз.).
5. Гречков В.Ю. Современное состояние и перспективы электронной коммерции (маркетинговый подход). Журнал: 'Маркетинг в России и за рубежом—. №6 / 2003.
6. Мешалкина Ю.В. Поставщики маркетинговой информации. журнал: 'Маркетинг в России и за рубежом~. №1 / 2004.
7. <http://www.ACT-Inter world stats.com>
8. <http://www.International Monetary Fund>
9. <http://www.unesco.ru>

10. <http://www.research world statistics.com>

11. <http://www.corpsite.ru>

## Тамар Абуашвили

### Влияние информационных технологий на экономическое развитие страны

#### Резюме

В статье внимание заострено на значении информации и информационных технологий. В любой сфере принятые государством решения зависят от принятия и обработки соответствующей информации. Электронные технологии, в первую очередь Интернет, как глобальная сеть, стала основой развития человечества.

Интернет-инфраструктура и его ресурсы все более возрастают. Вместе с непрерывной эволюцией компьютерной техники и сетевой технологии постоянно увеличивается и количество интернет-пользователей.

Для любой страны без развития Интернет-рынка невозможно развитие экономики, интегрирование в глобальную сферу, что также является весьма важным и для Грузии.

**Ключевые слова:** информационные технологии, интернет бизнес, интернет пользователь, интернет маркетинг, электронный рынок.

**Рецензент:** Профессор Ш. Вешапидзе. Грузинский технический университет.

**Tamar Abuashvili**

**Effect of informational technologies on the development of the country's economic**

#### Summary

In this article we pay attention to the importance of information and informational technologies. The decision taken by the state in any sphere depends on finding out the information. Electronic technologies, first of all internet, as the global net has become the foundation of the humanity development.

The internet infrastructure and its resources are constantly increasing. Together with computer and Net techs uninterrupted evolution is permanently raising the quantity of the internet customers.

Without the development of the internet market it's impossible to develop the economics of any country, integration in global spare which is very important for Georgia.

**Keywords:** informational technologies, internet business, internet customer, internet marketing, electronic market.

**Reviewer:** Professor Sh. Veshapidze, Georgian Technical University

## 0401 ჩიბირვი შიდაზინაცემი ანალიზი და ფირმის მანეჯმენტი

არის ასეთი გამოთქმა „ფული კომპანიის ხელებია, რომელიც უქმად კი არ უნდა აქნიო, არამედ ფული უნდა აკეთებინო“. მაშასადამე, ფულით უნდა გაქვთდეს ფული, ბუნებრივია, უფრო მეტი, ვიღრე საწყისი ფულია.

ეს ფულანიარი სამეწარმეო საქმე ფულის ინვესტირებით იწყება საქმიანობის მრავალფეროვნებიდან კომპანიის ტოპმენჯერთა გუნდი ირჩებს საქმეს, გადაწყვეტილებას ამ საქმეში ინვესტიციის განხორციელებაზე კი იდებს კომპანიის ფინანსური მენეჯერი.

ეს გადაწყვეტილება, თუ ყველაზე საუკეთესო არა, ერთ-ერთი საუკეთესო მაინც უნდა იყოს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფინანსურმა მენეჯერმა უნდა განიხილოს მის ხელთ არსებული ფულის ინვესტირების (დაბანდების) რამოდენობები ვარიანტი და კომპანიისთვის ის საქმე და ინვესტიციის ის მოცულობა მიზნიოს მისაღებად, რომელიც მათ შორის მოსალოდნელი უგეგტიანობით ყველაზე ოპტიმალური აღმოჩნდება.

ფინანსური მენეჯერი ამას იმ შემთხვევაში შეძლებს, თუ მან კარგად იცის ფულადი კაპიტალის ფასი და მისი ინვესტირების სამომავლო ეფექტიანობის გამოხავარიშების მათემატიკური აპარატი. იმის მიუხედავად, რომ ეს მეთოდიკა ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტებზე ყველგან ისწავლება (საგნებში – „ფინანსური მენეჯმენტი“, „კორპორაციული ფინანსები“, „პროექტების მართვა“, „ინვესტიციების მენეჯმენტი“), მისი დაუფლებით და შემდეგ მისი დამახსოვრებით საქართველოში მრავალი ფინანსისტი ვერ მოიწონებს თავს. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეთა კავშირის (თავმჯდომარე ბ. ზარნაძე) დახმარებით ჩვენს მიერ ჩატარებულ სოციოლოგიურ გამოკითხვით დაგადგინეთ, რომ არა თუ მცირე, არამედ საშუალო სიდიდის საწარმოების მესაკუთრები და ფინანსური მენეჯერებიც კი, ამ საკითხს დიდ ყურადღებას არ აქცევენ და ფულის დაბანდების საკითხს ინტუიციის დონეზე წყვეტენ. ეს ეხება, როგორც ფულის მიღების წყაროების არჩევას, რაც მათთან მხოლოდ ბანკის პროცენტის სიდიდით ფასდება, ისე ამ ფულის საქმეში დაბანდებას.

ჩვენს მიერ ანკუტირებულ თბილისში მომუშავე 12 საშუალო სიდიდის საწარმოდან (ისინი ლუდის, შოკოლადის და მაკარონის ნაწარმის მწარმოებელი ფირმებია) მხოლოდ სამს აღმოაჩნდა ფინანსური მენეჯერის შტატი, რომელთაგან კითხვაზე თუ „როგორ ახდენთ ფულადი სახსრების გენერირებას ფირმაში და როგორ ირჩევთ მისი ინვესტორების საუკეთესო ვარიანტს“, ვერცერთისგან ვერ მივიღეთ მაღალპროფესიონალური პასუხი. ეს გვაფიქრებინებს, რომ

საქართველოს კომპანიების ფინანსურ მენეჯერებს არ გააჩნიათ სათანადო თეორიული ცოდნა. ვერც ფირმების მესაკუთრენი მოიწონებენ ამ მხრივ თავს. ხშირად მათ, არათუ ფინანსური საკითხები, არამედ ზოგად მენეჯმენტსა და მარკეტინგშიაც არ გააჩნიათ ელემენტარული ცოდნა. ასეთ პირობებში, რადა თქმა უნდა, ისინი, ვერც თვითონ გაუძღვებიან დამოუკიდებლად ფირმის საფინანსო მეურნეობას და ვერც დაქირავებული ფინანსური მენეჯერის ცოდნას გააკონტროლებენ.

შეიძლება მსხვილ ფირმებში ასეთი სავალალო მდგომარეობა არ არის, რადგან იქ ფინანსური მენეჯერები ალბათ უფრო მკაცრ შერჩევას გადიან, მაგრამ ესეც მხოლოდ სავარაუდოა, რადგან არათუ საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც კი მაღალკვალიფიციური მენეჯერის დაქირავება პრობლემაა.

ალბათ ამის მიზეზია, რომ საქართველოს სამთავრობო სტრუქტურებშიც არ ხდება ფულის ნაკადების მომრაობის სათანადო კრიტერიუმებით დასაბუთება. მაგალითად, განა საკმარისია საგარეო ვალის (რომელიც საქართველოში 2011 წლისთვის 3,8 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა [1, გვ. 154] და 2007 წელთან შედარებით 2-ჯერ და მეტად გაიზარდა) მარტო იმ კრიტერიუმებით დასაბუთება, რომ იგი არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი შიდა პროდუქტის 30%-ს და მისი ზრდის ტემპიც არ უნდა იყოს მასზე მეტი? გასაგებია, რომ ამის ზევით საგარეო ვალი საფრთხეს უქმნის ქვეყნას, მაგრამ ნუთუ ფინანსისტებმა არ უნდა იანგარიშონ მთლიანი შიდა პროდუქტის ეს 30%-მდე აღებული საგარეო ვალი, როგორ გამოადგა ქვეყნის ეროვნული შემოსავლის ზრდას? საზღვარგარეთ ამას ანგარიშობენ და ასაბუთებენ უძველეს თეზას, რომ სიმდიდრეს აქტივის იურიდიული ფლობა კი არ იძლევა, არამედ ეკონომიკური ფლობა.

რადა თქმა უნდა, რომ როცა ფინანსური მეურნეობის გაძლიერების ეს მოთხოვნები სამთავრობო დონეზე დარღვეულია, რასიც ალბათ ფინანსთა სამინისტროს ფინანსისტები უნდა დაგადანაშაულოთ), რა გასაბირია რომ იგივე ხდებოდეს სამეურნეო სუბიექტების დონეზე.

ერთხელ ავდნიშნეთ და კიდევ გავიმეორებთ, რომ ფულის სწორი მართვა ოჯახშიც, კომპანიაშიც და ქვეყანაშიც ძირითადი, საკვანძო საკითხია. თუ ფული არ იმართა სწორად, პროფესიონალურად, ოჯახიც გაკოტრდება და ქვეყანაც, მას სხვა სფეროში მიღებული ვერანაირი წარმატება ვეღარ უშველის (1991-2011 წლებში საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოთა ნახევარზე მეტი ამ მიზეზით გაკოტრდა).

ყოველიც ზემოთნათქვამის გამო, ამ საქმეს დროულად უნდა მიხედვა. პირველ რიგში, საჭიროდ მიგვაჩნია ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში ფინანსური მენეჯმენტის და კორპორაციული ფინანსების განსაკუთრებული სწავლება, როგორც დათმობილი კრედიტების რაოდენობით, ისე სწავლების გამკაცრებით. მეორე ღონისძიებად მიგვაჩნია ფინანსური მენეჯერის ვაკანსიაზე მკაცრი გამოცდის და ტესტირების ჩატარება, ხოლო მესამედ – ფინანსური მენეჯერის მიერ არაეფექტური გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მისი დაჯარიმება ზარალის 10-20%-ით, ხოლო ხორმაზე მეტი მოგების (მსოფლიო პრაქტიკაში იგი შეადგენს 15%-ს) მიღების შემთხვევაში – დაჯილდოვებას ზემოგების ასევე 10-20%-ით.

დღეს საქართველოს არცერთ კომპანიაში ეს მექანიზმი არ მუშაობს. ადამიანები ფინანსურ მენეჯერებად მიიღებიან კვალიფიკაციის დამადასტურებელი სათანადო დოკუმენტებით და ზოგადი გასაუბრებით (არა გამოცდით). გასაუბრებას ატარებენ კომპანიის გენერალური დირექტორები (ამ როლში ძირითადად კომპანიის მესაკუთრეები გვეკლინებიან) და კადრების მენეჯერები. არცერთ მათგანს არ გააჩნია კომპეტენცია ფინანსებში გასაუბრების ჩასატარებლად და ამიტომ ზოგადი გასაუბრებით ქმართვილდებიან. ასეთი გასაუბრება კი მეტ-ნაკლებად დასაშვებია სხვა შეზღიურებული დასაგვებლად, მაგრამ არამც და არამც ფინანსური მენეჯერისა. სწორედ ამიტომ არის, რომ შედეგად გვაქს, ის რაც გვაქს.

ჩვენს მიერ გამოკითხულ კომპანიებიდან, რომელთაგან როგორც ავღნიშვნეთ, სამს ყავდა ფინანსური მენეჯერი, ამოვარჩიეთ ერთი, კერძოდ ფირმა „დორქ“ და ეს საკითხები მასთან უფრო დეტალურად შევისწავლეთ.

კომპანია „დორქ“ სამუშაოებს უსრულებს „ყაზბაზტრანსს“. მისი სამუშაოთა წლიური მოცულობა 0,5-1,0 მლნ ლარის ფარგლებში მერყეობს, არის მომგებიანი ორგანიზაცია, აქტივების ნახევარს ფარავს საკუთარი სახსრებით, მეორე ნახევარს კი ბანკის სესხებით, არა აქს გადაბადაცილებული დებიტორებით დაგალინებები, 20-25% აქს რეალიზაციის რენტაბელობა და სხვ. კომპანიის ფინანსური მენეჯერი ანგარიშობს და აანალიზებს რენტაბელობის და მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტებს და თვლის, რომ ეს სრულიად საკმარისია კომპანიის მომავლის საპროგნოზოდ, რაც ჩვენ არ მიგვაჩნია სწორად. აქ არ ანალიზდება და არ კონტროლდება კაპიტალის სტრუქტურის კოეფიციენტები, საქმიანი აქტივების კოეფიციენტები, საინვესტიციო პროექტების ეფექტიანობის მოსალოდნელი მაჩვენებელი და სხვა. არ ხდება მოზიდული სახსრების (კაპიტალის) ფასის ანგარიშიც.

ჩვენ გავარკვიეთ, რომ კომპანია დიდ დროს არ უთმობს ფულის გენერირების პროცესს და მისი აღტერნატიული წყაროებიდან უკეთესის ამორჩებას. ამისათვის იგი პირდაპირ ბანქს მიმართავს და ოვლის, რომ თუ მისი სესხის პროცენტი მისთვის მისაღებია, მაშინ სესხიც არის მისაღები. ბანკის სესხის მიზანშეწონილობა მხოლოდ სხვა ბანკებთან მისი შედარეგბით წყდება. ეს არის და ეს, ოფორტულ ფინანსებში მიღებული მეთოდით კომპანიის ფინანსურ მენეჯერს ევალება იანგარიშოს ასაღები სესხის რეალური ფასი, რომელიც იანგარიშება ფორმულით [2, გვ. 88]:

$$K_{\delta c} = \Psi_{\delta c} (1 - r_t)$$

ფორმულაში

$K_{\delta c}$  – არის ნასესხი კაპიტალის ფასი

$\Psi_{\delta c}$  – სესხზე ბანკის პროცენტი

$r_t$  – მოგების გადასახადი

როგორც ფორმულიდან ჩანს, კაპიტალის ფასის ანგარიშმი შედის ნასესხი კაპიტალის პროცენტი ( $\Psi_{\delta c}$ ), მაგრამ იგი კაპიტალის ფასის მხოლოდ ნაწილია.

კომპანია „დორე“ კრედიტის წყაროს ამოსარჩევად ასეთ გაანგარიშებებს უნდა აკეთებდეს რამდენიმე ბანკზე და შემდეგ იქიდან ირჩევდეს უმცირესი მნიშვნელობის კაპიტალის ფასის მქონე ბანკს ( $K_{\delta c} = \min$ ).

მეორე ნაბიჯია უკვე კაპიტალის ფასის შედარება იმ საქმის (პროექტის) მოგებიანობის შიგა ნორმასთან (IRR), რომელ საქმეშიც კომპანიამ ეს კაპიტალი უნდა დააბანდოს. თუ  $K_{\delta c} < IRR$ -ზე, მაშინ კომპანიამ ეს სესხი უნდა აიღოს, ხოლო ტოლობის ან მეტობის შემთხვევაში ( $K_{\delta c} \geq IRR$ ) – უარი უნდა თქვას მასზე.

ამჟამად კომპანია „დორე“-ს 87 000 ლარი სესხი აქვს საქართველოს ბანკიდან ადგებული წლიური 16%-ით და ოვლის, რომ ეს 16% არის ნასესხი კაპიტალის ფასი. სინამდვილეში მისი რეალური ფასი არის  $K_{\delta c} = 16(1 - 0,15) = 13,6\%$ .

საქართველოს კომპანიების ფინანსურ მართვაში ასეთი ლაფსუსები ძალზე ბევრია. აქედან გამომდინარე, ფინანსური მაჩვენებლების ანალიზია და კონტროლშიც მრავლად მიიღება არასწორი ფინანსური გადაწყვეტილებები და ამაზე არავინ აგებს პასუხს. ფინანსურ ანალიზიდან მეტი უურადღება ექვევა მაჩვენებლების პორიზონტალურ და ვერტიკალურ ანალიზს, ხოლო ნაკლები

– ფინანსურ კოეფიციენტებს. ჩვენი აზრით, ანალიზი ეს ერთად, კომპლექსურად უნდა ხორციელდებოდეს.

ამასთან ანალიზიც და კონტროლიც უნდა მიმდინარეობდეს არა მხოლოდ პერიოდის ბოლოს, როგორც ეს ამ კომპანიაში ხდება, არამედ პერიოდის დასაწყისშივე, ანუ კეთდებოდეს მისაღწევი მაჩვებლების პროგნოზი და შემდგა კონტროლდებოდეს მათი შესრულება.

რადგან კომპანია „დორე“ მოგებიანია და ლიკვიდურია თვლიანი, რომ მას გაკოტრება არ ელოდება. ცხადია, მომგებიანობა ფინანსური სიმყარის მეტად წონადი მაჩვენებელია, მაგრამ გაპოტრების უველავე მასიურად გავრცელებული – კ. ალტმანის კოეფიციენტი, მარტო მოგებას როდი შეიცავს. იგი ასე იანგარიშება [3, გვ. 375]:

$$Z = 1,2x_1 + 1,4x_2 + 3,3x_3 + 0,6x_4 + 1,0x_5$$

ფორმულაში

$$x_1 = \frac{\text{წმინდა საბრუნავი კაპიტალი}}{\text{აქტივების ჯამი}}$$

$$x_2 = \frac{\text{გაუნაწილებელი მოგება}}{\text{აქტივების ჯამი}}$$

$$x_3 = \frac{\text{ძირითადი საქმიანობის საბალანსო მოგება}}{\text{აქტივების ჯამი}}$$

$$x_4 = \frac{\text{საკუთარი კაპიტალის საბაზრო ღირებულება}}{\text{ნახესი სახესრები}}$$

$$x_5 = \frac{\text{რეალიზაციიდან წმინდა ამონაგები}}{\text{აქტივების ჯამი}}$$

კ. ალტმანის მიხედვით, ოუ კომპანიის  $Z$  – კოეფიციენტი 1,81-ზე ნაკლებია, მაშინ მას გაკოტრების საფრთხე ელოდება, ოუ 2,99-ზე მეტია – არ ელოდება, ხოლო ოუ იგი 1,82-დან 2,98-ის ფარგლებშია, მაშინ არის საეჭვო მდგომარეობა (ალტმანი მას „ჭაობს“ უწოდებს) და მხოლოდ ამ კოეფიციენტის დინამიკამ უნდა დაგვანახოს ოუ რა გზას ადგას იგი – გაკოტრების გზას, ოუ ფინანსური გაძლიერების გზას.

კომპანია „დორე“-სთვის ჩვენ ვინგარიშეთ გაკოტრების ალბათობის პროგნოზი. გავაკეთეთ მისი დინამიკაც 2008-2011 წლებში (ცხრილი 1). როგორც ცხრილიდან ჩანს, კომპანია „დორე“-ს  $Z$  –

მაჩვენებელმა 2008 წელს შეადგინა 4,1, 2011 წელს კი – 4,8. ორივე შემთხვევაში იგი მეტია 3,0-ზე და თანაც მისი დინამიკა უმჯობესდება, რაც გვაფიქრებინებს, რომ კომპანიას გაკოტრების საფრთხე არა აქვს.

მართალია ჩვენი ამ გაანგარიშების შედეგი დაემთხვა კომპანია „დორე“-ს ფინანსური მენეჯერის აზრს, რომ მათი კომპანია ძლიერია და მათ გაკოტრების საფრთხე არა აქვთ, მაგრამ ასეთი დამაჯერებელი გაანგარიშებების გაკეთების გარეშე მათი აზრი მაინც ინტეიციურია და ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება არ გამართლდეს.

ამრიგად, ჩვენს მოხსენებაში განხილული პრობლემის ანალიზი უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ კომპანიის ფინანსურმა მენეჯერებმა შიდასაფირმო ანალიზიც უნდა გაამკაცრონ და შიდასაფირმო კონტროლიც.

## ლიტერატურა

### References

1. a. TvalWreliZe, a. silagaZe, g. qeSelaSvili, d. gegia, saqarTvelos socialur-ekonomikuri ganviTarebis programma, Eb., 2011, gv. 154.
2. z. RuduSauri, finansuri menejmenti, Tb., 2007, gv. 88.
3. Прувпринимфтульство, под. ред. В. Горфинкеля, М., 1999. с. 375.

## Ilia Chibirov

### Internal Analysis and Control of the Company Requires More Attention from Financial Manager

#### Summary

Ilia Chibirov's article "Internal Analysis and Control of the Company Requires More Attention from Financial Manager" considers and estimates critically work of the manager in that field by the example of the Company "Dore".

It is identified that financial analysis and control in the companies are carried out at the end of period and it is not complex. Financial ratio is less controlled. Failure risks are not predicted as well. It is controlled only periodically

The article summarizes critically established procedure and gives recommendations for its improvement

**Keywords:** Financial Manager, Company "Dore"

**Reviewer:** Professor Akaki Gvarutsidze, Georgian Technical University

**Илья Чибиров**

**Внутренний финансовый анализ и управление фирмами**

Работа финансового менеджера на примере компании «Доре» была рассмотрена и оценена критически. Было утверждено, что анализ и контроль осуществляется в конце периода. Существующая практика в приведенной статье была оценена отрицательно и приведены мероприятия для ее улучшения.

**Ключевые слова:** финансовый менеджер , компания «Доре»

**Рецензент:** Профессор Акакий Гваруцидзе . Грузинский технический университет.

## დაბით ადგაძმა

### მცირე პიზნების არსი და კლასიფიკაციის პრიცენტიშვილი

მეცნიერულად დასაბუთებული და პრაქტიკულად დადასტურებულია, რომ ადამიანთა საზოგადოების მამორაგებელ ძალას პირადი ინტერესების დაგმაყოფილები სათვის სწრაფვა წარმოადგენს. იქმაყოფილებს რა თავის პირად ინტერესებს, ადამიანი ამით სულაც არ უგულებელყოფს საზოგადოების ინტერესებს. პირიქით, როგორც ა. სმითი გვასწავლის, ყოველი ინდივიდის ინტერესების დაგმაყოფილება აუცილებლად ითვალისწინებს საზოგადოების ინტერესებსაც. აღნიშნულიდან გამომდინარე, ყოველი ადამიანის ბუნებრივი თვისებაა იშრომოს და იცხოვროს თავისი და საზოგადოების მოთხოვ ნილების დასაქმაყოფი ლებლად, უკეთესი მომავლის უზრუნველყოფისათვის. ამ დირებულებათა წარმოების რეალური გზაა საკუთარ შრომაზე დამყარებული, სხვისი დიქტატის გარეშე განვითარებული მცი რე ბიზნესი. იგი საბაზო ეკონომიკური ურთიერთობისათვის დამახსასიათებელი ფენიმენია. ქართველი ხალხი სათვის ეს გზა მხოლოდ XX საუკუნის ბოლო აოწლეულიდან გაიხსნა.

მცირე ბიზნესი საბაზო ეკონომიკური სისტემის არსებით და განუყოფელ ნაწილია. იგი ინგლისური სიტემა «ბუსინეს»-იდან მოდის და საქმიანობას ნიშნავს. სწორედ ამ ნიშნის გამო, პრაქტიკაში ხშირად აიგივებენ ბიზნესსა და მეწარმეობას. მეწარმეობაც ხომ ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ განხორციელებული საქმია ხობაა.

მაგრამ მათ შორის ტოლობის ნიშნის დახმა ყოველთვის არ შეიძლება. თუმცა, უკა ნასკნელ პერიოდში გამოცემულ ლექსიკონებში ბიზნესი და მეწარმეობა გაიგივებულია. მაგალითად, დიდი ეკონომიკური ენციკლოპედია ბიზნესს განმარტავს, როგორც საქმეს, მეწარმეობას, ეკონომიკურ საქმიანობას, რომელიც ხორციელდება საკუთარი ან ნასესხები საშუალებების ხარჯზე, თავისი რისკით და თავისივე პასუხისმგებლობის ქვეშ. მისი მთავარი მიზანია მოგების მიღება და საკუთარი საქმის განვითარება. მეწარმეობა, მართალია, ადამიანების საქმიანობაა, მაგრამ რამდენადმე შეზღუდული ფორმით, რომელიც მატერიალური დოკუმენტის წარმოების, გაცვლის, განაწილებისა და მოხმარების პროცესს გულისხმობს. ბიზნესი კი ადამიანის საქმიანობის ფართო სფეროს მოიცავს [1, გვ. 60].

საერთოდ, თუ მკაცრი კრიტერიუმებით მივუდგებით, არ არსებობს მცირე ბიზნესის საყოველთაოდ მიღებული განმარტება.

მცირე ბიზნესის მთავარ ფიგურას წარმოადგენს საწარმოს მფლობელი. საზოგადოება, ბანკირები, მთავრობის წევრები და თვით

საწარმოების მფლობელებიც კი რომ მისულიყვნენ ამ დასკვნამდე, დიდი დრო დასჭირდათ. მითუმეტეს რომ, ადამიანის პირადი ეგოისტური ინტერესის შესახებ პირველად 1776 წელს ჩამოყალიბდა ინგლი-სელი მეცნიერის ადამ სმითის ნაშრომში - «გამოკვლევა სალხთა სიმძიდრის ბუნების და მიზეზების შესახებ». იმან, ვინც მცირე ბიზნესში აპირებს თავის საქმიანობის დაწ ყებას, ან უკვე ამ სფეროშია ჩაბმული, უნდა იცოდეს, რომ ბიზნესი ემყარება საწარმოს მფლობელის ან მისი მმართველის უნარს - მიიღოს დამოუკიდებელი და სწორი გადაწყვეტილება.

ასეთი დასკვნა, რა თქმა უნდა, ეწინააღმდეგება ხალხში დამკავიდრებულ არასწორ შეხედულებას იმის თაობაზე, რომ თითქოს მცირე ბიზნესის წარმატების საფუძველს წარმოადგენს უკლი.

მცირე ბიზნესის აწყობის დროს მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს არა მისგან მიღებული უჟლის რაოდენობის დათვლას, მისთვის კრედიტების გამოყოფას, არამედ, იმას, თუ როგორია ამ საწარმოების მართვის ხასიათი. სწორედ ეს აძლევს მცირე ბიზნეს სის მფლობელს იმის გარანტის, რომ დახარჯული ყოველი ერთი ლარი აუცილებლად მოგებით დაუბრუნდება. უფრო მეტიც, მცირე ბიზნესში საწარმოს ბევრი მფლობელი გულწრფელად არის დარწმუნებული, რომ პროცენტით მიღებული სესხი, კარგი მარ თ ვის პირობებში, მოგებით იქნება უკან დაბრუნებული.

უნდა ვთქვათ, რომ თანამედროვე პირობებში თანთდათან იცვლება წარმოდგენა მცირე ბიზნესზე. თუ ფირმის ხელმძღვანელობას (ან ახალი საწარმოს დამაარსებელს) უნარი აქვს მიიღოს გონივრული გადაწყვეტილება და შეასრულოს კიდეც ის, ფინანსური რი მხარდაჭერა, შესაბამისი მისაღები პირობებით, ყოველთვის შეიძლება მოინახოს.

უნდა ვიცოდეთ, რომ ტერმინი «მცირე ბიზნესი» პირველად აშშ-ში იხმარეს 1953 წელს მიღებულ კანონში «მცირე ბიზნესის შესახებ». ამას წინ უძლოდა ბრიტანეთის მინისტრის გ. მილანის მიერ 1934 წელს გაკაუთმული მოხსენება «დიდი ბრიტანეთის სამრეწველო და ფინანსური მდგომარეობის შესახებ», რომელშიც პირველად იქნა გამო ყენებული ტერმინი «მცირე და საშუალო საწარმოები», ხოლო 1948 წელს აშშ-ში მიღებულ იქნა კანონი «მომსახურების გარკვეული სახეების შესახებ». აქაც ლაპარაკია მცირე საწარმოების შესახებ. სამივე აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს ბიზნესის კლასიფიკაციის (მცირე, საშუალო, მსხვილი) პირველ მცდელობას.

დიდ გკონომიკურ ენციკლოპედიაში მცირე ბიზნესი განმარტებულია, როგორც მცირე და საშუალო კერძო საწარმოების ერთობლიობა. ეს არის ეკონომიკის კველაზე მობილური სექტორი,

ასრულებს მნიშვნელოვან დამაბალანსებელ როლს და აერთიანებს ქვეყნის შრომითი რესურსების მნიშვნელოვან ნაწილს. იგი არის ეკონომიკურად მოწინავე ქვეყნების მეწარმეობის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ფორმა.

მცირე ბიზნესს, უპირველეს ყოვლისა, მიეკუთვნება საწარმოები, რომლებიც პასუხობენ ჩამოთვლილი მახასიათებლებიდან ორს მაინც: დამოუკიდებელი მართვა; საკუთარი კაპიტალი; მოქმედების ლოკალური რაორნი; წარმოების შედარებით მცირე სიღილე; თანამშრომელთა მცირე რაოდენობა; საბრუნავი კაპიტალის შედარებით მცირე მოცულობა.

მცირე ბიზნესი თანამედროვე ეკონომიკური ურთიერთობის ერთ-ერთი მნიშვნე ლო ვანი სეგმენტია. იგი წარმოადგენს ეკონომიკის თანამედროვე ნეოლიძე რალური მო დელის საფუძველს და საბაზრო ეკონომიკის პირობებში უზრუნველყოფს ძირითად კონკურენციულ უპირატესობას, საბაზრო მექანიზმს ანიჭებს აუცილებელ მოქნილობას და ქმნის ეკონომიკის ინოვაციური განვითარების წანამდვრებს, ერთი მხრივ, ახდენს შესაბამისი კონკურენციული გარემოს ფორმირებას, ხოლო, მეორე მხრივ, - ახალი იდეების გენერირებას.

როგორი პარადოქსულიც არ უნდა იყოს, მცირე ბიზნესი წარმოადგენს მსხვილი კორპორაციული, მონოპოლიური კომპანიების საფუძველს.

ამერიკაში გავრცელებულია გამონათქვამი, რომლის მიხედვითაც «ამერიკული ეკონომიკის ხერხემალს დიდი კორპორაციები წარმოადგენენ, მის კუნთებს კი, მცირე ფირმები ქმნიან». ნიშანდობლივია, რომ უკანასკნელ წლებში აშშ-ში მცირე ბიზნესის ამერიკული ეკონომიკის ტკინსაც კი ადარებენ. ეს იმიტომ, რომ მრავალი ახალი მეცნიერებატევადი საწარმო, რომელშიც ქვეყნის სამეცნიერო და ტექნიკური პოტენციალის დიდი ნაწილია ჩართული, მცირე კერძო ორგანიზაციების სახით არის წარმოდგენილი.

თანამედროვე პირობებში მცირე ბიზნესის საწარმოები ფუნქციონირებენ არა მარტო ისეთ ტრადიციულ დარგებში, როგორიცაა მსუბუქი და კვების მრეწველობა, არამედ სულ უფრო ფართო მასშტაბებს იღებენ მანქანათმშენებლობაში, ოპტიკური ხელსაწყოების წარმოებაში, ქიმიურ და ელექტროტექნიკურ მრეწველობაში, განათლებაში, ხელოვნებაში, კულტურაში, ფიზკულტურასა და სპორტში, სამედიცინო, საკონსულტაციო, საყოფაცხოვრებო, რეკრეაციული, ტურისტული და მომსახურების ყველა სხვა სფეროში, რომელშიც კანონმდებლობით ადამიანის საქმიანობა აქრძალული არ არის. მათი კლასიფიკაცია ხდება რაოდენობრივი და სარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით.

რაოდენობრივი მაჩვენებლებია: საწარმოში დასაქმებულთა რიცხოვნობა (ყველაზე გავრცელებული მაჩვენებელი); წარმოების წლიური მოცულობა; გაყიდვების წლიური მოცულობა; აქტივების საშუალო წლიური საბადანსო ღირებულება. ამასთან, რაოდენობრივი შეკალა განსხვავებულია ცალქეული ქვეყნებისა და დარგების მიხედვით (ზოგიერთ ქვეყანაში რეგიონების მიხედვითაც).

ხარისხობრივი მაჩვენებლებია: საწარმო ფლობს ბაზრის მცირე წილს; საწარმოს მართვა ხორციელდება პირადად მისი მფლობელის მიერ; საწარმო წარმოადგენს დამოუკიდებელს, ე.ო. არ ემორჩილება მსხვილ კომპანიას.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ აღნიშნული მაჩვენებლების რაოდენობრივი შეფასება სხვადასხვანირია სხვადასხვა ქვეყნების, მოცემული ქვეყნის რეგიონებისა და დარგების მიხედვით [2. გვ. 113]. ეკონომიკური ონამშრომლობისა და განვითარების საერთაშორისო ორგანიზაცია (OECF), რომელშიც შედიან განვითარებული ქვეყნები, განსაზღვრავს საწარმოთა შემდეგ კლასიფიკაციას: 19 კაცამდე რაოდენობით - როგორც «მეტად მცირეს», 90-დე კაცს - როგორც «მცირეს», 100-დან 499 კაცამდე - როგორც «საშუალოს» და 500-ზე მეტი - როგორც «მსხვილს».

სსრკ-ის და მათ შორის რუსეთის პრაქტიკაში მცირე მეწარმეობის, როგორც ეკონომიკური საქმიანობის არსებობა დაიწყო 1988 წელს. ამ პერიოდში მცირეს მიაქცევნებდნენ სახელმწიფო საწარმოებს, რომელშიც ყოველწლიურად დასაქმებულთა რაოდენობა არ აღიარებოდა 150 კაცს. სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამი ად, რომელიც მიღებული იყო 1990 წილს აგვისტოში, მცირე საწარმოებს მიეკუთვნებოდნენ საწარმოები, რომლებშიც ყოველწლიური დასაქმებული არ აღემატებოდა: მრაწველობაში – 200 კაცს, მეცნიერებაში და მეცნიერულ მომსახურებაში – 100 კაცს, საწარმო სფეროს სხვა დარგებში – 50 კაცს, არამწარმოებლურ სფეროს დარგებში – 25 კაცს, საცალო ვაჭრობაში – 15 კაცს. ამასთან ერთად, გათვალისწინებული იყო სამუშაოები ბრუნვის მოცულობაც. დასაქმებულთა რაოდენობრივი მნიშვნელობის განსაზღვრის უფლება ენიჭებოდათ მოკავშირე რესპუბლიკებს, მაგრამ სამეურნეო ბრუნვის მოცულობა პრაქტიკულად, მაინც, არ იქნა დადგენილი.

«მცირე მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ» რეტ-ის ფედერალური კანონის შესაბამისად (14.06.1995 წ.), მცირე მეწარმეობის სუბიქტად მიჩნეულია: კომერციული ორგანიზაციები, რომელთა საწევდებო კაპიტალში რუსეთის ფედერაციის სუბიქტების, საზოგადოებრივი და რელიგიური ორგანიზაციის (გაერთიანების),

საქველმოქმედო და სხვა ფონდების წილი არ აღემატება 25%-ს, წილი, რომელიც ეკუთვნის ერთ ან რამდენიმე პირს, რომლებიც არ წარმოადგენებ მცირე მეტარმეობის სუბიექტებს, არ აღემატება 25%-ს და რომელ შიც დასაქმებულ მუშაკთა საშუალო რიცხოვნობა საანგარიშო პერიოდში არ აღემატება შემდეგ ზღვრულ დონეს:

მრეწველობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე – 100 კაცს;

სოფლის მეურნეობასა და სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში – 60 კაცს;

საბითუმო ვაჭრობაში – 50 კაცს;

საცალო ვაჭრობასა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებაში – 30 კაცს;

დანარჩენ დარგებსა და სხვა სახის საქმიანობის განხორციელებაში – 50 კაცს.

მცირე საწარმოები, რომლებიც ახორციელებენ რამდენიმე სახის საქმიანობას (მრავალპროფილიანები), კრიტერიუმის მიხედვით მიეკუთვნებიან მცირეს იმ საქმია ნობის სახით, რომლის ხვედრითი წილი წარმოადგენს ყველაზე მეტს ბრუნვის წლიურ მოცულობაში ან მოგების წლიურ მოცულობაში.

განვითარებულ ქვეყნებში, საბაზო ეკონომიკის სუბიექტების კლასიფიკაციის მიზნით, გამოყენებულია სხვადასხვა კრიტერიუმები. ასე მაგალითად:

ეკონომიკის საბჭოში შემავალ ქვეყნებში ეკონომიკის ყველა სუბიექტი იყოფა შემდეგ ნაირად: მიკროსაწარმოები, მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოები. ამავე ქვეყნებში მცირე და საშუალო საწარმოებისათვის მისაკუთვნებლად გამოყენებულია შემდეგი კრიტერიუმები:

მიკროსაწარმოები – 1-დან – 9-მდე ადამიანის რიცხოვნობით;

მცირე საწარმოები – 10-დან – 49-მდე;

საშუალო – 50-დან – 249-მდე;

მსხვილი საწარმოები – 250 და მეტი.

ამრიგად, ეკონომიკურ მცირე საწარმოს რომ მივაკუთვნოთ, ადამიანების ზღვრული სიდიდე უნდა შეადგენდეს არა უმეტეს 49-ს, მაგრამ, როდესაც რუსეთში, ეკონომიკის ცალკეულ დარგებში, შეადგენს არა უმეტეს 100 ადამიანისა.

მთლიანად ამ ქვეყნებში რიცხოვნობის გარდა გამოიყენება სხვა კრიტერიუმიც – საქონელბრუნვა - არაუმეტეს 40 მილიონი ევრო. მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენს აგრეთვე მცირე საწარმოთა დამოუკიდებლობა, მაგრამ ეკონომიკის სხვადასხვა ქვეყანაში რაოდენობრივი კრიტერიუმები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან:

ავსტრიაში ასეთი კრიტერიუმებია: მომუშავეთა რიცხოვნობა

არაუმეტეს 50 კაცისა, ამასთან, წლიური შემოსავალი – არაუმეტეს 5 მლნ ევრო, ან აქტივების საბალანსო დირექტულება – არაუმეტეს 2 მლნ ევრო. ორივე შემთხვევაში საწარმოს საკუთრებაში გარე მესაკუთრების ხელითი წილი არ უნდა აღემატებოდეს 25%-ს. ეს უკანასკნელი კრიტერიუმი შეესაბამება რუსეთის პრაქტიკას.

გერმანიაში მცირე და საშუალო საწარმოს მიეკუთვნება – არაუმეტეს 500 კაცი, წლიური ბრუნვა – არა უმეტეს 100 მლნ ევრო. იტალიაში მიერთსააწარმოს აკუთვნებები: რიცხოვნობა - არა უმეტეს 19 კაცისა, ხოლო მცირეს – 20-დან 49 კაცამდე. მცირე და საშუალო საწარმოს წარმოადგენს საწარმო, რომელშიც მომუშავეთა რიცხვი შეადგენს 100-დან 199 კაცამდე.

პორტუგალიაში მცირე საწარმოს მიეკუთვნება საწარმო, რომელიც დასაქმებულია მატერიალური წარმოების სფეროში, სამთო-მომპოვებელ მრეწველობაში, სხვა საწარმოებისათვის მომსახურების გაწვევაში, აგრეთვე საწარმოები, რომლებიც მოქმედებენ საბითუმო და საცალო ვაჭრობაში. წლიური ბრუნვა მცირე საწარმოებში არ უნდა აღემატებოდეს 12,1 მლნ ევროს, ხოლო სხვა საწარმოების კაპიტალში წილი არ უნდა აღემატებოდეს 50%-ს.

შეციიაში მცირე და საშუალო საწარმოს მიეკუთვნება საწარმოები მომუშავეთა რიცხოვნობით - არა უმეტეს 200 კაცისა. მცირე და საშუალო საწარმოთა კლასიფიკაციისათვის გამოიყენება შემდეგი მაჩვენებლები:

ზრდის სტადია (საწყისი, გადარჩენა, ზრდა);

საქმიანობის გეოგრაფიული სფერო (ლოკალური, რეგიონული, ნაციონალური მასშტაბი);

დარგობრივი კუთვნილება;

მფლობელებისა და მმართველების სპეციფიკური მახასიათებლები (მაგალითად, ქალი – მეწარმე, უცხოელები და ა.შ.);

პრობლემების ტიპი, რომლებიც დამასახასიათებელია საწარმოსათვის (მაგალითად, პროდუქციის ხარისხის მართვა, ფინანსირება და ა.შ.).

იაპონიაში გამოიყენება მცირე მასშტაბითი საწარმოს ცნება მომუშავეთა რიცხოვნობით 20 კაცამდე, ვაჭრობისა და მომსახურების სფეროში – 5 კაცამდე.

პრაქტიკულ ინტერესს იწვევს აშშ-ის გამოცდილება. ასე მაგალითად, მცირე საწარ მოდ ითვლება საწარმო, რომელიც იმართება დამოუკიდებელი მესაკუთრების მიერ და რომელსაც დომინირებული მდგომარეობა არ უცავია ბაზარზე. რაოდენობრივ კრიტერიუმებს (დაქირავებული მუშაკების რიცხვი ან წლიური ბრუნვა), ყოველი ცალკეული დარგისათვის, სტანდარტული სამრეწველო კლასიფიკატორის შესაბამისად დარგის

თავისებურებებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ადგენს მცირე ბიზნესის აღმინისტრაცია.

მაგალითად, მშენებლობაში მცირე საწარმოს მიაკუთვნებენ საწარმოს წლიური ბრუნვის მოცულობით 7 მლნ დოლარიდან (საქმიანობის სახეების მიხედვით), ხოვლის მეურნეობაში – წლიური ბრუნვით 3,5 მლნ დოლარიდან, ცალკეულ დარგებში – 0,5 მლნ დოლარიდან.

დიდ ბრიტანეთში, «კომპანიების შესახებ კანონის» შესაბამისად (1981, 1986 და 1989 წლ.) ცვლილებებით, მცირე საწარმო უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგი საში კრიტერიუმიდან ორს მაინც: ბრუნვა - არა უმეტეს 2,3 – მლნ ფ. სტერლინგი, აქტივი - არაუმეტეს 1,5 მლნ ფ. სტერლინგი; დასაქმებულთა საშუალო რიცხოვნობა - 50 კაცამდე. გამოიყენება, აგრეთვე, უფრო კონკრეტული დარგობრივი მაჩვენებლები: მომუშავეთა რიცხოვნობა, ბრუნვა, ხოლო ტვირთზიდვაში – ავტომობილების რაოდე ნობა.

უფილ საბჭოთა რესაუბლიერებებში, როგორც წესი, საწარმოთა მცირე საწარმოდ მიაკუთვნების კრიტერიუმებს წარმოადგენს მომუშავეთა რიცხოვნობა, მაგრამ ზოგიერთ ჰკვენაში გამოიყენება სხვა მაჩვენებლებიც. უკრაინაში, მაგალითად, ასეთ კრიტერიუმებს წარმოადგენს მხოლოდ მომუშავეთა რიცხვი. იმის მიხედვით, ოურომედი დარგის საწარმოა, მრეწველობაში, მშენებლობაში და ტრანსპორტზე – არაუმეტეს 100 კაცისა; კვლევებში და დამუშავებებში არაუმეტეს 60 კაცისა, საბითუმო ვაჭრობაში – არაუმეტეს 50 კაცისა, საცალო ვაჭრობაში – არაუმეტეს 20 კაცისა. მოლდავეთში გამო ყოფენ მიკროსაწარმოებს მომუშავეთა რიცხვით 20-დან 75 კაცამდე.

ბალტიისპირა ქვეყნებში გამოყენებული კრიტერიუმები იწვევენ ინტერესს. ლატვიაში, მაგალითად, მცირე საწარმოს აკუთვნებენ საწარმოს, რომელშიც მომუშავეთა რიცხვი არ აღემატება 25 კაცს, ბრუნვა შეაღებს არაუმეტეს 200 ათასი ლატისა, ხოლო ძირითადი საშუალებების საბალანსო ლირებულება არაუმეტეს 70 ათასი ლატისა. ესტონეთში – მცირე საწარმოს და მიაკუთვნებენ საწარმოს მომუშავეთა რიცხვით არაუმეტეს 80 კაცისა და 15 მლნ ესტონური კრონის წლიური ბრუნვით. ლიტვაში, შესაბამისად, არაუმეტეს 100 კაცისა და 2 მლნ ლიტისა.

საზღვარგარეთული და სამამულო გამოცდილების ანალიზის შედეგად დადგენილია, რომ მცირე ბიზნესის საწარმოებს ახასიათებს როგორც დადგებითი, ისე უარყოფითი მხარეები.

დადებითი მხარეებია: ადგილობრივ პირობებთან იოლი ადაპტაცია; მცირე საწარმოთა მოქმედების დიდი დამოუკიდებლობა, მოქნილობა

და მიღებულ გადაწყვეტილებათა მიღებასა და შესრულებაში ოპერატორის; საქმიანობის განხორციელების (განსაკუთრებით მართვის დროს) შედარებით დაბალი ხარჯები; ინდივიდის დიდი შესაძლებლობა - რეალიზაცია გაუკეთოს თავის იდეებს, გამოავლინოს თავისი უნარი; პირველსაწყის კაპიტალზე შედარებით მცირე მოთხოვნილება და ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნის საპასუხოდ სწრაფი ცვლილებები პროდუქციასა და წარმოების პროცესში; საკუთარი კაპიტალის უფრო მაღალი ბრუნვადობა და სხვა.

აშშ-ს საერთაშორისო ბიუროს მოხსენებაში აღნიშნულია, რომ მცირე და საშუალო საწარმოებს, მსხვილ კომპანიებთან შედარებით, გააჩნიათ მნიშვნელოვანი კონკურენციული უპირატესობები: ერთ მუშავზე გაანგარიშებით თხოვლობენ ნაკლებ კაპიტალდაბანდებებს და ფართოდ იყენებენ ადგილობრივ მატერიალურ და შრომით რესურსებს.

მცირე ბიზნესის მფლობელები უფრო მეტად მიმარტვენ სახსრების დაზოგვისაკენ და ორიენტირებული არიან ინვესტირებაზე, წარმატების მიღწევაში მათ ყოველთვის პირადი მოტივაციის მაღალი დონე აქვთ, რაც დადებითად მოქმედებს საწარმოს საქმიანობაზე. მცირე ბიზნესი უკეთესად არის ინფორმირებული ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნის შესახებ, ხშირად საქონელს აწარმოებს კონკრეტული მომზარებლის შეკვეთით, დაქირავებული მუშების მნიშვნელოვან რაოდენობას არსებობის საშუალებას აძლევს. მცირე ბიზნესი მსხვილ საწარმოებთან შედარებით ხელს უწყობს უმუშევარი მოსახლეობის დასაქმების ზრდას, და პროფესიონალი მუშაკების მომზადებასა და პრაქტიკული ცოდნის გავრცელებას. მცირე ბიზნესს, მსხვილთან შედარებით, ცალკეულ ქვეყნებში უკავია დომინირებული მდგომარეობა, როგორც რიცხოვნობით, ისევე საქონლის (შესრულებული სამუშაოს, მომსახურების) წარმოების ხვედრითი წონის მიხედვით.

მაგრამ, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მცირე ბიზნესს ახასიათებს გარკვეული უარყოფითი მხარეებიც, რომელთა შორისაა: რისკის უფრო მაღალი დონე, რაც განაპირობებს ბაზარზე მდგომარეობის ნაკლებ სიმყარეს; მსხვილ კომპანიებზე დიდი დამოკიდებულება; თავისი საკუთარი საქმის მართვაში დაშვებული შეცდომები; ხელმძღვანელთა სუსტი კომპეტენციურობა, მეურნეობრიობის პირობების ცვლილებებისადმი ამაღლებული მგრძნობელობა; დამატებითი ფინანსური სახსრების სესხებაში და კრედიტების მიღებაში სიძნელეები; სამეურნეო პარტნიორების ნაკლები

თვით დაჯერებულობა, ხელშეკრულებების დადებისას სიფრთხილე და სხვა.

რა თქმა უნდა, მცირე ბიზნესის სუბიექტების უარყოფითი მხარეები და წარუმატებლობა განისაზღვრება მათ უუნქციონირებაში არსებული ოოგორც შინაგანი, ისე გარეგანი მიზეზებით, პირობებით. მცირე ფირმების წარუმატებლობა უკელაზე მეტად დაკავშირებულია მათი მესაკუთრებების მენეჯერული გამოუცდელობით, ანუ პროფესიული არაკომპეტენტურობით. აშშ-ში რეგულარულად მიმდინარე გამოკითხვების შედეგად დადგენილია, რომ მცირე ბიზნესის წარუმატებლობის მთავარ მიზეზად უკელაზე ხშირად ასახელებენ ბიზნეს მენების არაკომპეტენტურობას, დაუბალანსებელ გამოცდილებას, (მაგალითად, გამოცდილი ინჟინერია, მაგრამ გამოუცდელი კომერსანტი); როცა კომერციაში, ფინანსებში, მოწოდებებში წარმატებები აქვს, მაგრამ მართვაში გამოუცდელია; საქმიანი კონტაქტების დამყარებასა და განმტკიცებაში უუნაროა და ა.შ.

მცირე ბიზნესის წარმატების შანსი იზრდება მისი მომწიფებისა და განვითარების შესაბამისად.

ფირმები, რომლებიც დიდხანს არსებობენ ერთი მფლობელის ხელში, იდებენ უფრო მაღალ და სტაბილურ შემოსავალს, ვიდრე ის ფირმები, რომლებიც ხშირად იცვლიან მფლობელს. ამერიკული სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ – მცირე ფირმების მფლობელი ქალები უფრო წარმატებული არიან ბიზნესში, ვიდრე მამაკაცები. კელვების შედეგები ადასტურებს, რომ წარმატებებს აღწევენ ის მცირე ფირმები, რომლებიც ბევრს მუშაობენ, მაგრამ, ამავე დროს, არ გადადიან გონივრული აზრის საზღვრებს.

მცირე ბიზნესის წარუმატებლობის მიზეზია, აგრეთვე მეწარმეთა დაბალი კვალიფიკაცია. მეწარმე, რომელმაც მცირე ფირმის გაძლიერების უკვე დააგროვა გამოც-დილება, როგორც წესი, უფრო წარმატებულია. თუ ფირმის მართვაში მონაწილეობს არა ერთი ადამიანი, არამედ მეწარმეთა უნდი, რომელიც შედგება ორი, სამი და ოთხი ადამიანისაგან, გადარჩენის შანსი უფრო მაღალია, ვინაიდან გადაწყვეტილების კოლექტიური მიღება უფრო პროფესიონალურია, მცირე ფირმების სიცოცხლისუნარია ნობაზე გავლენას ახდენს, ფირმის არსებობის პირველ ეტაპზე ფინანსირების სიდიდე, რაც უფრო მეტი საწყისი კაპიტალია დაბანდებული ფირმაში, მით მეტი შანსი აქვს მას შეინარჩუნოს თავისი საქმიანობა კრიზისულ პერიოდში.

საზოგადოების მოხარულებების მუდმივი ძიება და მათდამი უწევები მორგება წარმოადგენს მცირე ბიზნესის სტრატეგიის

საფუძველს. ზოგიერთი დასავლელი სპეციალისტი მცირე ბიზნესს განიხილავს, როგორც ახალი პიროვნული ურთიერთობების სკოლას, მომავალში მეწარმეობის განვითარების ორგანიზაციის მეთოდებისა და პრინციპების გამოცდის პოლიგონს.

მაგრამ, მრავალი საწარმოსაგან განსხვავებით, მცირე ბიზნესის მეურნეობრიობის ნაკლებად ხელსაყრელი პირობები განაპირობებენ მათ ნაკლებ სიმჯარესა და ნაკლებ კონკურენტუნარიანობას, ამიტომ იგი საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერას. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში ეს მხარდაჭერა ხორციელდება სახელმწიფო ცენტრალური და რეგიონული პროგრამების შესაბამისად. სამწუხაროდ, საქართველოში მცირე ბიზნესისადმი მხარდაჭერის მწყობრი სისტემა ჯერჯერობით არ არსებობს.

## ლიტერატურა

References:

1. Большая экономическая энциклопедия. -М., 2007.
2. М.Г.Капуста, Ю.Л.Старостин. Малое предпринимательство, учебник. - Москва, 2007.
3. gvelesiani r. mcire da saSualo mewarneobis warmatebis strategia da kultura. - Tb., 1999.
4. samadaSvili u. biznesis safuZvlebi. - Tb., 2009.
5. Todua gr., gogoxia r., qutiZe r. ekonomikis principebi. mikroekonomika (leqciebis kur-si). - Tb., 2008.
6. Sengelia T. Tanamedrove biznesis safuZvlebi (nawili I). - Tb., 2007.

**David Advadze**

**Essence of small-scale business and criteria of its classification**

**Summary**

The article dedicates to the study of the role and place of small-scale business in national economy. The article, on the base of newest sources considers crucial issues connected with development of small-scale business: essence and economic content of small-scale business; quantitative indicator of classification of small-scale business: number of employers in enterprise, annual production, annual sale, average annual book value of assets; qualitative indicator of classification of small-scale business: enterprise owns small part of market, managing of enterprise carries out personally by the owner, enterprise represents independent unite; Criteria for recognition as small-scale business and its characteristic in different countries of the world; positive and negative sides of enterprises of small-scale business.

**Keywords:** small-scale business, classification, criteria

**Reviewer:** Professor Merab Vanishvili , Georgian Technical University

**Давид Адвадзе**

**Сущность и критерии классификации малого бизнеса**

**Резюме**

Статья посвящается изучению роли и места малого бизнеса в национальной экономике. В ней, на основе новейших литературных источников, поочерёдно рассмотрены такие важные вопросы связанные с развитием малого бизнеса, как: сущность и экономическое содержание малого бизнеса; количественные показатели классификации малого бизнеса: количество занятых на предприятии, годовой объём производства, годовой объём продаж, среднегодовая балансовая стоимость активов; качественные показатели классификации малого бизнеса: предприятие владеет малой частью рынка, управление предприятием осуществляется лично его владельцем, предприятие представляет собой независимую единицу; критерии признания предприятием малого бизнеса и их параметры в разных странах мира; положительные и отрицательные стороны предприятий малого бизнеса.

**Ключевые слова:** малый бизнес, сущность, критерии

**Рецензент:** Профессор Мераб Ванишвили . Грузинский технический университет.


# ს ა მ ა რ თ ა ლ ი

ანა პუჩშიძე  
რეკომენდაციები სასამართლო ხელისუფლების საქმიანობის  
ეფექტურობის ასამაღლებლად

სასამართლო ხელისუფლებას ენიჭება უდიდესი მნიშვნელობა სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის. სწორედ ამიტომ, მოცემული სტატიის მიზანია წარმოაჩინოს საქართველოში სასამართლო ხელისუფლების სუსტი მხარეები, დასახოს მათი გამოსწორების გზები და ამით ხელი შეუწყოს მათ აღმოფხვრას. ამ მიზნით სტატიაში გაანალიზებულია რამდენიმე პრობლემური საკითხი.

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს  
ადგილმდებარეობა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის სტატიისტიკური ანალიზის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ 2007-2011 წლებში საკონსტიტუციო სასამართლოსადმი სარჩელითა და წარდგინებით მიმართვის მაჩვენებელი მკვეთრად დაეცა. (იხ. სქემა №1). [1]



გამომდინარე იქიდან, რომ 2007 წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ შეიცვალა ადგილმდებარეობა, ალბათ მიზანშეწონილია დაისვას საკითხი შემდეგნაირად: ხომ არ იქონია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ბათუმში გადატანამ უარყოფითი გავლენა მის ქმედითუნარიანობაზე? საკონსტიტუციო სასამართლოში საკონსტიტუციო წარდგინებისა და საკონსტიტუციო სარჩელის შეტანის უფლების მქონე სუბიექტებისათვის ხომ არ იქცა ეს ფაქტი დამატებით დაბრკოლებად მიმართონ სასამართლოს? ცხადია, სერიოზული კვლევის გარეშე ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა შეუძლებელია. ასეთი ცვლილება შესაძლოა ბევრი სხვა გარემოებითაც იყოს განპირობებული. მაგალითად, შეიძლება ამის მიზეზი იყოს საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს უფექტური მუშაობა და არაკონსტიტუციური ნორმატიული აქტების რაოდენობის შემცირება, სტაბილური პოლიტიკური გარემო, სასამართლოსადმი ნდობის მაჩვენებლის კლება და სხვ. ოუმცა, მანიც მეტად საყურადღებოა, რომ ასეთი ცვლილება დროში ზუსტად დაემთხვა საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილმდებარეობის შეცვლას, ამიტომ აუცილებელია კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს ან დამოუკიდებელი ორგანიზაციის მიერ ამ მიმართულებით ჩატარდეს დრმა და საფუძვლიანი კვლევა რათა მიღებული შედეგების საფუძველზე დაისახოს მომავალი მოქმედების გეგმა.

## 2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება

კვლევები ადასტურებს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა ნაწილი აღსრულებელი რჩება ან არაჯეროვნად სრულდება, ნაწილის აღსრულება კი გაურკვეველი ვადით ჭიანურდება. ამის მთავარი მიზეზი არის ის, რომ საქართველოს კანონმდებლობის მოქმედი ნორმები საკმაოდ ბუნდოვანია და არ შეიცავს ზუსტ მითითებებს იმასთან დაკავშირებით, თუ ვის ეკისრება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულება და პასუხისმგებლობის რა ზომები უნდა იქნეს გამოყენებული იმ ორგანოს/თანამდებობის პირის მიმართ, რომელიც დაარღვევს გადაწყვეტილების აღსრულების ვალდებულებას.

აღსრულებაზე პასუხისმგებელი ორგანოების საკითხი სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულადაა რეგულირებული. ავსტრიის კონსტიტუციის თანახმად, გარკვეული სახის დავებს აღასრულებენ ჩვეულებრივი სასამართლოები, ხოლო “საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა გადაწყვეტილებათა აღსრულება ეკისრება ფედერალურ პრეზიდენტს. აღსრულება ხორციელდება მისი

მითითებით „უფლებამოსილი პირების მიერ და მისი შეხედულების თანახმად.” ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ეს საკითხები ავსტრიაში მოწერიგებულია კონსტიტუციის ღონებები. [2]

“უფლებალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” გერმანიის კანონის 35-ე მუხლის თანახმად კი: “თავის გადაწყვეტილებებში ფედერალურმა სასამართლომ შეიძლება განაცხადოს, თუ ვის მიერ უნდა მოხდეს აღსრულება კონკრეტულ შემთხვევებში; მას ასევე შეუძლია დააკონკრეტოს აღსრულების მეთოდი.” გერმანიის მოდელზე დაყრდნობით, სასურველია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დაევალოს ყველა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მიუთითოს, თუ რომელი ორგანო პასუხისმგებელი აღსრულებაზე, ხოლო საქართველოს კანონმდებლობამ დეტალურად დაარეგულიროს აღსრულებაზე პასუხისმგებელი ორგანოს მიერ თავისი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში პასუხისმგებლობის ზომები და მისი დაკისრების მექანიზმები.

არანაკლებ უურადსაღებია ფაქტები, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება ხდება მხოლოდ ნაწილობრივ. მაგალითის სახით შესაძლოა ვიმსჯელოთ საქმეზე „სახალხო დამცველი და ქთევან ბახტაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”. მოსარჩევე ქ. ბახტაძე იყო მოსამართლე, რომელიც თანამდებობიდან გაათავისუფლა მოსამართლეთა სადისცაპლინო საბჭომ. კანონის თანახმად, საბჭოს გადაწყვეტილება იყო საბოლოო და არ ექვემდებარებოდა გასაჩივრებას. ქ. ბახტაძემ მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სარჩევით ვინაიდან ჩათვალა, რომ სადაცო აქტით ეზღუდებოდა სასამართლოსათვის მიმართვის უფლება. სარჩელი ძირითად ნაწილში დაგმაყოფილდა. პარლამენტს დაევალა შესაბამისი ცვლილებების განხორციელება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება სათანადოდ არ აღსრულდა. მართალია, კანონში შეტანილი ცვლილების საფუძველზე მოსამართლეს უფლება მიეცა გაესაჩივრებინა სადისცაპლინო საბჭოს გადაწყვეტილება, მაგრამ მხოლოდ კასაციის წესით, რამაც გამორიცხა საქმის არსებითი განხილვა. აქედან გამომდინარე, სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება კვლავ შეუძლებელი გახდა. [3]

ასეთი ფაქტები, ისევე როგორც გადაწყვეტილების აღსრულების გაჭიინურება და გადაწყვეტილების აღსრულებლობა, მნიშვნელოვან ზიანს აქვნებს არა მხოლოდ სასამართლოს იმიჯს, არამედ ტვირთავს მას ზედმეტი საქმეებით. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ იმის გამო, რომ პარლამენტმა სათანადოდ არ აღსრულა ზემოსხენებული გადაწყვეტილება, არაკონსტიტუციური კანონის მოქმედებით სხვა

მოსამართლეებიც დაზარალდნენ და საქმე კვლავ საკონსტიტუციო სასამართლოს განსახილები გახდა. ამდენად აუცილებელია კონკრეტული საქმის გატარდეს არამხოლიდ იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს გადაწყვეტილების აღუსრულებლობასთან ან ადსრულების გაჭიანურებასთან, არამედ მაშინაც, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილება არაჯეროვნად შესრულდა.

### 3. სასამართლოს გადაწყვეტილებების დასაბუთება

სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთება მართლმაჯულების ხარისხის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს წარმოადგენს. იგი არის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვების თვალსაზრისით, რადგან იმ შემთხვევაშიც კი, თუ მხარეს საქმის სხვაგვარი დასასრულის იმდი პქონდა, კარგად დასაბუთებულ და არგუმენტირებულ გადაწყვეტილებას შეუძლია იგი დაეთანხმოს სასამართლოს პოზიციას. [4]

აღნიშნული საკითხი თავისი მნიშვნელობის გამო შევიდა აგრეთვე USAID-ის მიერ 2010 წლის აგვისტოში მომზადებული რაოდენობრივი კვლევის ანგარიშში “სასამართლოს მომხმარებელთა კვლევა”, რომლის შედეგებმა შემდეგი მაჩვენებლები გამოავლინა (იხ. სქემა № 2 და № 3).

სქემა № 2

თუ განგიმარტეს, დაწვრილებით დაგისაბუთეს მოგების/წაგების მიზეზი?		
	მოვიგე	წავაგე
დაწვრილებით განმიმარტეს	79.90%	43.50
ნაწილობრივ განმიმარტეს	19.30%	39.90%
საერთოდ არ განმიმარტეს	0.80%	16.10%

სქემა № 3

განაჩენის სიცხადე	სისხლი	ამოქალადინისტრაცია
დაწვრილებით განმიმარტეს	79.2%	65.3%
ნაწილობრივ განმიმარტეს	16.7%	30.2%
არ განმიმარტეს	3.7%	4.5%

როგორც აღნიშნული მონაცემებიდან ჩანს, სასამართლოს გადაწყვეტილება განუმარტებელი დარჩა სისხლის საქმეების 3.7%-ში, სამოქალაქოს 4.5% და ადმინისტრაციულის 3.6%-ში, [5] რაც მიუთითებს, რომ მიუხედავად დადებითი ტენდენციისა, გარკვეული

ხარვეზები მაინც შეიმჩნევა. ამიტომ, ამ მხრივ სასურველია კვლავ გაგრძელდეს მუშაობა, რათა ასეთი ფაქტების რაოდენობა შეიძლება იქნას დაყვანილი.

#### **4. სასამართლოს ფინანსური რესურსები**

შესაბამისი ფინანსური რესურსები სასამართლოს ეფექტური ფუნქციონირების აუცილებელი წინაპირობაა. არასაკმარისი დაფინანსების პირობებში საფრთხე ექმნება სამართლწარმოების ისეთ ფუნდამენტურ პრინციპებს, როგორიცაა სასამართლოს დამოუკიდებლობა, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა და სხვ. სწორედ ამიტომ, ევროპის საბჭოს ყველა ძირითადი დოკუმენტი, რომელიც ქებდა სასამართლო მენეჯმენტსა და ბიუჯეტს, სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას უზრუნველყონ სასამართლოები საჭირო ოდენობის სახსრებით. [6]

რასაკვირველია, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შედგენისას გასათვალისწინებელია სასამართლო სისტემის მოთხოვნები და საჭიროებები, თუმცა სხვადასხვა სახელმწიფოში განსხვავებულია აღნიშნული მოზნის მიღწევის პროცედურები. ზოგ სახელმწიფოში სასამართლო ბიუჯეტის განსაზღვრის საკითხში ჩართულია იუსტიციის მინისტრი, რომელიც აღნიშნულის თაობაზე მოლაპარაკებას აწარმოებს ფინანსთა მინისტრთან. რიგ შემთხვევაში, სასამართლოები უშუალოდ წარუდგენენ ფინანსთა მინისტრს ბიუჯეტის შესახებ თავიანთ წინადადებებს. ამის მაგალითია ესტონეთისა და სლოვაკეთის უზენაესი სასამართლოები, რომლებიც წარადგენენ წინადადებებს საკუთარი ბიუჯეტის შესახებ და კვიპროსისა და სლოვენიის უზენაესი სასამართლოები, რომლებიც წარადგენენ წინადადებებს ყველა დონის სასამართლოების ბიუჯეტის შესახებ. უფრო მეტიც, შეეიცარიაში ფედერალურ უზენაეს სასამართლოს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება საკუთარი ბიუჯეტი (რომელსაც ამტკიცებს სამი მოსამართლისაგან შემდგარი ადმინისტრაციული კომისია) თავადვე წარუდგინოს ფედერალურ პარლამენტს.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში საერთო სასამართლოებისა (გარდა უზენაესი სასამართლოსი) და საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დაფინანსების ნაწილის პროექტს, საერთო სასამართლოების დეპარტამენტის წინადადებების საფუძველზე, საქართველოს მთავრობას წარუდგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. უზენაესი სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯების პროექტს წარადგენს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კანონით დადგენილი წესით. საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებული

ბიუჯეტის პროექტს წარადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე კანონით დადგენილი წესით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა წარმოადგენს იმის გარანტის, რომ ქვეყანაში მიმღინარე პოლიტიკური ცვლილებები ვერ მოახდენს გავლენას სასამართლოს დაფინანსებაზე. საქართველოს 2009 წლის 18 დეკემბრის საბიუჯეტო კოდექსის 42-ე მუხლის თანახმად “სახელმწიფო ბიუჯეტში საქართველოს საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოებისათვის გათვალისწინებული ხარჯების მოცულობის შემცირება წინა წლის შესაბამის მოცულობასთან შედარებით, შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინასწარი თანხმობით”.

მიუხედავად ამისა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის, რომ საქართველოს საბიუჯეტო კანონმდებლობა არ თვალისწინებს რაიმე სპეციალურ რეგულაციებს სასამართლო ბიუჯეტის შესახებ. სასამართლო სისტემის ბიუჯეტის მომზადებისა და წარდგენის პროცედურები იგივეა, რაც ყველა საჯარო ორგანიზაციისათვის. [7] ეს მაშინ, როდესაც სასამართლო წარმოადგენს ხელისუფლების დამოუკიდებელ შტოს და არა ცალკეულ ორგანოს. უკეთესი იქნებოდა, სასამართლოს პქონოდა მეტი უფლებამოსილება ბიუჯეტის ფორმირების პროცესში.

საკმარისი დაფინანსების მიღების გარდა, სასამართლოს ეფექტური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ამ ფინანსური რესურსების სათანადოდ მართვის მექანიზმი.

სასამართლო ბიუჯეტის შესრულების პროცესი უნდა იყოს დახევწილი, კარგად ორგანიზებული და დოკუმენტურად აღრიცხეული. ამას გარდა, სასურველია ბიუჯეტის ხარჯების შემოწმება ხდებოდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ, ვინაიდან IFCE-ს გაგმაში ჩამოყალიბებული რეკომენდაციის თანახმად, ეფექტური და გამართული ფინანსური მენეჯმენტი გულისხმობს საბიუჯეტო წლის ბოლოს სასამართლო ანგარიშების შემოწმებას გარე აუდიტორის მიერ.

## 5. მოსამართლის იმუნიტეტი

საქართველოს	კონსტიტუციის	თანახმად	მოსამართლე
ხელშეუხებელია.	საქართველოს	საერთო	სასამართლოს
მოსამართლის სისხლის	სამართლის პასუხისმგებაში მიცემა, დაკავება		
ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩერება	მხოლოდ უზენაესი სასამართლოს		
დასაშეგებია	ხელოლოდ	უზენაესი	
თავმჯდომარის თანხმობით,	ხელოლოდ	საკონსტიტუციო	
სასამართლოს	წევრისა – საკონსტიტუციო	სასამართლოს	

თანხმობით. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და წევრების სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მათი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩერება დასაშვებია მხოლოდ პარლამენტის თანხმობით.

აღნიშნულ კონსტიტუციურ დებულებებთან დაკავშირებით სასურველია კანონმდებელს გაეთვალისწინებინა ვენეციის კომისიის 2005 წლის 14 მარტის ო. 328/2004 მოსაზრება “სასამართლო ხელისუფლების რეფორმასთან დაკავშირებით საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ კონსტიტუციური კანონის პროექტზე”, რომელშიც ყურადღება ორ ასპექტზე გამახვილებული:

I. დოკუმენტში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის თანახმადაც, მართალია, სასამართლოს თავისუფალი და შეუფერხებელი ინტერესებიდან გამომდინარე, სავსებით გამართლებულია, რომ დაკავებისა და დაპატიმრების საკითხში მოსამართლები გარკვეული თანამდებობრივი იმუნიტეტით სარგებლობდნენ, მაგრამ, მეორეს მხრივ, ძნელი გასაგებია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თვალსაზრისით მათვის სრული ხელშეუხებლობის მინიჭების მართებულება. გარდა ამისა, მოსამართლეს დაცვის ზუსტად იგივე უფლებები უნდა ჰქონდეს, რაც ნებისმიერ სხვა მოქალაქეს, არც მეტი და არც ნაკლები, მით უმეტეს, რომ კონსტიტუცია არაფერს ამბობს იმაზე, თუ რა სახის დანაშაულისთვის პასუხისმგებაზე ვრცელდება ასეთი იმუნიტეტი.

II. კონსტიტუციის თანამედროვე რედაქციის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და მისი წევრებისათვის იმუნიტეტის მოხსნის საკითხს წევეტს საქართველოს პარლამენტი. პარლამენტისათვის ასეთი უფლებამოსილების მინიჭებამ, სავარაუდოდ, სასამართლოს პოლიტიზირება შეიძლება გამოიწვიოს. უმჯობესი იქნებოდა იმუნიტეტის მოხსნაზე გადაწყვეტილებას იღებდეს სხვა სასამართლო და არა საკანონმდებლო ან აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო. შესაძლებელია, მაგალითად, პარლამენტის მონაწილეობის გარეშე საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოები ერთმანეთის მიმართ ახორციელებდნენ ასეთ უფლებამოსილებას, ანუ საკონსტიტუციო სასამართლო იღებდეს გადაწყვეტილებას უზენაესი სასამართლოს წევრისათვის იმუნიტეტის მოხსნაზე და პირიქით.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის პროცედურა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და უზენაესი სასამართლოს მოსამართლებს საქართველოს

პრეზიდენტის წარდგინებით, ხითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი. მართალია, აღნიშნული პრინციპი ამ ორი შტოს გავლენის დაბალანსებას ემსახურება, თუმცა პრეზიდენტის ექსკლუზიური უფლებამოსილება დაასახელოს უმაღლესი ინსტანციის მოსამართლეთა კანდიდატურები, ფაქტიურად უზრუნველყოფს, რომ მხოლოდ პრეზიდენტის ნდობით აღჭურვილი პირები დაიკავებენ ამ თანამდებობებს. ამიტომ, სასურველია მოხდეს აღნიშნული პრინციპის გადახედვა. [8]

## ლიტერატურა

### References

1. saqrTvelos sakonstitucio sasamarTlos ofcialuri veb-gverdi [www.constcourt.ge](http://www.constcourt.ge)
2. Sanava a., “zogierTi mniSynelovani sakiTxi sakonstitucio sasamarTlos saqmianobisa da gadawyvetilebis savaldebuloobis Sesaxeb”, eleqtronuli Jurnali “konstitucionalizmis dilemebi”.[http://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:z83BRf9AP\\_oJ:www.constcentre.gov.ge/index.php%3Fid%3D1337153727+&cd=1&hl=ka&ct=clnk&gl=ge](http://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:z83BRf9AP_oJ:www.constcentre.gov.ge/index.php%3Fid%3D1337153727+&cd=1&hl=ka&ct=clnk&gl=ge)
3. saqrTvelos sakonstitucio sasamarTlos saqmianobis Sesaxeb Catarebuli kvlevis angariSi, [http://www.article42.ge/index.php?lang=geo&action=publications&cat\\_id=4](http://www.article42.ge/index.php?lang=geo&action=publications&cat_id=4)
4. Consultative Council of European Judges (CCJE) Opinion no.11 (2008) of the Consultative Council of European Judges (CCJE) to the attention of the Committee of Ministers of the Council of Europe on the quality of judicial decisions.
5. “sasamarTlos momxmarebelTa kvleva” raodenobrivi kvlevis angariSi momzadebulia USAID-is mier, Tbilisi, avgisto 2010w.
6. Opinion N2 (2001) of the Consultative Council of European Judges (CCJE) for the attention of the Committee of Ministers of the Council of Europe on the funding and managment of courts with reference to the efficiency of the judiciary and to article 6 of the European Convention on Human Rights.
7. sasqrTvelos sasamarTlo administrirebisa da menejmentis reformis proeqtis (JAMR) SefasebiTi angariSi, 28 oqtomberi 2008, angariSi gamoica aSS-s saerTaSoriso ganviTarebis saagentos mxardaWeriT da momzadda “di-fi-qiikonsaltingis” mier.
8. evropuli komisia demokratiisaTvis samarTlis meSveobiT (veneciis komisia), strasburgi, 2005 wlis 14 martis No. 328/2004 mosazreba “sasamarTlo xelisuflebis reformasTan dakavSirebiT saqrTvelos konstituciaSi cvlilebebisa da damatebebis Setanis Sesaxeb konstituciuri kanonis proeqtze”.

**Ana Kuchukhidze**

**Recommendations for rising of activity effectivity of the Court Government**

**Summary**

Court Government is given great meaning for normal functioning of the state. The aim of the given article is to reveal weak points of court government in Georgia, issue the challenge of its improvement ways and by that support their exhaustion. For this purpose in the work is analyzed several questions. These are: 1. Results of change of location of Georgian Constitutional Court. 2. Problems of fulfillment of decisions of Georgian Constitutional Court. 3. Approving the decisions of the Court, as the most important factor from the point of view of giving a vote of confidence of society and existed statistical data. 4. Recommendations about formation of the court budgets and production of financial management. 5. Problematic questions connected to a judge's immunity. 6. Procedure of appointment of judges of Georgian supreme court.

**Keywords:** Court Government Georgian, Constitutional Court, Georgian supreme court.

**Reviewer:** Professor Irakli Gabisonia, Georgian Technical University

**Анна Кучухидзе**

**Рекомендации по повышению эффективности деятельности судебной системы**

**Резюме**

Судебной власти придаётся важнейшее значение для нормального функционирования государства. Цель данной статьи - выявить слабые стороны судебной власти в Грузии, наметить пути их исправления и тем самым способствовать их искоренению. С этой целью в статье проанализированы несколько вопросов. Этими вопросами являются: 1. Результаты изменения местонахождения конституционного суда Грузии. 2. Проблемы исполнения решений конституционного суда Грузии. 3. Обоснование судебных решений, как важнейший фактор в плане завоевания общественного доверия и существующие статистические данные. 4. Рекомендации о формировании бюджета судов и ведения правильного финансового менеджмента. 5. Проблемные вопросы, связанные с иммунитетом судьи. 6. Процедура назначения судей Верховного Суда Грузии.

**Ключевые слова:** Судебная власть, Конституционный Суд Грузии, Верховный Суд Грузии

**Рецензент:** Профессор Ираклий Габисониа. Грузинский технический университет.

# ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა

ბურაბ ქაშაპაშვილი, გადრი ცხადაძე, მარ ცხადაძე  
მეტალურგიული ტერმინის ბრდემლის წარმომაგლობისათვის

დასავლეთ საქართველო, მათ შორის იმერეთი (ზემო, ქვემო და შუა), მჭედელ-მეტალურგთა ისტორიული კერაა. ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს ის ლექსიკურ-ტერმინოლოგიური და ფონეტიკურ-სემანტიკური მსგავსება-სხვაობანი, რაც ამ კუთხის მცხოვრებთა მეტყველებაშია დღემდე შემორჩენილი. აღსანიშნავია, რომ ზემო იმერეთის სოფლებში გრდემლს დგემლი // დგვემლი (სოფ. ბაჯითი, მანდაქოთი, ხიდარი) // დგვემლი (სოფ. გეზრული) პქვია [1, 134-135]. სოფელ ვახანის ერთ-ერთი მცხოვრები დგემლს და მის დანიშნულებას ასე განმარტავს: „მცელავს ცელის გასაღესათ წადებული აქ დგემლი, რომელიც ერთ კუთხეზე წამასხვილებულია და მით ხეზე ასობენ. მოპირდაპირე მხარეზე სწორია, დებენ მასზე ცელის პირს და ზევიდან ურტყავენ თხელაპირიან ჩაქუჩს. ამას ცელის გამოპირვას ეძახიან“: გრდემლის განუყოფელი ატრიბუტია პვერი, რომელიც მთელ იმერეთში ჩაქუჩის სინონიმია: „მიცა ერთი გლახა დგვემლი და კერი (სოფ. პერევი); საბერველი, დავლემი, კვერვი, მარწუხები ჩეიბარა ამ ძმისწულმა და თოხს ველარ გამოპირამ ახლა შიდა (სოფ. გეზრული) [1];

ზემოიმერულშივე დგვემლებს პირიანი ზნა ნიშნავს „აფუჭებს, ახდენს“ („დოუდავლემია ინდოურეფს ჭურის კუნჭულოები“ სოფ. ბოსლევი) [1], დგვლამადგვლუმი კი ღორის მიერ სიმინდის ჭამით ატეხილ ხმაურს ნიშნავს. ეს რედუპლიცირებული ძირი იგივეა, რაც დგვლებს - დგვლიმა, რომელსაც იმერულშივე სხვა სახეცვლილი ფუჟეც მოუცია „დიდი ხმის გამოცემის“ მნიშვნელობით: დგვემს - დგვიფა // დგვლეფს // დგვლიფა (ნიშნავს აგრეთვე: ძირს დასცა, გატეხა, დაფუნდნა, დაამტვრია). შდრ. იმერულშივე „დგვლაფი“ ძლიერი თავსხმა წვიმის შემდეგ განეხნილი გაუვალი ტალახი; ასეთ ტალახში დგვლაფადგვლუფით სიარული, რომელსაც დგვლაფუნც ეწოდება. ყელა მათვანში არქაული ძირია დგბ, რომლის თემისნიშნიანი ვარიანტია დგვლებ - დგვლება (> დგვლიმა), საიდან წარმოდგა დღეს ქართულ სალიტერატურო ენაში ნორმად ქცეული გრდემლ ტერმინად ცეკვული ლექსემა: გრდემლ <- გდემლ; გრდემლ”ში რ სოხორი ბერა გვიას განვითარებილი ჩანს. შდრ. დგბს - დგბლი >- ძეგლი; გრდემლ”ში ლ სონანტის წინ (ხმოვანია აღსაღენია: გრდემლი <- \*გრდემელი// გრდემილი, შდრ. [და]ვ-დეგ, (დევს > // ძევს) >

ძეგლი); ამრიგად, გრძემა ისტორიულად დგლემა, დგვლემას ვარიანტული სახესხვაობაა, რაშიც დიდი წვლილი ბერით სიმბოლიკას მიუძღვის. ასეთი სახელური და ზმეური ძირები და ფუნქციები ქართულ ენაში არაერთია.

სამწუხაროდ, გრძემლი, ორგორც ტერმინი, არ შეუტანიათ „მეტალურგიის ხუთენვან ტერმინოლოგიურ ლექსიკონში“ [2], ასევე ახლახანს გამოცემულ ექსენვოგან „მეტალურგიულ ტერმინთა ლექსიკონში“ [3]. ორგორც ჩანს, დღეს ის ტერმინად არ იხმარება ან ავტორ-შემდგენელთ მხედველობიდან გამორჩენიათ. ბარებ აქვე დაგძენთ, ძეგლი ქართული წერილობითი ძეგლების მიხედვით, გრძემლის არქაული ფორმაა გურძემლი [4]. სულხან-საბა კი მას ასე განმარტავს: „გრძემლი ილეკტოს გასაჭედი ძირს საღები“. ცნობილ ლექსიკოგრაფის მის ვარიანტებად მოჰყავს გურძემლი და ქრძემლი [5]. ეს უკანაგნელი ყრუ-ფშვინვიერი ვარიანტია არქაული ფორმისა: გურძემლი → გრძემლი → ქურძემლი. ირანისტი მზ. ანდრონიკაშვილი ქრძემლი/გრძემლის ოსურ სიტყვად მიიჩნევს [6, 65]. მას შესაძლებლად მიაჩნია ამ სიტყვის დაკავშირება ოსურ koyrd/rurd “მჭედელ“ სიტყვასთან. ვ. აბაევს ეს kur-ძირი ნაწარმოებ სიტყვად ესახება ასეთი მნიშვნელობით: „გახურება, გაცხელება, გავარვარება“. ძვ. \*kur-ta, 7kur-tar არის nomen agentis (მოქმედების სახელი) [7, 84-85]. სპეციალურ ლიტერატურაში ეს ძირი დაკავშირებულია ძვ. ინდ. kuudaiati „სწვავს“, სომხ. კურაծ „ცეცხლი“, ძველი სლავ. kyuritu, ლიტვ. kurti „ნთება“ გუთ. hairi „ნახშირი“. ძველი სლავ. კრეჩი , ძვ. რუს. კორჩი და ნახევარეუნდულ ქერჩის სახელიც კერძ ძირთან არის გაიგივებული [7, 96-99].

ამ ძირის (kur) გრძემლ სიტყვასთან დაკავშირება გაჭირდება. ზემო დამოწმებულ უცხოურ ძირებს, ჩვენი აზრით, უნდა დაუკავშირდეს ქართული ენაში არსებული ქურა ლექსემა, რომელსაც „ნთების“ მნიშვნელობა მართლაც აქვს.

**შენიშვნა:** სულხან-საბა ქურა სიტყვას არ იცნობს, ქუროს კი ასე განმარტავს: „ქურო არს ფართო ბეწვიანი სათბობად ორთავე ხელთა შესაყოფელი“... ასე რომ ქურ-ა/ქურ-ო, რომელიც არაბული სიტყვაა (ნიშანვს საბერვლიან –სამჭედლო ლითონის გასახურებელ– გასაღებელ კერას). ამავე განმარტებას ემყარება ქეგლიც [8, 373]. მართლაც არაქართული, უცხოური წარმოშობის ლექსემა ჩანს.

**PS.** საინტერესო წერილობით წყაროს წაგაწყდით ქართულ მწერლობაში:

აღორძინების ხანის დროინდელი ქართული მწერლობის ერთ-ერთ სასულიერო-საეკლესიო კრებულისთვის ჩვენს წინაპართ „გრძემლი“ უწოდებიათ, რაც შემთხვევითი მოვლენა სრულებით არ უნდა იყოს..

XX საუკუნის საბჭოთა ეპოქის ცნობილ მწერალს ქ. ლორთქიფანიძეს ერთ დროს გახმაურებულ თავის რომანში „კოლხეთის ცისკარში“ გრძელის „რაგვარობის“ შესახებ ასეთი პასაჟი აქვს ერთგან ჩართული (დავითოვშებოთ იმ ამონარიდს, როცა ნაწარმოების მთავარი მოქმედი პირის „აპრადაული ილეთით“ ჭიდაობისას ხაურმიასთან დამარცხებული მექი ვაშაკიძე მეტოქეს გადააწყდება). მწერალი წერს: „აუქარებლად მოაბიჯებდა გუშინდელი ფალავანი. მამისეული წაბლისფერი კრაველის ბოხოსი გვერდზე დარდიმანდულად მოეგდო და გზადაგზა შურდულს ესროდა ღობემმვრალა ჩიტებს.

მექის დანახვაზე არაწმინდა თვალები მოჭუტა და ჩაიცინა.

— ხომ გაგშალე ორივე ბეჭზე! — მიახალა და გზა განაგრძო..

მექი წინ გადაუდგა.

— მოიცავ, სიტყვა მაქვს.

— რა სიტყვა!

— რა და....

მექიმ ის სიტყვა ვერ იპოვნა და უმწეოდ მიიხედ-მოიხედა, მერე უკცრად უთხრა:

— ასწევ იმას?

**სამჭედლოს საჩებზი უანგიანი გრძელი** ეგდო.

— მაგის გამოტანაზე მჭედელმა კინადამ წელი მოიწყვიტა. თავი კი არ მომულებია!

— აბა, მე მიყურე! — უთხრა მექიმ, **გრძელის** დასწვდა, და როდესაც სამი ფუთი რკინა მიწას მოსწყვიტა, დაძაგრული ტანი ერთბაშად აუკანკალდა, სახეზე სისხლი მოაწვა. მკერდამდე კიდევ არაფერი, მერე უფრო გაუჭირდა, დაბარბაცდა, **გრძელი** მაინც ბოლომდე აზიდა, მერე ხელი გაუშვა და განზე გახტა.

საჩები შეირყა, ისე მძიმედ დაეცა **გრძელი.**

ხაურმია მიხვდა, რატომ გააკეთა ეს მექიმ.

თავხედურად ჩაიცინა.

— ღონე ვირსაც ქე აქს, ბიჭო! ღონეში კი არაა საქმე! — უთხრა და პირდაპირ გულში მოახედრო“ [9, 17-18].

აქ ჩვენთვის საინტერესო ისაა, რომ დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, იმერეთში, ადრე სოფელს ვერ ნახავდა კაცი, მინიმუმ ერთი „სამჭედური“ - სამჭედლო თავისი მოწყობილობა-აღჭურვილობითა (რამდენიმე მჭედლითა და შეგირდით) რომ არ ჰქონოდა. გავიხსენოთ ისიც, რომ ისტორიული პიროვნება, 1857 წლის სამეგრელოს გლეხთა აჯანყების მონაწილე, სულისხმილგმელი და თანახელმძღვანელი უტუ მიქავაც (თანამებრძოლ მართალია თოდეუსთან ერთად), რომელიც პროფესიონ მჭედელი იყო. დირსსაცნობია ის ფაქტიც, როგორც ზემოთ მოყვანილი ნაწყვეტილი ჩანს, სამჭედლოსეული **გრძელი** სამ

ფუთს ანუ 48-50 კილოგრამს მაინც ადემატებოდა, თუმცა მინდორსათიბში ცელის ან ნამგლის პირის გამოსაჭედ-გამოსაკვეთად წასაღები გრდემლის წონა (ასევე გამოსაცვერი ჩაქუჩი ანუ „კვერი“) გაცილებით მოკრძალებული იყო (რამდენიმე კგ-ს იწონიდა და ფორმაც სხვაგვარი ჰქონდა).

PS. ხმელთაშვაზღვისპირეთში გავრცელებული იყო **გელხანოსი** – ბუნების მფარველი ღმერთი (უწვერული ვაჟის სახით), რომელიც სრულიად სხვაობდა რომაული გულკანუსისაგან, რომლის ატრიბუტიკა იყო ცაცხლი, გრდემლი და ჩაქუჩი [10, 64]. პევდა თუ არა მჯედლობის ღმერთი ქართველთა ძევლებს – წინაპრებს, ძნელი სათქმელია, თუმცა ამის არსებობა მთლად გამორიცხული არ უნდა იყოს. როგორც შენიშნავენ, „საფიქრებელია, რომ ეტრუსკულ სინამდვილეში იკონოგრაფიული ეფესოს „იმპორტირების“ ღროისათვის უპვე არსებობდა ბერძნული ღვთაების შესაბამისი მჯედლობის ღმერთი, რომლის ფუნქციები ღროთა განმავლობაში საოცრად შეეზარდა ჰეფესტოსს“.

ამასთან ერთად, ვარაუდობენ, რომ სეთლანს-ვულკანუს-ჰეფესტო ხმელთაშვაზღვისპირეთში გავრცელებული ერთი არქაული კულტის სხვადასხვა ონომასტიკური ვარიანტი შეიძლება იყოს [10, 65], მთ უშეტეს, რომ ბერძნული რელიგიის სპეციალისტთა აზრით, თავად ჰეფესტო ელიონურ სამყაროში აშკარად მცირე აზიდან შემოსული ღმერთი უნდა ყოფილიყო [11, 260-262]. თუ ყოველივე ზემოთქმულს „მიჯაჭებული პრომეთებ“ მითსაც დავუმატებთ, სავსებით შესაძლებელია ქართულ წარმართულ პანთეონში მჯედლობის ღმერთი მართლაც არსებულიყო.

## ლიტერატურა

### Referenses

1. **ZoweniZe q.**, zemoimeruli leqsikoni, *arn. Ciqobavasa* da *m. alaviZis* redaqciiT. Tb., 1974 (Georgian)
2. metalluriis terminologiuri leqsikoni (qarTul-rusul-inglisur-germanul-franguli), Seadgina teqnikis mecnierebaTa kandidatma **omar SuraZem**, prof. *g. qaSakaSvilis* saerTo redaqciiT, Tbilisi, `mecnierieba~, 1999 (Georgian)
3. metalluriuli terminebis leqsikoni (qarTul-rusul-ukrainul-inglisur-germanul-franguli), t. 1, Tb., 2011 (Georgian)
4. **abulaZe i.**, Zveli qarTuli enis leqsikonisaTvis (masalebi), Tb., 1973). (Georgian)
5. **orbeliani s-s.**, Txzulebani. tomi IV. leqsikoni qarTuli. avtografuli nusxebis mixedviT gamosacemad moamzada *i. abulaZem*, Tb., 1966(Georgian)

6. **andronikaSvili mz.**, narkvevebi iranul-qarTuli enobrivi urTierTobidan. I. Tb., 1966 (Georgian)
7. см. Из истории слов Древнерусское кръчий «кузнец» и топоним Керчь. Вопросы языкоznания. 1, 1959 (Russian)
8. qarTuli enis ganmartebiTi leqsikoni (rvatomeuli), *arn. Ciqobavas* saerTo redaqciiT. t. VII, Tb., 1962 (Georgian)
9. **lorTqifaniZe k.**, rCeuli nawerebi or tomad. t. I. kolxeTis ciskari (romani), saxelgami, Tb., 1955 (Georgian)
10. **kobaxiZe e.**, etruskuli sakulto terminologia (semantika, genezisi), prof. *r. gordeziyanis* redaqciiT, `logosi~, Tb., 1994 (Georgian)
11. **Burhert W.**, Grichische Religion der archaischen und klassischen Eposh, Stuttgart, 1977 (Germany)

**Guram Kashakashvili, Badri Tskhadadze, EkaTskhadadze**  
**Origin of metallurgical term “grdemli” (anvil)**

### Summary

The western Georgia, including Imereti region (upper, lower, middle) is smith-metallurgists historical homeland. No wonder, that lexico-terminological and phonetic-semantic similarity and difference are remain in the local language till present days. It's notable, that in villages of upper Imereti is still meeting the term's “**grdemli**” (old Georgian “**gurdeml -i**”, “**qurdeml-i**”) different forms of the word: “**grdeml-i**”, “**dgeml-i**”, “**dgvevl-i**”, “**dgveml-i**”, “**dgvleml-i**”. By informant's information and explanation “for shaping the mow, mower is taking a “**dgemli**” (anvil), which from the one side is sharpen and drives into the tree, and another side is plane. On this plane surface are putting the scythe and hitting by hummer. It is calling scythe serrate”.

By our explanation, “**grdeml-i**” and its different derivatives forms are created from verbal forms, which are a lot in Georgian language's Imeretian dialect: “**dgvlema**” (to spoil something, damage), “**dgvlamadgvulumi**” (pig's noise making while eating a corn), “**dgvephs – dgvipha // dgvlephs // dgvliphia**” (making a terrible noise, using during the damaging, wrecking, dropping), “**dgvlaph-i**” (impassable watery mud, formation after heavy shower). By our conclusion, in all examples is an initial root “**dgv**”, which other theme version is “**dgvlem**” (→ “**dgvlima**”), where the “**grdem**” is represented in Georgian language and transforms as linguistic lexical standard and term. It looks, that this word has Georgian beginning and is not borrowed (as in special literature it's considered famous Iranian professor Andronikashvili). And we express our assumption about existence of the smithery God in Kartvelian world (as known by Greek mythology specialist's opinion, Gefest, by himself was the God, entered from the small Asia

into Greek world, what is from our side, is approving the myth about of “chained Prometheus”).

**Keywords:** The western Georgia, Origin of metallurgical term “grdemli” (anvil), smith-metallurgists, Georgian language’s Imeretian dialect, professor M. Andronikashvili, Kartvelian world, Gefest, Greek world, chained Prometheus.

**Reviewer:** Professor Irakli Kashakashvili, Georgian Technical University

**Гурам Кашакашвили, Бадри Цхададзе, Эка Цхададзе**

**К происхождению металлургического термина грдемл’и (გრდემლ’ი «наковальная»)**

### Резюме

Западная Грузия, в том числе Имеретия (верхняя, нижняя, средняя) является исторической родиной кузнецов-металлургов. Поэтому нас не должны удивлять те лексико-терминологические и фонетико-семантические сходства-разновидности, сохранившиеся по сей день в речи жителей этого уголка. Необходимо отметить, что в селах Верхней Имеретии и сейчас встречаются вариационные словоформы **грдемли** (**გრდემლი**) (древнегрузинского **გურდემლ-ი** // **ქერდემლ-ი**): **грдемл-и** // **дгемл-и** // **дгвеал-и**// **дгвемл-и** // **дгвлеми** (**გრდემლ-ი** // **დგემლ-ი** // **დგველ-ი** // **დგველ-ი** // **დგველ-ი**). По сведениям и разъяснениям информатора, «для того, чтобы заточить косу, косарь берет с собой **дгемл-и** (**დგემლ-ი**), который заострен с одного конца и им забивается в дерево, а противоположная сторона у него прямая, на нее кладут лезвие топора и сверху ударяют молотком с тонким наконечником, то есть квери (молоточек). Это называется вострением (затачиванием) топора».

По нашему мнению, **грдемли** (**გრდემლი**) и его вариационные словоформы происходят от лицевой и отглагольной (вербальной) форм, которые в множестве встречаются в имеретинских диалектах грузинского языка: **дгвлема** (**დგვლემა**) (портить что-то, вредить), **дгвламадгвлуми** (**დგვლამადგვლუმი**) (шум, поднятый свиньей при поедании кукурузы), **дгвенц// дгвипа// дгвлепс //дгвлипа** (**დგვენც – დგვიპა – დგვლეპს – დგვლიპა** // **დგვლიფა**) (издавание громкого звука; используется при поломке, рассыпании, падении вниз), **дгвлап-и** (**დგვლაფ-ი**) (непроходимая жидкая грязь, возникшая от сильного проливного дождя). По нашему заключению, во всех этих словах есть архаичный корень **дгв** (**დგვ**), вариантом которого (имеющим общинный признак) является **дгвлем** (–>**дгвлами**) (**დგვლემ** (–>

დგვლის)), откуда и произросла лексема **грдемл** (გრდებლ), ставшая языково-лексической нормой и термином в грузинском литературном языке. По-видимому, это древнее слово имеет грузинское происхождение, а не заимствованное (как это указывается в специальной литературе известным иранистом, профессором Мз. Андроникашвили). Здесь же мы высказываем предположение о существовании бога кузничного дела в древнейшем картвельском мире (как известно, по мнению специалистов по греческой религии, сам Гефест в эллинистском мире очевидно должен быть богом, пришедшим с Малой Азии, что, с нашей стороны, подкрепляется также мифом «О прикованном Прометее»).

**Ключевые слова:** Западная Грузия, Имеретия, имеретинский диалекты грузинского языка, кузнец-металлург, словоформ, косарь, лексема грдемл, Гефест, проф. Мз. Андроникашвили, металлургический термин грдемл'и (გრდებლ'ი «наковальная»).

**Рецензент:** профессор Ираклий Кашакашвили, Грузинский технический университет

## 01 გურჯული

### “ვიურერის მხატვრული კრძი და ნიცვას „დისტანციის პათოსი“ აღსტონისტულ ჰრილში

შეუძლებელი იქნებოდა შინაგანი ზრდა და ფორმირება „ადამიანად“, თუ მუდმივად არ მოხდებოდა „ადამიანის მიერ საკუთარი თავის დაძლევა“, – აღნიშნავს ნიცვე და ამ მორალურ ფორმულირებას ზემორალურად განიხილავს.

მისი აზრით, დისტანციის პათოსი ადამიანს სისხლში აქვს გამჯდარი, რომელიც გამოიჩინებოდის გრძნობასთან ერთად დავიგდება და ფარულ პათოსს ადძრავს – დისტანციის ზრდას საკუთარ სულში და სულ უფრო მეტად ამაღლებულ, იშვიათ და შორეულ მდგომარეობას. მაგრამ აღსანიშნავია, რომ დისტანციურ განწყობას ნიცვე ადამიანის ინსტინქტად განიხილავს და თავის ნაშრომში „სიკეთისა და ბოროტების მიღმა“ „დისტანციის პათოსებს“ „ელიტური კასტის“ წინაშე თაყვანისცემის შინაგან მოთხოვნილებას უწოდებს (1).

შემოქმედის დისტანციურობა გამოკვეთილი ნიშნია თომას მანის, რაინერ მარია რილკეს, პერმან პესეს ინტრავერტი ხელოვანი-პერსონაჟებისათვის, რაც ლაიტმოტივად გასდევს მათ შინაგან ტრაგიზმს. მავდროულად საგულისხმოა, რომ პოსტმოდერნისტულ და, გარკვეულწილად, მოდერნისტულ მხატვრულ დისკურსში ამ საკითხისადმი დამოკიდებულება ამბივალენტურია: თუ ჭეშმარიტად რომანტიკული, სულით პოეტის მიმართება მასასთან და საზოგადოებასთან უმეტესად შეუმნიერებლი ან დისტანციური, კამერულია და მისი დისტანციურობა მისივე, ასე ვთქვად, ფაქტი შინაგანი სამყაროდან მომდინარეობს, დღეს დისტანციურობა, ძირითადად, ელიტის პოზაა, შოუბიზნესს უკავშირდება და ხშირად ფსევდონტელუქტულიზმს გამოხატავს.

თანამედროვე გერმანელი მწერლის პატრიკ ზიუსკინდის ამბივალენტური ირონია იდეალებისადმი ნარცისული შეხედულებების გადასინჯვას გულისხმობს, რასაც ნიცვე „გრძელ-იერარქიულ კიბესა“ და „ლიოგბულებას“ უწოდებს, რომელიც ერთ ადამიანს გამოარჩევს მეორისგან, იმ საზოგადოებისგან, რომელიც მოხმას მიელგის ამ სიტყვის სხვადასხვა გაგებით. თანამედროვე ინფორმაციას, ზიუსკინდი ასე ვთქვათ, პრიზმაში ატარებს, რაც პერმანენტულ გადაფასებასთან არის დაკავშირებული.

მწერალთან ირონიზებულია „სოციალური ინტერესი“, სოციალური ჯგუფის მისია, რაც ადლერის მიხედვით, ზღუდავს უმწიფარ ინდივიდუალურ შეხედულებას იმის შესახებ, რომ ადამიანმა უნდა დაამტკიცოს სხვებთან შედარებით თავისი არაჩვეულებრიობა და რომ, მეორე მხრივ, თვითშეფასება უფრო დირებულია, როცა

ინდივიდი საკუთარი თავის საჭიროებას გრძნობს შედარებით ფართო სპექტრის, ანდა მთელი კაცობრიობის კონტექსტში.

ადლერის ინდივიდუალური ფსიქოლოგია მიიჩნევდა, რომ საკუთარი თავის აღმატებული შეფასებისას, კაცობრიობის გათავისუფლებისაკენ ამ შეფასების მიმართვა, უმეტესად ათავისუფლებს განდიდგბის მანიოთ შეპყრობილ ადამიანს პათოლოგიური ნარცისიზმისაგან (2).

